# სარბიელი

სპორტული გაზეთი | სამშაბათი 24 სექტემბერი 2002 №180 (1702) | ფასი 50 თეთრი


# რა ხდება ქუთაისში? ახალი არაფერი, ისვრიან



ტორპედო — დინამო 0:1. გუშინ „ტორპედო" უტევდა, გოლი კი „დინამომ" გაიტანა

ყისმათიანი მწვრთნელი ჩანს ივო შუშაკი და თუ მწვრთნელს ბედი ხშირად სწყალობს, ეს უკვე მისი დამსახურებაა...

ქუთაისში ჩემპიონთა ბრძოლის ნახვა ლარი ღირდა და ეგებ ამის გამოც იყო, „ტორპედოს" სტადიონი სანახევროდაც რომ ვერ გაივსო.

„ტორპედო" — „დინამოს" შეხვედრები ტრადიციულ და უმთავრეს დაპირისპირებად იქცა. კი ბატონო, კლუბებს გასაყოფი ნამდვილად აქვთ — ჩემპიონობა, მაგრამ ქუთაისსა და თბილისს საომარი რა აქვთ? ეს უკვე მახინჯი სოციალური მოვლენის სახეს იძენს — გულშემატკივართა ურთიერთაგრესია.

როგორც უნდა იყოს, მასპინძლებს მეტი პასუხისმგებლობა აკისრიათ, თორემ გინება რომელმა მხარემ წამოიწყო, ეს ნაკლებად მნიშვნელოვანია.

თუმც გუშინდელი ინციდენტის საწინდარი ალბათ მაინც სულ სხვა იყო. „ტორპედო" მთელი მატჩის განმავლობაში მეტოქეზე ბევრს უტევდა და სახიფათო მომენტებიც გაცილებით მეტი შექმნა, მაგრამ გოლი დინამოელებმა გაიტანეს.

კარლოსის გოლს სტუმართა ფანების „დინამო, დინამო" მოჰყვა, რამაც მატჩის ასეთი მსვლელობით გულდამწვარი ქუთაისელი გულშემატკივარები კიდევ უფრო ალაშფოთა. ზოგმა მათგანმა კი თავი ველარ მოთოკა და ბილწი სიტყვების სროლაც დაიწყო. იყო საპასუხო რეაქციაც. სიტყვებს „დინამოს" ფანებისკენ ნასროლი რამდენიმე ქვაც მიჰყვა და სტუმრები იძულებულნი გახდნენ, ტრიბუნიდან სარბენ ბილიკზე ჩასულიყვნენ, მერე, გასახდელში შესვლამდე, რამდენიმე ქვა იქაც წამოენიათ.

ცოტაოდენი ქვა და სხვა საგნები არც მატჩის შემდეგ გასახდელისკენ მიმავალ „დინამოს" ფეხბურთელებისთვის დაუშურებიათ.



## ყოველთვის ოქრო ვერ იქნება

### მოჭიდავეები მსოფლიოს ჩემპიონატის მედლებს შეეჩვივნენ

## ხასაიას ვერცხლი

## კვირკველიას ბრინჯაო




# 30 სექტემბრიდან

ორშაბათობით და ხუთშაბათობით, შემდგომში სამშაბათობითაც

# მო 1/X X X/2 იკითხეთ «კროკო»

## გაზეთი პროფესიონალებისთვის

ანგარიშები, კოეფიციენტები, ბადე-ცხრილები

ფასი 20 თეთრი

საქართველოს ჩემპიონატი
უმაღლესი ლიგა
პირველი ეტაპი
14

# 8 ტური



გუშინ ზაზა ზირაქიშვილს ყოფილი თანაგუნდელები გადაურჩნენ

# შუშაკმა ღმერთი მაღალი ახსენა





ივო შუშაკის და ალექსანდრ შტელინის პირველი შეხვედრა ხორვატის გამარჯვებით დასრულდა

ქუთაისი. 23 სექტემბერი. 17 საათი. ტორპედო. 8 000 (ტევადობა 19 500)

## ტორპედო 0:1 დინამო

0:1 კარლოსი (74)

ტორპედო: სტურუა, ლ. ქელიძე, ქემოკლიძე, დიდავა, გუჩუა (მახვილაძე 46), ბაბუნაშვილი, კვეტენაძე (დ. ჯანაშია 74), ჩომახიძე, ასათიანი, ზირაქიშვილი, იონანიძე (მორომინი 69)
სათადარიგონი: ქანტურია, აკოფიანი, ახალკაცი, გამეზარდაშვილი
მწვრთნელი: ალექსანდრ შტელინი

დინამო: ზოიძე (ცვარამაძე 46), კარლოსი, ვაშაკიძე, შაშიაშვილი, ა. სახვაძე (კვირკველია 83), ამისულაშვილი, ბურდული, ანჩაბაძე, დარასელია, გოგობერიშვილი, გ.ვ. მიქაძე (კანდელაკი 46)
სათადარიგონი: მაზიაშვილი, ი. სამხარაძე, ეხანოიძე, ხიზანიშვილი
მწვრთნელი: ივო შუშაკი

გაფრთხილება: კანდელაკი (72)

მსაჯები: ლ. ფანიაშვილი (თბილისი); ლ. მიქელაძე, გ. ჩიგოგიძე (ორივე სამტრედია); მ. მაისურაძე (თბილისი)

სფფ-ის ინსპექტორი: შ. ხიმშიაშვილი

ჯარიმა: 16-25; კუთხური: 6-3; კარისკენ დარტყმა: 9-4; კარში დარტყმა: 13-4; თამაშგარე: 3-2

## პრესკონფერენცია

*ივო შუშაკი, „დინამოს" მწვრთნელი:* „ვიცოდი, რომ ქუთაისში მძიმე თამაში გველოდებოდა. სამი დღე დავყავით ლიბერეცში, იქ საკმაოდ ციოდა, თანაც მოგეხსენებათ, უძნელესი თამაში გადავიტანეთ. ჩემს ფეხბურთელებს საადაპტაციოდ არასაკმარისი დრო ჰქონდათ — ქუთაისში, 30 გრადუსიან სიცხეში თამაში ძნელია.

„ტორპედო" კარგი გუნდია, ვეცადეთ კონტრშეტევებზე აგვეწყო თამაში, პირველ ტაიმში სიცხიანი ზოიძე გვედგა კარში, რომელიც გვარამაძით შევცვალეთ და ისიც მშვენივრად გაისარჯა. გოლის შემდეგ კანდელაკსაც მართებდა გატანა, დანარჩენ დროს თამაში „ტორპედოსი" იყო. შედეგით, ცხადია, კმაყოფილი ვარ. მესამედ ჩამოვიყვანე „დინამო" ქუთაისში, ჯერ ფრედ ვითამაშედ, მერე წავაგეთ, მესამედ კი ღმერთის დახმარებით გავიმარჯვეთ."

*ალექსანდრ შტელინი, „ტორპედოს" მწვრთნელი:* „დასანანი მარცხი განვიცადეთ. სრულ უპირატესობას ვფლობდით, უამრავი საგოლე მომენტი შევქმენით, მაგრამ ერთიც ვერ გავიტანეთ. მარცხის მიუხედავად, ბიჭებს გარჯას ვერ დავუწუნებ. გუჩუა მთლად ჯანზე ვერ იყო, მაგრამ მაინც ისურვა თამაში, სამწუხაროდ, ტკივილი ვერ დაძლია და შეცვლა მოითხოვა. ახალკაცი ნიჭიერი ფეხბურთელია, სისწრაფითაც გამოირჩევა. მას წინა სეზონი გაუცდა და თანდათან იკრებს ძალას. გაშვებული გოლის შემდეგ შემეძლო ახალკაცი შემეშვა მოედანზე, მაგრამ უფრო გამოცდილ ჯანაშიას ვენდე, თუმც მან დავალება არ შეასრულა და სათანადო დასკვნების გამოტანაც მოგვიწევს. მსაჯებთან საპრეტენზიო თითქმის არაფერი მაქვს. მხოლოდ ის ვერ გავიგე, თამაში ოთხი წუთით იყო შეწყვეტილი (კარლოსის გოლის შემდეგ „დინამოს" ჩამოყოლილ ოცდაათამდე ქომაგის გამომწვევი ქცევის გამო, მოსალოდნელი უწესრიგობების თავიდან ასაცილებლად პოლიციელებს მათი სტადიონიდან გაყვანა მოუხდათ. და, კიდევ კარგი, ტრიბუნიდან ნასროლ რამდენიმე ქვას არავინ დაუზიანებია), არბიტრმა კი, რატომღაც ორი წუთი დაამატა.

**ირაკლი ყაცირაძე** *ქუთაისიდან*

# ცაკარიასმა ჯანაშიას ნაყიდი არ ჭამა

რუსთავი. 23 სექტემბერი. 17 საათი. ფოლადი. 1 000 (ტევადობა 12 000)

## გორდა 0:1 ლოკომოტივი

0:1 ბურნაძე (90)

გორდა: ბედიაშვილი, თავბერიძე, ზაზაშვილი, ზვ. ლაბაძე, ლურსმანაშვილი, ქ. ალადაშვილი, ბუკია (მალანია 61), ჯელაძე, მიქავა, გოცირიძე, ზ. ლაბაძე
სათადარიგონი: ბუაძე, ქურაშვილი, ჩოხელი
მწვრთნელი: იასონ ალადაშვილი

ლოკომოტივი: ლომაია, ბალიაშვილი, სალუქვაძე, ორბელაძე, ლ. მიქაძე, გოგიაშვილი (კვარაცხელია 63), მ. ბურნაძე, ლაცაბიძე, ჭიჭველიშვილი (მორჩილაძე 46, გილაური 78), რუხაია, დავითაშვილი
სათადარიგონი: ივარდავა, გელა ქორიძე, სირაძე
მწვრთნელი: ლევან ცაკარიასი

გაფრთხილება: ჭიჭველიშვილი (42), დავითაშვილი (69), მორჩილაძე (73), ჯელაძე (80)

მსაჯები: ზ. ანიაშვილი (გორი); ლ. სილაგავა, ზ. ჯვარიძე (ორივე თბილისი); ა. შალამბერიძე (ქუთაისი)

სფფ-ის ინსპექტორი: ი. მჭედლიშვილი

ჯარიმა: 23-6; კუთხური: 2-12; კარისკენ დარტყმა: 0-6; კარში დარტყმა: 5-5; თამაშგარე: 2-5

**პაატა კვანტალიანი** *რუსთავიდან*

**უჯანაშიო** „ლოკომოტივმა" გუშინ რუსთაველ „ფოლადზე" ულიმლამოდ და უსისხლოდ იგორა, თუმც, ბედად, საფინალო სასტვენის წინ სამქულიანი დებიუტი მოუწყო ტომით ბერძენ პერუელ, გერმანიაში მცხოვრებ და საქართველოში მომუშავე ლუის ცაკარიასს. ჩია, ულვაშა უცხოტომელმა ბავშვივით გაიხარა ახალგაზრდა ბურნაძის ნაგვიანევი გოლისას.

გუშინდელი მატჩის ფონზე სასაცილოდ ჩანდა გარკინიგზელებული ცაკარიასიის დანაქადნები — „ლოკომოტივი" უმოწყალოდ დაჯიჯგნის „გორდასო", მაგრამ ფარმკლუბელებით შეკოწიწებულმა მასპინძლებმა ლამის სენსაციურ ფრეს გამოჰკრეს ხელი, იმსახურებდნენ კიდეც, თუმცა ფორტუნამ „ლოკომოტივი" ირჩია.

სათამაშო რგოლებმორღვეულ რკინიგზელთა მოქმედებაში თავდადების ნატამალიც არ ყოფილა, არადა, ახალი მწვრთნელის დანიშვნით იმგვარი სიტუაცია იყო შექმნილი, რომ უპირველესად სწორედ თავდადება უნდა გამოემჟღავნებინათ სტუმრებს. ამ ფაქტორზე ნამატჩევს ცაკარიასმაც გაამახვილა ყურადღება, რა ვქნა, სამ დღეში თავდადებას ვერ ვასწავლიდი ფეხბურთელებსო. მიუხედავად ამისა, „ლოკომოტივის" უსახური გარჯით უკმაყოფილება მაინც არ დატყობია უცხოტომელს — ბევრი საგოლე მომენტი გვქონდა და ლოგიკური იყო რომ მოვიგეთ, მერე და მერე უფრო გავაუმჯობესებ გუნდის თამაშსო. არადა, „ლოკომოტივის" მიერ შექმნილ ყველა მომენტს ალადაშვილის ყუმბარისებური გასროლილი გადასწონიდა — ცხრიანში შემავალი ბურთი თითებით სასწაულებრივ რომ მოიგერია ლომაიამ კუთხურზე.

რკინიგზელთაგან ყველაზე აქტიური მოულოდნელი დავითაშვილი იყო. სულიკოს პირველ ტაიმში გასატანი ჰქონდა, მაგრამ ბედიაშვილის მომტყუებელი და ცარიელი კარის წინ დასარტყმელად შემართული ჭიჭველიშვილის ფეხს წამოედო. დავითაშვილს მეორე ნახევრის შუაწელში ბედიაშვილმა არ დაანება გატანა, მანვე ალაგმა შეხვედრის ბოლოს გამოფხიზლებული სამი მცველის ჭენებით მომტოვებელი რუსიაც, მაგრამ ზედ საფინალო სასტვენის წინ ბურნაძის მოჭრილ-ჩახვეულს ვერაფერი მოუხერხა.

ანიაშვილი წამზომს დასცქეროდა, „გორდა" შეტევას რომ მიეძალა და დაცვა მოაშიშვლა. შედეგად ბურნაძე მარცხენა ფლანგზე გაძვრა და კარმიტოვებულ ბედიაშვილს შორეულ კუთხეში ჩაუსვა.

ბოლოს ჯანაშიას უთამაშებლობაზეც ვთქვათ. სტუმართა თქმით, მოწამლული ჯანაშია მატჩისთვის ვერ მომზადებულა, მაგრამ „ფოლადზე" ნაყინს გემრიელად შეექცეოდა ნაავადმყოფარის არაფერი ეტყობოდა. ჯანაშიას ტრიბუნაზე ყოფნის ნამდვილი მიზეზი ნამატჩევს თავად ცაკარიასმა გაამხილა: „ჯანაშია ერთენული ნაკრების ფეხბურთელია, სხვებზე მეტი მოეთხოვება და იმედი მაქვს, დისციპლინას სამომავლოდ აღარ დაარღვევს".



მატჩის ბოლო წუთზე რუსთაველები ვერც გრიგოლ ბედიაშვილმა იხსნა

## ჰოლანდია
II დივიზიონი. V ტური
ჰელმონდი 1:1 დენ ბოსხი

## ბელგია
I დივიზიონი
VI ტური
ანდერლეხტი 6:3 მუსკრონი

## ჩეხეთი
VIII ტური
სლავია 0:0 სპარტა
ლიბერეცი 5:1 ბუდეიოვიცე

## ინგლისი
პრემიერლიგა
VII ტური
ფულემი 0:0 ჩელსი

## პოლონეთი
VII ტური
ზაგლებე 3:1 პოლონია
გურნიკი 1:2 ვისლა

## პორტუგალია
I ლიგა. IV ტური
სპორტინგი 0:0 ვარზიმი

## იტალია
სერია C1/ბ. IV ტური
კროტონე 3:1 პატერნო

## გერმანია
II ბუნდესლიგა. VI ტური
კარლსრუე 0:2 აინტრახტი

## შვედეთი
XXI ტური
ჰალმსტადი 2:2 ჰელსინგბორგი
ელფსბორგი 2:1 იორგრიტე
გიოტებორგი 2:0 აიკ

## ფინეთი
ალეი ოფი
ტამპერე 0:1 მიუპა
ალიანსი 0:0 იარო



ბოლნისელმა ზაზა კვეკვესკირმა დავით დოლმელაშვილს ცხვირ-პირში ამოსცხო

# იტალიელის არაიტალიური

## თავდასხმა, თავდაცვა, გოლების თავსხმა

თბილისი. 22 სექტემბერი. 17 საათი. შევარდენი. 500 (ტევადობა 3 000)

**ვიტ ჯორჯია 3:0 სიონი**

1:0 ადამია (3), 2:0 ნოზაძე (56), 3:0 დოლიძე (77)

| | |
|---|---|
| ვიტ ჯორჯია: მერლანი, მუჟირი, ან. კირველი, კობიაშვილი, ლ. ნოზაძე, დოლმელაშვილი, თედორაძე, ჯ. გოჩაშვილი (ფეიქრიშვილი 61), წუწუნავა, ადამია (დ. დოლიძე 71), ე. მერებაშვილი (გველესიანი 41) სათადარიგონი: მამარდაშვილი, დ. ბოლქვაძე, ბერელიძე მწვრთნელი: ჯანი კარნევალი | სიონი: ბათიაშვილი, ბაქრაძე (კრავეიშვილი 75), სიდამონიძე, ზ. ცქიფურიშვილი, კვეკვესკირი, გ. ჩხაიძე, ირემაშვილი, ისიანი, დავითაშვილი (მოსეშვილი 43), გაბისკირია (მეგრელიძე 68), დ. გოგიჩაიშვილი სათადარიგონი: ჭოლოყაშვილი, კაციაშვილი, ხუჭუა, გოგიტიძე მწვრთნელი: თემურ მახარაძე |

გაფრთხილება: დოლმელაშვილი (28), თედორაძე (38), გოგიჩაიშვილი (52), სიდამონიძე (56), ირემაშვილი (90)

მსაჯები: ა. მეშკოვი; ზ. მენთეშაშვილი, მ. ელიაშვილი (სამივე თბილისი); ა. შალამბერიძე (ქუთაისი)

სფფ-ის ინსპექტორი: ნ. კაკულია

ჯარიმა: 23-18; კუთხური: 4-1; კარისკენ დარტყმა: 1-2; კარში დარტყმა: 8-4; თამაშგარე: 9-13

კობა ინასარიძე

**დაკარგული ქულებით** ცხრილში მეზობელი „ვიტ ჯორჯია" — „სიონის" თბილისური დუელი რომ დამაინტრიგებელი იყო, ეს სათქმელიც არ არის. წინა სეზონის მერე საგრძნობლად მოღონიერებული ბოლნისელები თბილისში ქულა რაა, მოსაგებად გამოემგზავრნენ და თან ერთგულ ფანთა მცირე ჯგუფიც იახლეს ცნობილი ალას თამადობით. მასპინძლებს კი მთავარმეგოლე „დილასთან" გაძევებული ლევან მელქაძე დააკლდათ, შესაბამისად, ძალაც და ამის გათვალისწინებით, მატჩამდე „ვიტ ჯორჯიას" უეჭველ გამარჯვებას მისი თავგადაკლული ქომაგი თუ იფიქრებდა. ერთი სიტყვით, კაი ჯახს ველოდით, რაც ერთხანს გამართლდა კიდეც, თუმც ნოზაძის მეორე გოლის შემდეგ მოედანზე საინტერესო არაფერი მომხდარა, ცხადია, დოლიძის გოლს თუ არ ჩავთვლით.

მასპინძელთა მწვრთნელი ჯანი კარნევალი, შეიძლება ითქვას, ავანტიურაზე წავიდა, ძირითად შემადგენლობაში ერთბაშად ოთხი თავდამსხმელი დააყენა და მელქაძის არყოფნის ანაზღაურება ფორვარდთა რაოდენობით სცადა. ოთხიდან სამი გამოკვეთილი შემტევი იყო, ტანმაღალი გოჩაშვილი კი განაპირა პავეკის ფუნქციებს ასრულებდა, თუმც დაცვაზე მეტად თავდასხმას ეხმარებოდა. ანგარიშიდანაც კარგად ჩანს, იტალიელი მწვრთნელის ტაქტიკამ გაამართლა. მასპინძელთა სწრაფმა თავდამსხმელებმა სტუმართა ოთხკაციან დაცვას საყრდენები — კვეკვესკირი და ბაქრაძეც რომ ეხმარებოდნენ, ბევრი ნაკლი უპოვეს და დაცვის ხაზიც მარაოსავით გაშალეს. შედეგად სამი გოლი მიიღეს, რომელთაგან პირველიც მატჩის დასაწყისშივე მასპინძელთა პირველსავე შეტევას მოჰყვა: ნოზაძემ მარჯვენა ფლანგზე გზა გაიგრძელა, საჯარიმოს მიახლოებულმა კუთხე მოჭრა და შორეულ ძელთან უმეთვალყურეოდ მიტოვებულ ადამიას ბურთი ფეხზე დაასვა, ამანაც შეუჩერებლად, მეკარის მოძრაობის საპირისპიროდ დაარტყა და გაიტანა. დებიუტშივე დაწინაურებამ მასპინძელთა ფორვარდებს კიდევ უფრო გაუხსნა ხელ-ფეხი, სტუმართა დაცვაში მეტი სივრცე გამოჩნდა, რაც სწრაფი ფეხბურთელებისთვის მისწრებაა.

„სიონი" ანგარიშის გათანაბრებას ეშურებოდა და ერთი-ორი კარგი შანსიც გააცუდა. თბილისელი თავდამსხმელები კი ჩასაფრებულნი იყვნენ და მათი თითქმის ყოველი შეტევა სახიფათო მომენტით მთავრდებოდა. ეგაა, რომ რამდენიმე რეალური შანსი მასპინძელთათვის, ალბათ, მოულოდნელი იყო და შესვენებამდე ერთბურთიან უპირატესობასღა დასჯერდნენ. ტაიმის მიწურულს კი კარნევალიმ აუტკივარი თავი არ აიტკია, ერთი თავდამსხმელი მოხსნა და დაცვის ის ფლანგი გააძლიერა, საიდანაც სტუმრები უფრო ხშირად უტევდნენ.

მეორე ტაიმი „სიონის" უპირატესობით დაიწყო, თუმც სათქმელია, რომ „ვიტ ჯორჯიამ" მოედნის გარკვეული ნაწილი სტუმრებს შეგნებულად დაუთმო და შანსს დაელოდა, შანსი კი 56-ე წუთზე მიეცა და გამოიყენა კიდეც. ბოლნისელებს მარჯვენა ფლანგზე ადამია გაეპარათ, რომელსაც საჯარიმოს კუთხესთან ბურთი დაატოვებინეს, მაგრამ ნოზაძე იქვე გაჩნდა და ბათიაშვილს, რომელსაც სამუშაოა ისედაც არ დაჰკლებია, შორეულ კუთხეში გაუტანა. ამის შემდეგ მატჩი ორსამი წუთით შეჩერდა, სტუმრები გოლს აპროტესტებდნენ, ადამია ოფსაიდში იყოო. ფეხბურთელთა და გვერდითი მსაჯის კამათი კი საბოლოოდ, სიდამონიძის გაფრთხილებით დასრულდა. მატჩიც აქ დამთავრდა. „სიონი" ანგარიშის გამბათილებელი არ ჩანდა, მით უმეტეს, კარნევალიმ ერთი გონივრული შეცვლაც გააკეთა, გოჩაშვილის ნაცვლად დასვენებული ფეიქრიშვილი გაამწესა მარჯვენა ნახევარმცველად და მან კიდევ ცალკე აწრიალა სტუმრები. დოლიძემ კი მოედანზე შესვლიდან ხუთ წუთში ბოლნისელებს საბოლოოდ მოუთავა ხელი — მცველთა შეცდომით ისარგებლა და დაახლოებით საჯარიმოს ხაზიდან ბურთი ძირს დაუშვებლად ბათიაშვილის ზურგსუკან კარში შეაგდო.

# ბათუმში ნამდვილი მშვიდობაა

ბათუმი. 22 სექტემბერი. 17 საათი. დინამო. 500 (ტევადობა 5 000)

**ბათუმი 0:0 კოლხეთი**

| | |
|---|---|
| ბათუმი: ტოგონიძე, ზ. არჩვაძე, თურმანიძე, მინდაძე, კობიძე, ქაცარავა, რომანიძე (დარჩიძე 46), ღლონტი (ბეჟანიძე 86), ტულუში, მოდებაძე, მაჭუტაძე სათადარიგონი: ი. ბალაძე, ჩიჩუა, სეფერთელაძე, მახარაძე მწვრთნელი: ასლან ბალაძე | კოლხეთი: გრიშიკაშვილი, შ. ლონლაძე, ნარსია, გოროზია, მ. ქობულაძე, ფანჩულიძე, ქუტიძე, ე. გვასალია, გაბიდაური, გოგუა (კვერნაძე 73), გოჩხაროვი (ბაჩილავა 89) სათადარიგონი: ჩემია, გურგენაძე, მ. ფილია მწვრთნელი: სოსო ფილია |

გაფრთხილება: ქუტიძე (67), კობიძე (85)

მსაჯები: ს. კვარაცხელია (ზუგდიდი); ა. სამხარაძე (სოხუმი), გ. ცირდავა (გულრიფში); ჯ. ბუიშვილი (ქუთაისი)

სფფ-ის ინსპექტორი: მ. ქელიძე

ჯარიმა: 16-27; კუთხური: 5-2; კარისკენ დარტყმა: 5-6; კარში დარტყმა: 2-3; თამაშგარე: 7-2

გოჩა ჯანაშია ბათუმიდან

**იყო დრო,** შავიზღვისპირა დერბი მაღალი ამბიციებით გაჯერებული გუნდების პაექრობად გვევლინებოდა. ახლა კი რაღა ამბიციებზეა ლაპარაკი, როცა „ბათუმს" ჯერ მოგებაც არ ღირსებია და „კოლხეთიც" ის აღარაა, რაც იყო. თუმცა, მასპინძლებთან შედარებით კოლხებმა „ლოკომოტივის" ძლევით გამოიკეთეს ხასიათი და ბათუმსაც იმედიანად ესტუმრნენ.

ნამტჩევს ღანა პირს არ უხსნიდა ასლან ბალაძეს, რომელიც თავისი შეგირდების ცუდი თამაშით ერთობ შეფიქრიანებული ჩანდა.

ორი ახალწვეულით დაიწყეს მასპინძლებმა თამაში, გიორგი მოდებაძე თავდასხმაში მაჭუტაძეს შეუამხანაგდა, ხოლო ბულგარეთიდან დაბრუნებულმა ავთანდილ ღლონტმა შუა ხაზი ჩაიბარა. ორივე კი ცდილობდა თავის გამოჩენას, მაგრამ საბოლოო ჯამში მაინც არაფერი გამოუვიდათ.

მოსაგებად დაგეშილი „ბათუმი" თავიდანვე მიაწყდა კოლხთა სამფლობელოს და პირველ 15 წუთში მძიმე გამოცდაც მოუწყო. უკვე მეშვიდე წუთზე სტუმრები სასწაულად გადაურჩნენ გოლს. მოდებაძემ გონივრული პასით ტულუში მეკარეს პირისპირ შეატოვა და გოლიც თითქოს გარდაუვალი ჩანდა. თუმც გამოცდილმა ტულუშმა ხუთიოდ მეტრიდან ბურთი ცაში როგორ გასტყორცნა, საკვირველი იყო.

ორიოდ წუთში ერთი-მეორეს მიყოლებით ჩინებული პოზიცია შეექმნათ ჯერ ქაცარავას, შემდეგ მაჭუტაძეს. მართალია, ორივე მახვილი კუთხიდან დაემუქრა კოლხთა კარს, მაგრამ მაინც აჯობებდა პასის გაკეთების ნაცვლ დ კარში დაერტყათ.

„კოლხეთმა" საწყისი წუთების შტურმი გადაიტანა და მალე თავადაც შექმნა ხიფათი. კოლხთა კონტრჩხვლეტას გაგუა შორეული დარტყმით აგვირგვინებდა, თუმცა, ბურთმა მილიმეტრებში გადაუქროლა ტოგონიძის კარის ხარიხას.

სოსო ფილიამ დაცვითი სქემით ათამაშა შეგირდები და საპასუხო კონტრშეტევების ორგანიზებაც დაავალა. სწორედ გაგუას გასროლის შემდეგ „ბათუმი" მოეშვა და მეტოქესაც თამაში გაათანაბრებინა. პირველი ტაიმის დარჩენილი დრო მოედნის ცენტრში კატა-თაგვობანას თამაშში გაილია, რაც ერთობ მოსაწყენი რამ იყო.

მეორე ტაიმში კოლხებმა იგრძნეს, რომ „ბათუმი" დიდი ვერაფრის გამკეთებელი იყო და უფრო თამამად ათამაშდნენ. ტოგონიძის კართან ხიფათმაც უფრო იმატა. ჯერ იყო და 58-ე წუთზე ქობულაძის წამოწყებული კონტრიერიში გაბიდაურის შორეულ ცხრიანში ჩახვეული დარტყმით დასრულდა. ივარგა ტოგონიძემ და ბურთი კუთხურზე მიაგერია. ორიოდ წუთში გოჩხაროვი იოლად გასცდა არჩვაძეს და საჯარიმოში შერბენილ ქობულაძეს პასი ოღნავ დაუგვიანა, თორემ ანგარიში უეჭველად გაიხსნებოდა.

„ბათუმი", რა თქმა უნდა, გატანას ლამობდა, მაგრამ ხეირიანი საგოლე მომენტის შექმნა უჭირდა. მაჭუტაძის გამოცდილება და მოდებაძის ენთუზიაზმი საკმარისი არ იყო. შუა ხაზიდან ჯეროვანი მხარდაჭერა კი დიდად არ იგრძნობოდა.

კოლხთა გამოხტომები არ წყდებოდა, მაგრამ მათ იერიშებს საბოლოო ფაზაში სიზუსტე აკლდა. მატჩის დასრულებამდე სამი წუთით ადრე კი მასპინძლები აშკარა გოლს გადაურჩნენ. გოჩხაროვმა მარცხენა ფლანგზე კვლავ დაჩაგრა არჩვაძე, რომელთან ჯაჯგურში საჯარიმოშიც შეიჭრა. კოლხთა ფორვარდმა ტოგონიძის მოტყუება სცადა, მაგრამ მასთან შეჯახებისას წაიქცა, ბურთი კი სრულიად მარტო დარჩენილ გვასალიას მიუგორდა, რომელმაც უმალ კარშიც დაარტყა. ბათუმელთა ბედად კარის ხაზზე თურმანიძე გაჩნდა და განმუხტა კიდეც სიტუაცია.

და მაინც, „ბათუმი" ახლოს იყო ნანატრ სამი ქულასთან. წამატებული მეორე წუთი იყო დაწყებული, პენალტის ნიშნულთან ტულუშს რომ მიუვიდა ბურთი, მას ხელს არავინ უშლიდა, მაგრამ ისე უხეიროდ მიუცაცუნა ფეხი, გრიშიკაშვილს მისი აღება არ გასჭირვებია. ტრიბუნებზე მსხდომმა ხუთასიოდე ქომაგმა ამის შემხედვარე ერთი კი ამოიგმინა. რას იზამ, ბათუმი ფრეების ქალაქად იქცა.



თანაგუნდელებს არც პაატა მაჭუტაძე ჩამორჩა: ერთი საგოლე მომენტი გააცუდა

# არ შეხედოთ მამალაძეს თვალებში

**კახა შალამბერიძე**

— დავიტანჯე ამდენი წუწუნით. გუნდი მოუმზადებელია. პირობებიც არაა. პირდაპირ მე ხუთი თვეა, ხელფასი არ ამიღია. რა ვქნა? კლუბის პრეზიდენტი ანზორ მამალაძეც დღე და ღამე სპონსორის ძიებაშია. ამასობაში კი დრო გადის და... ეს ყველაფერი ვოვა ჩერქეზოვის და მისი ბანდის ბრალია. მათ დალუპეს გუნდი — განაცხადა მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე „მერანის" თავკაცმა ოთარ გაბელიამ.

არადა, კვირას „მერანს" იმდენი მომენტი შეექმნა გოლის გასატანად, რომ... თუმცა რად გინდა, მასპინძლებმა მეტოქის კარს ვერაფერი მოუხერხეს, უფრო სწორად კი, ზურაბ მამალაძეს. საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების გოლკიპერი სასწაულებს ჩადიოდა. მარტო ის რად ღირს, რომ მამალაძემ ექვსჯერ დაამწუხრა მასთან პირისპირ შეყრილი მერანელი. ავჭალელებს პირველივე ტაიმში შეეძლოთ სულ მცირე, ორი გოლის გატანა და შესვენებაზე მშვიდად წასვლა, მაგრამ ალექსანდრე კოშკაძემ ორჯერვე უხეიროდ ითამაშა.

„მილანი" მიზანდასახულად იცავდა თავს. მირზა სამხარაძე და მისი თანაგუნდელები აქა-იქ მწარედაც იჩხვლიტებოდნენ. სტუმრები უფრო შეკრული გუნდის შთაბეჭდილებას ტოვებდნენ, თავისუფლად გადადიოდნენ დაცვიდან შეტევაზე, თუმცა დამაგვირგვინებელ ფაზაში სცოდავდნენ. მეორე ტაიმში მათ ფიზიკურმა მომზადებამაც უმტყუნა.

ავჭალელები კი თითქოს მეტოქის იოლ დამარცხებას ვარაუდობდნენ და უხასიათოდ იწევდნენ მამალაძის კარისკენ. ეს მატჩის შემდეგ ოთარ გაბელიამაც აღნიშნა: „ფოთში, „კოლხეთთან" მატჩის შემდეგ ვაფრთხილებდი ბიჭებს, რომ „მილანი" ხელწამოსაკრავი გუნდი არ არის. სამწუხაროდ, მაინც ის მოხდა, რისიც მეშინოდა. ფეხბურთელებმა მეტოქე ვერ შეაფასეს".

ვერ გეტყვით, მართლა ამის ბრალი იყო, თუ სხვა რამის, მაგრამ მეორე ნახევარში მასპინძლები მთლიანად კი დაეპატრონენ მოედანს. პოდა, მამალაძის კართან სახიფათო მომენტებმაც იმრავლა, თუმცა, როგორც ზემოთ გითხარით, სტუმართა კარის დარაჯი შეუვალი იყო.

56-ე წუთზე კი მერანელმა რევაზ ნაჭყებიამ „ჩაატარა" რამდენიმეწამიანი სამეკარეო გაკვეთილი. ილურიძესთან ძალისმიერ ჭიდილში გამარჯვებულმა გაბედავამ საჯარიმოში შესვლა ვერ მოახერხა, თუმცა ძალიან უხერხული პოზიციიდან ბურთს ჭვინტი ამოჰკრა და... მილანელები გაბედავას ლამის მისალოცად მისცვივდნენ, რომ ნაჭყებიამ ენით აუწერელი ნახტომით ცხრიანიდან ჩამოხსნა ბურთი. ტრიბუნებს სიხარულისა და „რეზო, რეზოს" შეძახილების ტალღამ გადაუარა. ეპიზოდი მართლაც დასამახსოვრებელი და ლამაზი გამოდგა.

ეს იყო და ახალგაზრდა ჩილვინაძის პასით კოშკაძე დარჩა სტუმართა საჯარიმოში მარტოდმარტო, მაგრამ...

მალე კიდევ ერთხელ გაირღვა „მილანის" დაცვის ხაზი და შეცვლაზე შესული თუთარაშვილი შეეყარა მამალაძეს პირისპირ. რა თქმა უნდა, ზურამ იმარჯვა და შორეულ კუთხეში დარტყმულ ბურთს ლამაზი ნახტომი შეაგება.

ამგვარი მომენტები „მერანს" მერეც არაერთხელ მიეცა, თუმცა მასპინძლები რიგრიგობით ანერვიულებდნენ ოთარ გაბელიას.

თბილისი. 22 სექტემბერი. 17 საათი. სინათლე. 600 (ტევადობა 3 000)

## მერანი 1:1 მილანი

| | |
|---|---|
| 0:1 სამხარაძე (88), 1:1 კოშკაძე (90) | |
| მერანი: ნაჭყებია, გუჯაბიძე, გ. ილურიძე, მესხი, ბიჟელიძე (თუთარაშვილი 46), კოშკაძე, ფირცხალაიშვილი, ჩილვინაძე (ქადაგიძე 84), ი. შენგელია, (ნოზაძე 59), ჭანჭარაული, გ. მ. რევაზიშვილი<br>სათადარიგონი: გ. გაბელია, აღუაშვილი, ბართაია, გრიგორიევი<br>მწვრთნელი: ოთარ გაბელია | მილანი: მამალაძე, ტარულაშვილი, ჯაბუა, ალობია, მ. სამხარაძე, მეტონიძე, ლაშხაშიძე (გაბედავა 46), ქალიაშვილი (დანელია 87), ვართაგავა, ქარჩავა, შელეგია (ჯაფარიძე 78)<br>სათადარიგონი: გრძელიძე, ეგაძე, ლულუნაძე, დაუთაშვილი<br>მწვრთნელი: ბიძინა გვენცაძე |
| გაფრთხილება: ალობია (25), ლაშხაშიძე (33), მესხი (40), სამხარაძე (61), ქადაგიძე (90) | |
| მსაჯები: ა. ორდინიძე (ონი); ი. შალამბერიძე, კ. თბილელი; ი. კახიანი (სამივე თბილისი) | |
| სფფ-ის ინსპექტორი: ა. მილჩენკო | |
| ჯარიმა: 21-24; კუთხური: 9-1; კარისკენ დარტყმა: 6-7; კარში დარტყმა: 3-7; თამაშგარე: 3-2 | |

დრო კი გადიოდა და ყველაფერი გადაწყვეტილი ჩანდა — არცერთი გუნდი ჰგავდა გამტანს, თუმცა მატჩს ისეთივე გაუგებარი დასასრული ჰქონდა, როგორიც დასაწყისი...

დასასრული: 88-ე წუთზე ქარჩავას პასი სამხარაძემ მიიღო, ბურთი გააჩერა, გაიხედ-გამოიხედა და საჯარიმოს გარედან ნაჭყებიას შორეულ კუთხეში ჩაუსვა. ორ წუთში კოშკაძემ მარჯვენა ფლანგიდან საჯარიმო დაარტყა, ბურთს მამალაძე ვერ მისწვდა და — 1:1.

დასაწყისი: სტადიონის ადგილობრივი ინფორმატორი რატომღაც განსაკუთრებული მოწიწებით მიესალმა სტუმართა გუნდს. მისი სიტყვებით გაკვირვებული ქომაგები ხელებს ასავსავებდნენ, თუმცა ინფორმატორმა მათ ხელებსაც მოუძებნა საქმე: „პო, პო დაუკარით ტაში, მიესალმეთ სტუმრებს!".



სახანძროთი ზურგგამაგრებულმა „მილანის" მეკარე ზურაბ მამალაძემ კარის წინ ცეცხლი დაანთო

# ახალია თუ ძველია, ზესტაფონთან ძნელია

გორი. 22 სექტემბერი. 17 საათი. ცენტრალური. 1 000 (ტევადობა 8 230)

## დილა 0:0 მეტალურგი

| | |
|---|---|
| დილა: სოლოღაშვილი, გ. ჩიტაია (სულთანიშვილი 46), რ. ხაჭაპურიძე, ლომიძე, დავითნიძე, ფეშუაშვილი, ხორგუაშვილი, ჯობაძე, ძოძუაშვილი (ა. ხმალაძე 62), რაზმაძე, ლ. გოჩაშვილი<br>სათადარიგონი: თ. ილურიძე, სომხიშვილი, გ. ზ. რევაზიშვილი<br>მწვრთნელი: ვლადიმერ ხაჩიძე | მეტალურგი: ა. ლაბაძე, ორმოცაძე, შეყრილაძე, გაბრიჭიძე, მემარნიშვილი, მაღლაკელიძე, სუხიაშვილი (გოგაძე 65), სულაკაძე, გურეშიძე, ცნდელაძე (შველიძე 75), ვაჩიბერაძე (დოღბაძე 36)<br>სათადარიგონი: მერკვილიშვილი, ქუმსიშვილი, თავბერიძე, ნიშნიანიძე<br>მწვრთნელი: ზაურ ჩუბინიძე |
| გაფრთხილება: დავითნიძე (20), სულთანიშვილი (69), ლაბაძე (84) | |
| მსაჯები: პ. დოღრაშვილი; კ. გაბრიაძე, ნ. რუხიშვილი; გ. კიკაჩეიშვილი (ყველა ქუთაისი) | |
| სფფ-ის ინსპექტორი: ო. გუნთაძე | |
| ჯარიმა: 21-19; კუთხური: 6-4; კარისკენ დარტყმა: 9-1; კარში დარტყმა: 7-2; თამაშგარე: 2-1 | |

**მამუკა კვანტალიანი გორიდან**

ოფიციალურ საჩემპიონატო თამაშში გორის „დილა" და ზესტაფონის „მეტალურგი" კვირას პირველად დაუპირისპირდნენ ერთმანეთს. გორელები და ზესტაფონელები ადრეც ყოფილან მეტოქეები, მაგრამ მაშინ „მარგვეთი" იყო ქართლელთა უხერხული მოწინააღმდეგე. სადღეისოდ ვასილ ხაჭაპურიძის გუნდის შესახებ ცნობებს ქართული საფეხბურთო ისტორიის ფურცლებში თუ მოიძიებთ. ტრადიცია კი დარჩა, 22 სექტემბერს საკუთარ „ცენტრალურზე" „დილამ" „მეტალურგის" დაცვითი ზღუდეები ვერ გაარღვია და ოდენ უგოლო ფრეს დასჯერდა.

ბოლო ტურებში გორელებს თამაში არ მისდით, ქომაგიც ერთობ უკმაყოფილოა საყვარელი გუნდის უფერული გარეგით. ზესტაფონელები კი პირიქით, შინ თუ გარეთ ქულებს იხვეჭენ. სტუმრებმა გუშინწინაც აისრულეს გულისწადილი, თუმცა ისე კარგად ვერ ითამაშეს, ქულა დაემსახურებინათ.

სტუმარ-მასპინძელმა უფერული თამაში მოედანზე მდგარ ბუღს გადააბრალა. „ცენტრალური" მატჩის დაწყებამდე საათნახევრით ადრე მოურწყავთ, მზემაც გვარიანად დააჭირა და მინდვრიდან ავარდნილმა ორთქლმა გაგვთანგაო, ჩიოდნენ ფეხბურთელები.

თამაშამდე „დილას" თავკაცებმა ეკლესიაში წაიყვანეს ფეხბურთელები. ეპისკოპოსის ლოცვა-კურთხევით გულმოცემულმა გორელებმა თავიდანვე შეუტიეს სტუმრებს, მაგრამ მათ მოქმედებებს ორგანიზებულს ვერ დაარქმევდით. „მეტალურგსაც" მასპინძელთა შეტევების მოგერიება არ უჭირდა.

ნელ, მოსაწყენ ბურთაობაში დროც უსაშველოდ გაიწელა. თითქოს ტაიმიც ყოველგვარი ინტრიგის გარეშე უნდა დასრულებულიყო, მაგრამ შესვენებამდე რამდენიმე წუთით ადრე მასპინძლებმა ქომაგი აანერვიულეს. ძოძუაშვილმა ხორგუაშვილთან კედელი გაითამაშა და მეკარესთან პირისპირ გავიდა. მომკვდურის დარტყმულზე ლაბაძის რეაქციამ არ დააგვიანა და ხიფათი განიმუხტა.

მეორე ტაიმში მოედანზე არაფერი შეცვლილა. „დილა" უტევდა, „მეტალურგი" თავს იცავდა და იშვიათად კონტრშეტევებისთვისაც იცლიდა. ძოძუაშვილმა კიდევ ერთი მომენტი გააცუდა. მერე, დავითნიძემ კარში ზუსტად კი დაარტყა, მაგრამ ბურთს მცველი გადაელობა და კუთხურზე მოიგერია. ხორგუაშვილმა კი საგოლე პოზიციიდან ბურთი კარს გადააცილა. დარჩენილ დროში სტუმართა დაცვა და მეკარე უშეცდომოდ თამაშობდნენ.

სადაც გორელებისა ვთქვით, სამართლიანობა მოითხოვს, ზესტაფონელთა მიერ შექმნილი საგოლე მომენტიც ვახსენოთ. შეტევებში გართულ მასპინძლებს სტუმართა ვეტერანი ენდელაძე დაუსხლტა. ზვიადი „დილას" საჯარიმოში მარჯვნიდან შევიდა და კარში ძლიერადაც დაარტყა, თუმცა სოლოღაშვილიც მომზადებული დაუხვდა შემოტევას და ახლო კუთხეში დარტყმული გააუვნებლა.

თამაშის შემდეგ გორელი ქომაგი „დილას" მწვრთნელ-ფეხბურთელებს საყვედურობდა, გუნდის უფერული გარეჯა სადამდე უნდა გაგრძელდესო. თუმცა ძალიან ერთგულები სულ ბოლომდე დარჩნენ და ამხნევებდნენ, არა უშავს, ყველაფერი რიგზე იქნებაო.

„დილას" თავკაც ვლადიმერ ხაჩიძეს ნამატჩევს ნერვიულობა ეტყობოდა, თქვა კიდეც, დღეს გორში ჩემი ბოლო მატჩი იყოო. კლუბის ხელმძღვანელები კი მის ნათქვამს არ ეთანხმებოდნენ. ხაჩიძემ „დილასთვის" ბევრი გაიღო, საპრეტენზიოც მის მიმართ არაფერი გვაქვს და მუშაობასაც ჩვეულად გააგრძელებსო.

| ბომბარდირები | | |
|---|---|---|
| 6 - | იონანიძე | ტორპედო |
| 4 - | მელქაძე | ვიტ ჯორჯია |
| | ხირაქიშვილი | ტორპედო |
| 3 - | ფირცხალაიშვილი | მერანი |
| | ვაჩიბერაძე | მეტალურგი |
| | დარასელია | დინამო |
| | გოდერძიშვილი | სიონი |
| | ადამია | ვიტ ჯორჯია |

| უმაღლესი ლიგა | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № გუნდები | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 ტორპედო | 8 | 6 | 1 | 1 | 15:2 | 13 | 19 | 5 | 4 | 0 | 1 | 10:2 | 8 | 12 | 3 | 2 | 1 | 0 | 5:0 | 5 | 7 |
| 2 დინამო | 7 | 6 | 1 | 0 | 14:1 | 13 | 19 | 2 | 2 | 0 | 0 | 6:0 | 6 | 6 | 5 | 4 | 1 | 0 | 8:1 | 7 | 13 |
| 3 ლოკომოტივი | 7 | 5 | 1 | 1 | 11:2 | 9 | 16 | 3 | 2 | 1 | 0 | 4:0 | 4 | 7 | 4 | 3 | 0 | 1 | 7:2 | 5 | 9 |
| 4 ვიტ ჯორჯია | 8 | 5 | 1 | 2 | 12:5 | 7 | 16 | 4 | 2 | 1 | 1 | 8:4 | 4 | 7 | 4 | 3 | 0 | 1 | 4:1 | 3 | 9 |
| 5 მეტალურგი | 8 | 4 | 1 | 3 | 7:10 | -3 | 13 | 4 | 2 | 0 | 2 | 3:6 | -3 | 6 | 4 | 2 | 1 | 1 | 4:4 | 0 | 7 |
| 6 კოლხეთი | 8 | 3 | 2 | 3 | 9:11 | -2 | 11 | 4 | 3 | 1 | 0 | 8:1 | 7 | 10 | 4 | 0 | 1 | 3 | 1:10 | -9 | 1 |
| 7 სიონი | 8 | 3 | 1 | 4 | 6:10 | -4 | 10 | 3 | 2 | 0 | 1 | 3:2 | 1 | 6 | 5 | 1 | 1 | 3 | 3:8 | -5 | 4 |
| 8 მერანი | 8 | 2 | 2 | 4 | 8:13 | -5 | 8 | 5 | 1 | 1 | 3 | 5:10 | -5 | 4 | 3 | 1 | 1 | 1 | 3:3 | 0 | 4 |
| 9 დილა | 8 | 1 | 2 | 5 | 3:11 | -8 | 5 | 5 | 1 | 1 | 3 | 2:6 | -4 | 4 | 3 | 0 | 1 | 2 | 1:5 | -4 | 1 |
| 10 მილანი | 8 | 1 | 2 | 5 | 3:13 | -10 | 5 | 3 | 0 | 0 | 3 | 1:6 | -5 | 0 | 5 | 1 | 2 | 2 | 2:7 | -5 | 5 |
| 11 ბათუმი | 8 | 0 | 4 | 4 | 3:7 | -4 | 4 | 5 | 0 | 4 | 1 | 1:2 | -1 | 4 | 3 | 0 | 0 | 3 | 2:5 | -3 | 0 |
| 12 ბორდა | 8 | 1 | 0 | 7 | 2:14 | -12 | 3 | 4 | 1 | 0 | 3 | 2:4 | -2 | 3 | 4 | 0 | 0 | 4 | 0:10 | -10 | 0 |

პირველ ტურში „მერანს", „მეტალურგს", „გორდას" და „მილანს" ჩამოერთვათ 0:3 წაგება

## ინგლისი

### პრემიერლიგა. VII ტური

**ასტონ ვილა 3:2 ევერტონი**

1:0, 2:0 ჰენდრი (7, 48), 2:1 რაძინსკი (51), 2:2 კემბელი (66), 3:2 დაბლინი (85)
ასტონ ვილა: ენკელმანი, მელბერგი, ბერი, სტონტონი, იონსენი, დე ლა კრუზი (ლეონარდსენი 75), კინსელა, ლ. ჰენდრი, ჯ. სამუელი, კრუში (დაბლინი 81), ვასელი (მური 82)
მწვრთნელი: გრემ ტეილორი
ევერტონი: რ. რაიტი, ჰაიბერტი, სტაბსი, ვეირი, ანსუორთი, გრაველსენი, ტიე, პემბრიჯი, როონი (ალექსანდერსონი 77), კ. კემბელი, რაძინსკი
მწვრთნელი: დევიდ მოიესი
გაფრთხილება: რონი
მსაჯი: უინტერი
30 023 მაყურებელი

**არსენალი 2:1 ბოლტონი**

1:0 ანრი (26), 1:1 ფარელი (47), 2:1 კანუ (90)
არსენალი: სიმენი, ლორენი (ტური 84), ს. კემბელი, კიოუნი, ეშლი კოული, ლიუნგბერგი (ბერგკამპი 68), ჟილბერტო სილვა, პარლორი, ვილტორდი (ჯეფერსი 68), ანრი, კანუ
მწვრთნელი: არსენ ვენგერი
ბოლტონი: იასკელაინენი, უიტლოუ, ბერგსონი, კამპო, ბერნესი, ფარელი, ფრანდსენი, ჩარლტონი, ჯორკაეფი (ტოფტინგი 81), დ. ჰოლდსუორთი (ოკოჩა 66), პედერსენი (რიკეტსი 48)
მწვრთნელი: სემ ალარდაისი
გაფრთხილება: კამპო, კიოუნი, ჰოლდსუორთი, იასკელაინენი, კამპო
გაძევება: კამპო (80)
მსაჯი: ბარი
37 974 მაყურებელი

**მანჩესტერი 1:0 ტოტენჰემი**

1:0 ვან ნისტელროი (63პ)
მანჩესტერი: ბარტეზი, ფ. ნევილი, ოში, რ. ფერდინანდი, სილვესტრი, ბეკჰემი, ვერონი (გ. ნევილი 76), ბატი, გიგზი (ბატი 85), ვან ნისტელროი, სოლსკიარი (ფორლანი 76)
მწვრთნელი: ალექს ფერგიუსონი
ტოტენჰემი: კელერი, ტეილორი, რიჩარდსი, დოჰერტი, ეთერინგტონი, რედნაპი, ბუნიევიჩი, ს. დევისი, ივერსენი (ლ. ფერდინანდი 76), შერინგემი (აჩიმოვიჩი 85), რობი კინი
მწვრთნელი: გლენ ჰოდლი
გაფრთხილება: ვან ნისტელროი, რიჩარდსი
მსაჯი: სტაილზი
67 611 მაყურებელი

**ლივერპული 2:0 ვესტ ბრომვიჩი**

1:0 ბაროში (56), 2:0 რიისე (90)
ლივერპული: დუდეკი, კარაგერი, ჰენჩი, ჰიუპია, რიისე, დენი მერფი, ჰამანი, ჯერარდი, შეირუ (დიაო 88), ოუენი, ბაროში (ჰესკი 75)
მწვრთნელი: ჟერარ ულიე
ვესტ ბრომვიჩი: ჰოულტი, სიგურდსონი, დ. მური, ჯილქრისტი, ბალიში (ლ. მარშალი 82), უ. ჯონსონი, გრიგენი, კუმასი (დიჩიო 46), კლემენტი, რობერტსი, დობი (ჯ. მური 35)
მწვრთნელი: გარი მეგსონი
გაფრთხილება: დ. მური, ჰესკი, გრიგენი, დიჩიო
გაძევება: ჰოულტი (35)
მსაჯი: ელერი
48 830 მაყურებელი

**ნიუკასლი 2:0 სანდერლენდი**

1:0 ბელამი (2), 2:0 შირერი (39)
ნიუკასლი: გივენი, ა. ჰიუზი, ობრაიენი, დაბიზასი, გრიფინი, სოლანო (ჯენასი 64), დაიერი, სპიდი, რობერი (ვიანა 77), შირერი, ბელამი (ამეობი 86)
მწვრთნელი: ბობი რობსონი
სანდერლენდი: სორენსენი, ს. რაიტი, ბები, ბიორკლუნდი (დ. უილიამსი 71), გრეი, პიპერი, მაკატირი (ნ. ქუინი 46), კ. რეინა, გ. მაკკანი, კილბეინი, ფლო (მ. სტიუარტი 86)
მწვრთნელი: პიტერ რიდი
გაფრთხილება: რობერი, ბელამი, ბიორკლუნდი, რაიტი, მაკკანი, უილიამსი
მსაჯი: რილი
52 181 მაყურებელი

**მიდლსბრო 1:0 ბირმინგემი**

1:0 კედრუ (29)
მიდლსბრო: შვარცერი, ეჰიოგუ, ვიდმარი, კუპერი, სტოკდეილი, გრინინგი, ჯერემი, კედრუ, ჟობი (უილკშირი 76), ნემეტი (ბოკშიჩი 63), მაკარონე
მწვრთნელი: სტივ მაკლარენი
ბირმინგემი: ვესენი, კენა (კოროლსკი 81), პარსი, კანინგემი, გრეინჯერი (ლაზარიდისი 46), დევლინი, სევიჯი, ა. სისე, დ. ჯონსონი, ჯონი (ჰორსფილდი 66), მორისონი
მწვრთნელი: სტივ ბრიუსი
გაფრთხილება: გრინინგი, მაკარონე, ბოკშიჩი, მორისონი, პარსი, სევიჯი, სისე
მსაჯი: ბურსი
29 869 მაყურებელი

**ვესტ ჰემი 0:0 მანჩესტერ სიტი**

ვესტ ჰემი: ჯეიმსი, რეპკა, ბრინი, მინტო, შემელი, ტ. სინკლერი, ლომასი, ე. სისე (კარიკი 74), ჯ. კოული (ი. პირსი 89), კანო, დი კანიო (დეფო 74)
მწვრთნელი: გლენ როედერი
მანჩესტერ სიტი: შმაიხელი, ჰოუი, დისტინი, ჯიხაი, ნ. იენსენი, ბენარბია (მაკენი 82), ბერკოვიჩი, ფოუ, ჰორლოკი, რაიტ-ფილიპსი, ანელკა
მწვრთნელი: კევინ კიგანი
გაფრთხილება: სისე, მინტო
მსაჯი: ბარბერი
35 550 მაყურებელი

**საუთჰემპტონი 0:0 ჩარლტონი**

საუთჰემპტონი: ნიემი, ტელფერი, ლუნდეკვამი, პ. უილიამსი, ბრიჯი, დელაპი, ოკლი (ა. სვენსონი 68), მარსდენი, ფერნანდესი (ბიტი 76), ტესემი, პახარსი
მწვრთნელი: გორდონ სტრაჩანი
ჩარლტონი: დ. კილი, იანგი, რუფუსი, ფორჩუნი, კ. პაუელი, ჯ. რობინსონი (ლისბი 85), კ. იენსენი, ბარტ-უილიამსი, კიშიშევი, ჯ. იოჰანსონი (ბარტლეტი 46), იუელი
მწვრთნელი: ალან კურბიშლი
გაფრთხილება: დელაპი, ბრიჯი, იუელი
მსაჯი: დოუდი
25 714 მაყურებელი

**ბლეკბერნი 1:0 ლიდსი**

1:0 ფლიტკროფტი (24)
სმიტმა ვერ გაიტანა პენალტი (65, მეკარე)
ბლეკბერნი: ფრიდელი, ნილი, ბერგი, მ. ტეილორი, შორტი, ტომპსონი, ფლიტკროფტი, თუგაი, დევიდ დანი (დანსი 90), გილესპი, ოსტენსტადი (გრაბი 68)
მწვრთნელი: გრემ სუნესი
ლიდსი: პ. რობინსონი, მილსი, ვუდგეიტი, რადებე, ჰარტი (გ. კელი 64), ბაკე, დაკური (მაკფაილი 63), ბოიერი, ბარმბი, ვიდუკა (მაკმასტერი 63), სმიტი
მწვრთნელი: ტერი ვენებლზი
გაფრთხილება: ნილი, სმიტი, ბარმბი
მსაჯი: პოლი
25 415 მაყურებელი

# მასპინძლების და პენალტების ამბავი




REUTERS მანჩესტერიდან

მანჩესტერი — ტოტენჰემი. მეკარის საქმე ესაა: ლონდონელმა კეისი კელერმა რუუდ ვან ნისტელროის ბურთი ბოლო წამს აიცალა

**ფულემი — ჩელსი**

*წუხელ გვიან დამთავრდა (იხ. მეორე გვერდზე) და მისი შედეგი ცხრილში შეტანილი არ არის*

**რონალდინიო**, დიტმარ ჰამანი, ნაიმი — ეს ის ხალხია, ვინც თავიანთი შორეული დარტყმა-ჩაწოდებებით დევიდ სიმენის დიდ მეკარეობას ხინჯი გაუჩინა. ახლა ამ გვარ-სახელებს კიდევ ერთი დაემატა, არცთუ ცნობილი და ვარსკვლავური — ბოლტონელმა გარეთ ფარელიმ ჩაჰკიდა თუ დაარტყა საიდანღაც, ფლანგიდან. ბურთმა „არსენალის" დროულ მეკარეს თავზე გადაუფრინა და კარის ბადეში აღმოჩნდა.

ეს გოლი საკმარისი ჩანდა იმისთვის, რომ „ბოლტონს" ქულა წაელო „ჰაიბერიდან". თუმცა, მოულოდნელმა „მეთოფეებმა" მაინც თავისი გაიტანეს — ნვანკვო კანუს გრძელი ფეხი მოხტუნავე ბურთს მისწვდა და სულ ბოლო წუთზე „არსენალმა" მაინც გაიმარჯვა. ფარელის გოლამდე კი იყო ტიერი ანრის ლამაზი გოლი და კიდევ მანამდე ანრის მიერვე აცილებული პენალტი, სხვათა შორის, ზედიზედ მესამე. და მაინც, „არსენალმა" ზედიზედ 46-ე მატჩში გაიტანა გამარჯვების გოლი და საბოლოოდ დაამხო „ჩესტერფილდის" სამოცდათორმეტი წლის წინანდელი რეკორდი. „მეთოფენი" კვლავ ლიდერები არიან, არსენ ვენგერი კი შეეცადა წამოჭარხლებული სიმენი დაეცვა: ფარელის ჩაკიდული გზად რეი პარლოუს მოხვდა და მიმართულება შეიცვალაო. ბოლტონელთა თავკაც სემ ალიარდისს კი საწყენად ის დაურჩა, რომ ზედიზედ მეორე თამაში წააგო ბოლო წუთებზე. თანაც „ბოლტონი" ბოლო ათ წუთს ათი კაცითღა იყო — ივან კამპო მეორე ყვითლით, დროის გაყვანისთვის გამოეთხოვა მინდორს.

საერთოდ, ეს უქმეები მასპინძლებისა და პენალტებისა იყო. მასპინძლებმა ორი თამაში დაასრულეს ფრედ და დანარჩენი კი მოიგეს. „ვესტ ჰემ" — „სიტის" მატჩს უხვგოლიანს ელოდნენ ამ გუნდების ხასიათიდან გამომდინარე, მაგრამ მძიმე 0:0 კი გამოვიდა. „ვესტ ჰემი" კვლავაც ელის თავის პირველ მოგებას, კევინ კიგანმა კი თქვა: „ჩვენებისგან მეტს მოველოდი, თუმცა, სტუმრად მოპოვებული ქულა ხასიათს მიკეთებს". უგოლო იყო „საუთჰემპტონ" — „ჩარლტონის" შეხვედრაც, პენალტების ისტორია კი მართლაც ამაღელვებელი გამოდგა.

„ლივერპული" შინ ხვდებოდა „ვესტ ბრომვიჩს" და ადრიდანვე მიაწვა, მაგრამ აქ ის უნდა ვიცოდეთ, რომ ფორმაში ვერ არის მაიკლ ოუენი, რომელმაც ჯერჯერობით ერთადერთი გოლი გაიტანა და ისიც პენალტით. ოუენმა კვლავ დადო ბურთი პენალტის ნიშნულზე, მას შემდეგ, რაც იგი მეკარე რასელ ჰოულტმა მოცელა. ჰოულტი გააძევეს, შეცვლაზე კი ახალბედა ჯო მერფი შევიდა, ვინც ერთი თვის გადასულია პატარა „ტრანმერიდან". მერფის პირველივე შეხება ბურთთან პრემიერლიგაში დასამახსოვრებელი ამოდგა — მან პენალტი აუღო ოუენს. „ლივერპული" კი მილან ბაროშმა იხსნა, სულ ბოლოს კი იონ არნე რიისემაც გაუტანა ახალბედას.

კვირას ერთი ამბავი იყო ბლეკბერნში, სადაც კოულ-იორკ-იენსენის გარეშე მოთამაშე მასპინძლებმა პირველი საშინაო გამარჯვება მოიპოვეს და დაამარცხეს „ლიდსი", რომელმაც ვერც ვერ იპოვა თამაშის რიტმი და ვერც სამმაგმა შეცვლამ უშველა. ბლეკბერნელთა შორის მთავარ კაცად იყო კიტ გილესპი, რომელმაც ფლანგი აიკლო და მისი ქროსით გაიტანა კიდეც გარი ფლიტკროფტმა, რომელსაც შარშანდელი ოქტომბრის შემდეგ არ გაუტანია. და კვლავ პენალტი: ნიშნულთან ლიდსელი ალან სმიტი და მეკარე ბრედ ფრიდელის ბრწყინვალედ ნახტომი. „ლიდსმა" კი მეორე ადგილზე დამკვიდრების შანსი დაკარგა.

საპენალტო ამბავი მოხდა მანჩესტერშიც, სადაც „იუნაიტედს" „ტოტენჰემის" მეკარე კეისი კელერი აღუდგა წინ და ოთხი ნაღდი ბურთი მაინც გამოაძრო. სოლსკიაერი და რუუდ ვან ნისტელროი გიჟებს დაემსგავსნენ, ძაა ფერგი კი მთლად წამოჭარხლებულიყო. მანჩესტერელები დიდად ემადლიერებიან ფაბიენ ბარტეზს, რომელმაც კარის წინიდან ფეხით აუღო დინ რიჩარდსს. ამის შემდეგ იყო პენალტი და ვან ნისტელროიმ არ ააცილა, „იუნაიტედმა" 1:0 მოიგო.

შაბათ საღამოსვე „ნიუკასლმა" იოლად მოუგო წამხდარ „სანდერლენდს", კვირას კი „ასტონ ვილამ" დიონ დაბლინის გოლით გამოგლიჯა სამი ქულა „ევერტონს", რომელმაც მანამდე 0:2-დან შემოატრიალა თამაში. მოიგო „მიდლსბრომაც", ფრანკ კედრუს მოხდენილი საჯარიმო დარტყმით აჯობა „ბირმინგემს".

**ირაკლი გამყრელიძე**

### I დივიზიონი. X ტური

**დერბი ქაუნთი 0:2 პრესტონი**

0:1 ეტუჰუ (41), 0:2 ჰილი (77)
დერბი ქაუნთი: პოომი, ბარტონი, ჰიგინბოთემი, რიგოტი, ბოერტიენი, ბოლდერი (ჰანტი 46), ლი, ონილი (მიურეი 82), მორისი, ძინძლაძე, კრისტი
მწვრთნელი: ჯონ გრეგორი
29 257 მაყურებელი

**ბრედფორდი 2:2 ბარნსლი**

1:0 გრეი (17), 1:1 კადამარტერი (57), 1:2 ტეილორი (76), 2:2 პროქტორი (90)

**ჯილინგემი 1:1 შეფილდ იუნაიტედი**

1:0 შოუ (16), 1:1 ელისონი (60)

**გრიმსბი 0:3 ნოტინგემი**

0:1, 0:2, 0:3 ჯონსონი (17, 86პ, 90)

**მილუოლი 0:3 უოლსოლი**

0:1 ზდრილიჩი (21), 0:2 ვრაკი (35), 0:3 ლეიტონი (76)

**ნორვიჩი 1:0 პორტსმუთი**

1:0 რობერტსი (81)

**როტერჰემი 1:0 ბრაიტონი**

1:0 ლი (20)

**შეფილდ უენსდი 0:0 ლესტერი**

**უოტფორდი 3:3 კრისტალ პალასი**

0:1 მალინსი (24), 1:1 ერდლი (28), 2:1 ჰიდი (38), 2:2 გრეინვილი (41), 2:3 მალინსი (45), 3:3 ჰელგუსონი (47)

**უიმბლდონი 0:1 კოვენტრი**

0:1 მაკალისტერი (83)

**ვულვერჰემპტონი 0:1 რედინგი**

0:1 ჰიუზი (58)

**სტოკი 2:1 იფსვიჩი**

1:0 შტანიუკი (17), 1:1 ჰოლანდი (68), 2:1 კუკი (80)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პორტსმუთი | 10 | 8 | 1 | 1 | 22:8 | 25 |
| ლესტერი | 10 | 7 | 2 | 1 | 18:10 | 23 |
| ნორვიჩი | 10 | 6 | 3 | 1 | 19:6 | 21 |
| როტერჰემი | 10 | 5 | 3 | 2 | 18:11 | 18 |
| შეფილდი | 10 | 5 | 3 | 2 | 14:11 | 18 |
| ქოვენთრი | 9 | 5 | 2 | 2 | 12:11 | 17 |
| ნოტინგემი | 9 | 5 | 1 | 3 | 17:8 | 16 |
| უოტფორდი | 10 | 4 | 3 | 3 | 15:17 | 15 |
| ჯილინგემი | 10 | 4 | 2 | 4 | 11:14 | 14 |
| ბრედფორდი | 9 | 3 | 4 | 2 | 11:12 | 13 |
| რედინგი | 10 | 4 | 1 | 5 | 10:11 | 13 |
| პრესტონი | 9 | 2 | 6 | 1 | 13:11 | 12 |
| დერბი ქაუნთი | 10 | 4 | 0 | 6 | 12:15 | 12 |
| ვულვზი | 8 | 3 | 2 | 3 | 16:12 | 11 |
| სტოკი | 9 | 3 | 2 | 4 | 11:13 | 11 |
| კრისტალ პალასი | 9 | 2 | 4 | 3 | 12:12 | 10 |
| უოლსოლი | 10 | 3 | 1 | 6 | 12:16 | 10 |
| უიმბლდონი | 10 | 3 | 1 | 6 | 10:16 | 10 |
| იფსვიჩი | 7 | 2 | 3 | 2 | 12:7 | 9 |
| ბარნლი | 9 | 2 | 3 | 4 | 9:16 | 9 |
| მილუოლი | 10 | 2 | 3 | 5 | 7:17 | 9 |
| უენსდი | 9 | 1 | 5 | 3 | 9:13 | 8 |
| ბრაიტონი | 10 | 1 | 1 | 8 | 8:18 | 4 |
| გრიმსბი | 9 | 0 | 2 | 7 | 4:17 | 2 |

### მეორე დივიზიონი

მე-10 ტური: ბლეკპული — პორტ ვეილი 3:2; ბრენტფორდი — უიკომბი 1:0; ბრისტოლი — ქუინზ პარკი 1:3; კოლჩესტერი — ოლდემი 0:1; ქრიუ — ტრანმერი 2:0; ჰადერსფილდი — ლუტონი 0:1; მენსფილდი — ჩელტენემი 0:2; ნოტსი — კარდიფი 0:1; პლიმუთი — ჩესტერფილდი 0:1; სტოკპორტი — ბარნსლი 4:1; სუინდონი — ნორთჰემპტონი 2:0; უიგანი — პიტერბორო 2:2

### მესამე დივიზიონი

მე-10 ტური: ბერი — ჰარტლპული 1:1; კემბრიჯი — იორკი 3:0; კარლაილი — ბოსტონი 4:2; დარლინგტონი — ბორნმუთი 2:2; ექსეტერი — ლეიტონი 1:0; კიდერმინსტერი — როჩდეილი 0:0; ლინკოლნი — საუთენდი 2:1; მაკლსფილდი — სკანთორპი 2:3; ოქსფორდი — ჰალი 0:0; რაშდენი — რექსემი 2:2; შრუსბერი — როვერსი 2:5; სუონსი — ტორკი 0:1

| | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 არსენალი | 7 | 5 | 2 | 0 | 17:7 | 10 | 17 | 4 | 4 | 0 | 0 | 11:4 | 7 | 12 | 3 | 1 | 2 | 0 | 6:3 | 3 | 5 |
| 2 ლივერპული | 7 | 4 | 3 | 0 | 15:8 | 7 | 15 | 4 | 2 | 2 | 0 | 9:4 | 5 | 8 | 3 | 2 | 1 | 0 | 6:4 | 2 | 7 |
| 3 ტოტენჰემი | 7 | 4 | 1 | 2 | 11:9 | 2 | 13 | 3 | 3 | 0 | 0 | 6:3 | 3 | 9 | 4 | 1 | 1 | 2 | 5:6 | -1 | 4 |
| 4 ჩელსი | 6 | 3 | 3 | 0 | 13:8 | 5 | 12 | 3 | 1 | 2 | 0 | 6:3 | 3 | 5 | 3 | 2 | 1 | 0 | 7:5 | 2 | 7 |
| 5 ლიდსი | 7 | 4 | 0 | 3 | 10:5 | 5 | 12 | 3 | 2 | 0 | 1 | 4:1 | 3 | 6 | 4 | 2 | 0 | 2 | 6:4 | 2 | 6 |
| 6 მიდლსბრო | 7 | 3 | 2 | 2 | 8:5 | 3 | 11 | 4 | 3 | 1 | 0 | 7:2 | 5 | 10 | 3 | 0 | 1 | 2 | 1:3 | -2 | 1 |
| 7 მანჩესტერი | 7 | 3 | 2 | 2 | 6:5 | 1 | 11 | 4 | 3 | 0 | 1 | 3:1 | 2 | 9 | 3 | 0 | 2 | 1 | 3:4 | -1 | 2 |
| 8 ფულემი | 5 | 3 | 1 | 1 | 12:6 | 6 | 10 | 2 | 2 | 0 | 0 | 7:3 | 4 | 6 | 3 | 1 | 1 | 1 | 5:3 | 2 | 4 |
| 9 ბლეკბერნი | 7 | 2 | 3 | 2 | 8:8 | 0 | 9 | 4 | 1 | 2 | 1 | 5:5 | 0 | 5 | 3 | 1 | 1 | 1 | 3:3 | 0 | 4 |
| 10 ასტონ ვილა | 7 | 3 | 0 | 4 | 6:8 | -2 | 9 | 4 | 3 | 0 | 1 | 6:3 | 3 | 9 | 3 | 0 | 0 | 3 | 0:5 | -5 | 0 |
| 11 ვესტ ბრომვიჩი | 7 | 3 | 0 | 4 | 6:11 | -5 | 9 | 3 | 2 | 0 | 1 | 3:3 | 0 | 6 | 4 | 1 | 0 | 3 | 3:8 | -5 | 3 |
| 12 ბირმინგემი | 7 | 2 | 2 | 3 | 8:8 | 0 | 8 | 3 | 2 | 0 | 1 | 5:2 | 3 | 6 | 4 | 0 | 2 | 2 | 3:6 | -3 | 2 |
| 13 ევერტონი | 7 | 2 | 2 | 3 | 9:11 | -2 | 8 | 3 | 1 | 2 | 0 | 5:4 | 1 | 5 | 4 | 1 | 0 | 3 | 4:7 | -3 | 3 |
| 14 სიტი | 7 | 2 | 2 | 3 | 7:9 | -2 | 8 | 3 | 2 | 1 | 0 | 6:3 | 3 | 7 | 4 | 0 | 1 | 3 | 1:6 | -5 | 1 |
| 15 ნიუკასლი | 6 | 2 | 1 | 3 | 8:8 | 0 | 7 | 3 | 2 | 0 | 1 | 6:2 | 4 | 6 | 3 | 0 | 1 | 2 | 2:6 | -4 | 1 |
| 16 ჩარლტონი | 7 | 2 | 1 | 4 | 6:10 | -4 | 7 | 3 | 0 | 0 | 3 | 2:7 | -5 | 0 | 4 | 2 | 1 | 1 | 4:3 | 1 | 7 |
| 17 ბოლტონი | 6 | 2 | 0 | 4 | 7:11 | -4 | 6 | 3 | 1 | 0 | 2 | 4:5 | -1 | 3 | 3 | 1 | 0 | 2 | 3:6 | -3 | 3 |
| 18 საუთჰემპტონი | 7 | 1 | 3 | 3 | 3:7 | -4 | 6 | 4 | 1 | 3 | 0 | 2:1 | 1 | 6 | 3 | 0 | 0 | 3 | 1:6 | -5 | 0 |
| 19 სანდერლენდი | 7 | 1 | 2 | 4 | 2:10 | -8 | 5 | 3 | 0 | 1 | 2 | 1:5 | -4 | 1 | 4 | 1 | 1 | 2 | 1:5 | -4 | 4 |
| 20 ვესტ ჰემი | 6 | 0 | 2 | 4 | 4:12 | -8 | 2 | 4 | 0 | 2 | 2 | 2:5 | -3 | 2 | 2 | 0 | 0 | 2 | 2:7 | -5 | 0 |

**VIII ტური**

28 სექტემბერი

ლიდსი — არსენალი
ბოლტონი — საუთჰემპტონი
ჩარლტონი — მანჩესტერი
ჩელსი — ვესტ ჰემი
ევერტონი — ფულემი
მანჩესტერ სიტი — ლივერპული
სანდერლენდი — ასტონ ვილა
ტოტენჰემი — მიდლსბრო
ვესტ ბრომვიჩი — ბლეკბერნი

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| ვილტორდი (არსენალი) | 6 |
| ძოლა (ჩელსი) | 5 |
| ანრი (არსენალი) | 5 |
| ანელკა (მანჩესტერ სიტი) | 4 |
| კ. კემბელი (ევერტონი) | 4 |

## გერმანია

### ბუნდესლიგა. VI ტური

**ვერდერი 3:2 ლევერკუზენი**

0:1 ბრდარიჩი (11), 1:1 აილტონი (25პ), 2:1, 3:1 ხარისტეასი (27, 31), 3:2 სტალტერი (41ს.გ.)
ვერდერი: ბორელი, ფ. ბაუმანი (ბოროვსკი 39), ვერლაატი, კრსტაიჩი, ფ. ერნსტი, სტალტერი, სკრიპნიკი, ლისტეში, მიკუ, აილტონი (კლასნიჩი 89), ხარისტეასი
მწვრთნელი: თომას შააფი
ლევერკუზენი: იურიჩი, ლუსიო, რამელოუ, ჟივკოვიჩი, ფრანიუში (ბერბატოვი 46), ბალიტში (ფრანცა 72), ბ. შნაიდერი, ბაშტურქი, შიმაკი (ბიროლეკა 75), ნოივილე, ბრდარიჩი
მწვრთნელი: კლაუს ტოპმოლერი
გაფრთხილება: ვერლაატი, ხარისტეასი, ფრანიუში, შნაიდერი, შიმაკი, ბაშტურქი, რამელოუ
გაძევება: ბერბატოვი (57), მიკუ (57)
მსაჯი: შტარკი
28 160 მაყურებელი

**ჰერტა 2:0 ჰამბურგი**

1:0 მარსელინიო (50), 2:0 გოორი (52)
ჰერტა: კირალი, რემერი, სვერისონი (ვან ბურიკი 20), ფრიდრიხი, ჰარტმანი, მარქსი, დარდაი (მაასი 86), მარსელინიო, ნოიენდორფი (მონტეუ 65), გოორი, პრეეცი
მწვრთნელი: ჰუუბ სტევენსი
ჰამბურგი: პიკენჰაგენი, ჰოოგმა, ბაური, ჰერჩი (კლინგი 63), უიფალუში, ვიკი, ბენჯამინი, ლედესმა, ბარბარეზი, მაჰდავიკია (იაკობსენი 56), რომეო
მწვრთნელი: კურტ იარა
გაფრთხილება: ჰარტმანი, ბაური, უიფალუში, ბაური, ლედესმა
გაძევება: ბაური (54)
მსაჯი: კრუგი
41 200 მაყურებელი

**ვოლფსბურგი 0:2 ნიურნბერგი**

0:1 სანე (65), 0:2 პეტკოვიჩი (68პ)
პეტკოვიჩმა ვერ გაიტანა პენალტი (68, მეკარე)
ვოლფსბურგი: რაიტმაიერი, მადსენი, შნოორი (ტ. მარიჩი 60), ბილიშკოვი, კარჰანი, აკონორი (დ. მუნტიანუ 69), რაუ, ეფენბერგი, პონტე (პრეგერი 60), მ. პეტროვი, კლიმოვიჩი
მწვრთნელი: ვოლფგანგ ვოლფი
ნიურნბერგი: კამპა, დ. პეტკოვიჩი, სანე, კოში, პოპოვიჩი, ლარსენი, მიულერი, ფრაი (შტეილე 87), იაროლიმი, კაკაუ (ვილა 81), დრილერი (ს. ჩირიჩი 71)
მწვრთნელი: კლაუს აუგენტალერი
გაფრთხილება: შნოორი, რაიტმაიერი, ეფენბერგი, კაკაუ
მსაჯი: ფანდელი
12 414 მაყურებელი

**ჰანოვერი 2:2 ბოხუმი**

0:1 ფარენჰორსტი (24), 1:1 ბობიჩი (44), 2:1 ლინკე (73), 2:2 ტაპალოვიჩი (89)
ჰანოვერი: სიევერსი, ჩერუნდოლო, კ. ლინკე, ზურავი, შულერი, ლალა, ხაიმე, კრუპნიკოვიჩი (შტეფული 88), სტაინერი (შტენდელი 83), ბობიჩი, იდრისუ
მწვრთნელი: რალფ რანგნიკი
ბოხუმი: ვან დუინჰოვენი, კოლდინგი, კალა, ფარენჰორსტი, მაიხელბეკი (ბემბენი 69), გუდიონსონი (ბინდერლიხი 30), ფ. ტაპალოვიჩი, ფრაიერი, ვოში, კრისტიანსენი (მაშემინი 65), ბაკლი
მწვრთნელი: პეტერ ნოირურერი
გაფრთხილება: ხაიმე, ზურავი, ბობიჩი, ფრაიერი, ვოში, ბაკლი
მსაჯი: მერკი
34 742 მაყურებელი

**ჰანზა 0:1 დორტმუნდი**

0:1 კოლერი (12)
ჰანზა: შობერი, ვიმერი, იაკობსონი, კინცი, მაული, ადუბე, რიდლევიჩი, პერსონი, ვიბრანი (მეგლე 56), სალუ (არვიდსონი 67), პრიცა
მწვრთნელი: არმინ ვები
დორტმუნდი: ლემანი, მადუნი, მეცელდერი, ფერნანდესი (ევანილსონი 46), დედე, კელი, როიტერი, ფრინგსი, ევერტონი, ჟ. რეინა (ვორონსი 67), კოლერი (მერლობი 88)
მწვრთნელი: მათიას ზამერი
გაფრთხილება: ადუბე, რიდლევიჩი
მსაჯი: შიპელი
28 600 მაყურებელი

**კაიზერსლაუტერნი 0:0 მიუნხენ 1860**

კაიზერსლაუტერნი: გ. კოხი, ჰ. კოხი, ჰენგენი, კნავსი, ტიბერი (ბიელიცა 61), რიდლე, გრამოზისი, ლოკვენცი, ლინკოლნი, ბასლერი (დომინგუში 65), კლოზე
მწვრთნელი: ერიკ გერეტსი
მიუნხენ 1860: იენში, მაიერი, და სილვა (პფუდერერი 62), კოშტა, ჩერნი, კურცი, ვიზინგერი (ბორიმიროვი 76), ჰესლერი, მ. ვაისენბერგერი (შვარცი 86), ლაუტი, შროტი
მწვრთნელი: პეტერ პაკულტი
გაფრთხილება: ჰენგენი, კურცი, და სილვა, ლაუტი, ვაისენბერგერი
მსაჯი: კირხერი
34 310 მაყურებელი

**ბაიერნი 3:1 კოტბუსი**

0:1 რინკი (19), 1:1 ციკლერი (45), 2:1 ბალაკი (47), 3:1 ელბერი (76)
ბაიერნი: კანი, სალიჰამიჯიჩი, კუფური (იერემისი 46), რ. კოვაჩი, ტარნატი, ფინკი, ჰარგრივსი, ზე რობერტო (თ. ლინკე 83), ბალაკი (ნ. კოვაჩი 79), ელბერი, ციკლერი
მწვრთნელი: ოტმარ ჰიცფელდი
კოტბუსი: პიპლიცა, კალუჟნი, ბეეკი, ბერჰალტერი, და სილვა, აკრაპოვიჩი, შროტერი, ლატუნდი, რეგეკამპფი (ტიელმანი 66), ვაგნერი (იუნგნიკელი 18), რინკი (იუშკოვიაკი 79)
მწვრთნელი: ედუარდ გაიერი
გაფრთხილება: ბეეკი, აკრაპოვიჩი, კალუჟნი
მსაჯი: კინჰეფერი
43 000 მაყურებელი

**შტუტგარტი 3:0 არმინია**

1:0, 2:0, 3:0 კურანი (5, 64, 69)
შტუტგარტი: ჰილდებრანდი, ჰინკელი, რუი მარკეში, ბორდონი, ვენცელი, მეირა, სოლდო (მაისნერი 65), ამანატიდისი (ტიფერტი 80), ბალაკოვი, განეა (გლები 58), კურანი
მწვრთნელი: ფელიქს მაგათი
არმინია: ჰაინი, ჰანსენი, რაინჰარდტი, ბოგუში, დაბროვსკი, კაუფი, დამაიერი, ბრინკმანი (ალბაირაქი 61), ვატა (ჩა 61), დიაბანგი, ვიჩნიარეკი (პორჩელიო 71)
მწვრთნელი: ბენო მიოლმანი
გაფრთხილება: კურანი, სოლდო, დამაიერი, კაუფი
მსაჯი: შტრამპე
17 500 მაყურებელი

**შალკე 2:1 მიონხენგლადბახი**

1:0 პოულსენი (15), 1:1 ვან ჰუტი (30), 2:1 აგალი (45)
ჰაიტომ ვერ გაიტანა პენალტი (36, მეკარე)
შალკე: ფ. როსტი, უდე კამფუისი, ჰაიტო, მატელანი, როდრიგესი (ვან ჰოოგდალემი 57), პოულსენი, მიოლერი, ასამოა (ვილმოტსი 82), ვარელა, სანდი, აგალი (კმეტში 77)
მწვრთნელი: ფრანკ ნოიბარტი
მიონხენგლადბახი: შტილი, კლუგე, კორელი, შტრასერი (ბლეტში 66), მიუნხი, შტასინი, პაჩიალერი, ულიხი (აიდოო 66), კორზინეცი (სკუბო 46), ვან ჰუტი, ვან ლენტი
მწვრთნელი: ჰანს მაიერი
გაფრთხილება: მიოლერი, ვარელა, სანდი, მიუნხი, შტრასერი, კლუგე
მსაჯი: ვაკი
60 597 მაყურებელი

# არც ერთი სანუგეშო სიტყვა

## ლევერკუზენმა თავისი შარშან ითამაშა




REUTERS

ბაიერნი — კოტბუსი. ბრაზილიური შეხლა: სტუმარი ვრაძელ და სილვა და მასპინძელი ჯოვანი ელბერი

თუ „ლევერკუზენის" ქომაგი ბრძანდებით და ბალაკ-ზე რობერტოს გაყიდვისა და ბუნდესლიგის საწყისი ხუთი ტურის შემდეგ გუნდის მონაგარმა რაღაც ეჭვები არ გაგიჩინათ, ვინძლო, მეექვსე ტურის მერე მაინც გიყოთ გულმა რეჩხი. და თუ „ლევერკუზენის" ქომაგი არ ბრძანდებით, ფეხბურთთან საერთოდ მწყრალად ხართ და სპორტული გაზეთი შემთხვევით ჩაგივარდათ ხელში, მოგახსენებთ, რომ აღნიშნული გუნდი, რომელიც ახლა ცხრილში მეთხუთმეტე ადგილზეა, წინა სეზონში გერმანიის ვიცე-ჩემპიონი გახდა, ამავე ქვეყნის თასისა და ჩემპიონთა ლიგის ფინალებში გავიდა. ერთი სიტყვით, ევროპაში ერთ-ერთი საუკეთესო იყო. საქმეში ჩახედულებს კი მოგახსენებთ, რომ პირველი ტაიმის ექვსწუთიან მონაკვეთში კლაუს ტოპმოლერის შეგირდებმა როგორღაც მოახერხეს და სამი ბურთი გაუშვეს. არადა, ბრემენში ჩასული ლევერკუზენელები ტომაშ ბრდარიჩის ადრეული გოლით იგებდნენ, რითაც ქომაგს იმედი მისცეს, რომ წინა ტურების ჩავარდნა ოდენ შემთხვევითობა იყო — ვაგლახ! ასევე დავძინოთ, რომ პირველი ტაიმი საცქერლად საამო გამოდგა, ხოლო შესვენების შემდეგ გამოსარჩევი მხოლოდ ორმაგი გაძევება იყო: მასპინძელთა ფრანგმა იოან მიკუმ და სტუმართა ბულგარელმა დიმიტარ ბერბატოვმა ერთმანეთზე ისე გაიწიეს, მსაჯმა ორივე მათგანი გააძევა.

ამასობაში ლიდერობა განიმტკიცა მიუნხენის „ბაიერნმა", რამეთუ მისმა უახლოესმა მდევარმა როსტოკის „ჰანზამ" საშინაო შეხვედრა დათმო წინა სეზონის ტრიუმფატორ „დორტმუნდთან".

წინა ოთხშაბათისა არ იყოს, მიუნხენის „ოლიმპიაშტადიონზე" თითქოს სენსაცია მზადდებოდა — კოტბუსელმა პაულო რინკმა ოლივერ კანის კარი დალაშქრა. მაგრამ „ბაიერნის" ქომაგთა გასახარად, რომელთა რაოდენობაც მთელ მსოფლიოშიც და საქართველოშიც ბევრად აღემატება „ლევერკუზენის" ფანობას, მიუნხენელებმა კოტბუსელთა „თავხედობას" სამი გოლით უპასუხეს. ამათგან ბოლო გოლი, ჯოვანი ელბერისა, გუნდისთვის დიდად მნიშვნელოვანი არ იყო, მაგრამ თავად ფეხბურთელს მეექვსე ტურის შემდეგ საუკეთესო ბომბარდირის სახელი მოუტანა, უფრო სწორად კი გაუნაწილა ბოხუმელ თომას კრისტიანსენთან, რომელიც ამ სიას აქამდე ეულად მეთაურობდა.

მეორეადგილოსანმა „ჰანზამ", როგორც უკვე მოგახსენეთ, შინ წააგო „დორტმუნდთან", რის მიზეზად მე-12 წუთზე ჩემპიონთა ახმახი ჩეხის, იან კოლერის გოლი იქცა.

„ბაიერნისა" და „დორტმუნდის" მსგავსად ჯერაც დაუმარცხებელია გელზენკირხენის „შალკე".

1997 წლის უეფას თასის მფლობელთა მეტოქე მიონხენგლადბახის „ბორუსია" იყო — გუნდი, რომელმაც წლეულს ერთადერთმა შეძლო „ბაიერნისთვის" ქულებისართმევა (პირველ ტურში 0:0) და „შალკესაც" იოლად არ დანებდა. მასპინძელთა დანიელმა ნახევარმცველმა კრისტიან პოულსენმა თავურით გახსნა ანგარიში, რასაც გლადბახელთა ბელგიელმა იორის ვან ჰუტმა თავურითვე უპასუხა. საპასუხო გოლიდან ოთხიოდ წუთში კი არბიტრმა გელზენკირხენელ ტომაშ ჰაიტოს პენალტის დარტყმის უფლება უბოძა. რად გინდა — ბურთი მეკარე იორგ შტილის ლუკმა გახდა. ისევ ნიგერიელმა ვიქტორ აგალიმ იუჩალა, ვინაც შესვენებამდე გაიტანა „შალკეს" გამარჯვებისა.

როგორც იქნა, პირველი საშინაო გამარჯვება იზეიმა ბერლინის „ჰერტამ". დედაქალაქელთა ჰამბურგელებთან მატჩში ყველაფერი მეორე ტაიმის ხუთწუთიან მონაკვეთში გადაწყდა. ჯერ ბრაზილიელმა მარსელინიომ გახსნა ანგარიში საჯარიმო დარტყმით, ორიოდ წუთში ბელგიელმა ბარტ გოორმა რვა მეტრიდან ზუსტად მოუქნია და კიდევ ორ წუთში სტუმრები კაცნაკლულნიც დარჩნენ — მცველი მიხაელ ბაური მეორე ყვითელ ბარათს გამორჩა.

პირველი გამარჯვება მოიპოვა „ნიურნბერგმაც", ოღონდ აქ საგარეო გამარჯვებაზე გვაქვს ლაპარაკი. ამერიკელი ტონი სანეს გოლს სამ წუთში იუგოსლაველმა დუშან პეტკოვიჩმა მეორე დაუმატა და „მგელთა" კარის დარაჯ კლაუს რაიტმაიერს გარჯა წყალში ჩაუყარა: მეკარემ პენალტი მოიგერია, დამატებაზე კი ვერაფერს გახდა.

ხოლო „კაიზერსლაუტერნი" ისევ ბოლოში მიჩანჩალებს, ერთადერთი გუნდია, თამაში რომ არ მოუგია და ერიკ გერეტსის მიყვანამაც ჯერჯერობით არაფერი მისცა. არადა, ლაუტერნელებს „მიუნხენის" დამარცხება შეეძლოთ: მიროსლავ კლოზეს დარტყმული ოდნავ დაბლა რომ წასულიყო და ხარიხას არ მოხვედროდა...

**ირაკლი ნინიძე**

| № | სულ თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | შინ თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | სტუმრად თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 ბაიერნი | 6 | 5 | 1 | 0 | 17:5 | 12 | 16 | 3 | 3 | 0 | 0 | 12:4 | 8 | 9 | 3 | 2 | 1 | 0 | 5:1 | 4 | 7 |
| 2 ჰანზა | 6 | 4 | 0 | 2 | 10:4 | 6 | 12 | 3 | 1 | 0 | 2 | 3:4 | -1 | 3 | 3 | 3 | 0 | 0 | 7:0 | 7 | 9 |
| 3 შალკე | 6 | 3 | 3 | 0 | 8:4 | 4 | 12 | 3 | 2 | 1 | 0 | 3:1 | 2 | 7 | 3 | 1 | 2 | 0 | 5:3 | 2 | 5 |
| 4 ვერდერი | 6 | 4 | 0 | 2 | 10:10 | 0 | 12 | 3 | 3 | 0 | 0 | 9:4 | 5 | 9 | 3 | 1 | 0 | 2 | 1:6 | -5 | 3 |
| 5 ბოხუმი | 6 | 3 | 2 | 1 | 14:6 | 8 | 11 | 3 | 1 | 1 | 1 | 5:1 | 4 | 4 | 3 | 2 | 1 | 0 | 9:5 | 4 | 7 |
| 6 დორტმუნდი | 6 | 2 | 4 | 0 | 8:5 | 3 | 10 | 3 | 1 | 2 | 0 | 6:4 | 2 | 5 | 3 | 1 | 2 | 0 | 2:1 | 1 | 5 |
| 7 ჰერტა | 6 | 2 | 3 | 1 | 7:5 | 2 | 9 | 3 | 1 | 1 | 1 | 4:3 | 1 | 4 | 3 | 1 | 2 | 0 | 3:2 | 1 | 5 |
| 8 გლადბახი | 6 | 2 | 2 | 2 | 7:5 | 2 | 8 | 3 | 1 | 2 | 0 | 4:1 | 3 | 5 | 3 | 1 | 0 | 2 | 3:4 | -1 | 3 |
| 9 მიუნხენი | 6 | 2 | 2 | 2 | 9:8 | 1 | 8 | 3 | 1 | 1 | 1 | 5:4 | 1 | 4 | 3 | 1 | 1 | 1 | 4:4 | 0 | 4 |
| 10 შტუტგარტი | 6 | 1 | 4 | 1 | 8:7 | 1 | 7 | 3 | 1 | 2 | 0 | 5:2 | 3 | 5 | 3 | 0 | 2 | 1 | 3:5 | -2 | 2 |
| 11 ვოლფსბურგი | 6 | 2 | 1 | 3 | 5:7 | -2 | 7 | 3 | 2 | 0 | 1 | 3:3 | 0 | 6 | 3 | 0 | 1 | 2 | 2:4 | -2 | 1 |
| 12 არმინია | 6 | 2 | 1 | 3 | 7:11 | -4 | 7 | 3 | 2 | 0 | 1 | 4:1 | 3 | 6 | 3 | 0 | 1 | 2 | 3:10 | -7 | 1 |
| 13 ნიურნბერგი | 6 | 2 | 0 | 4 | 8:12 | -4 | 6 | 3 | 1 | 0 | 2 | 5:6 | -1 | 3 | 3 | 1 | 0 | 2 | 3:6 | -3 | 3 |
| 14 ჰამბურგი | 6 | 2 | 0 | 4 | 6:10 | -4 | 6 | 3 | 2 | 0 | 1 | 4:4 | 0 | 6 | 3 | 0 | 0 | 3 | 2:6 | -4 | 0 |
| 15 ლევერკუზენი | 6 | 1 | 2 | 3 | 10:13 | -3 | 5 | 3 | 0 | 1 | 2 | 4:8 | -4 | 1 | 3 | 1 | 1 | 1 | 6:5 | 1 | 4 |
| 16 ჰანოვერი | 6 | 1 | 1 | 4 | 9:14 | -5 | 4 | 3 | 0 | 1 | 2 | 4:8 | -4 | 1 | 3 | 1 | 0 | 2 | 5:6 | -1 | 3 |
| 17 კოტბუსი | 6 | 1 | 1 | 4 | 5:15 | -10 | 4 | 3 | 0 | 1 | 2 | 1:6 | -5 | 1 | 3 | 1 | 0 | 2 | 4:9 | -5 | 3 |
| 18 ლაუტერნი | 6 | 0 | 3 | 3 | 3:10 | -7 | 3 | 3 | 0 | 2 | 1 | 2:4 | -2 | 2 | 3 | 0 | 1 | 2 | 1:6 | -5 | 1 |

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| კრისტიანსენი (ბოხუმი) | 6 |
| ელბერი (ბაიერნი) | 6 |
| ჩირიჩი (ნიურნბერგი) | 5 |

**VII ტური**

29 სექტემბერი

კოტბუსი — ვოლფსბურგი
ნიურნბერგი — ლაუტერნი
მიუნხენ 1860 — ჰერტა
ჰამბურგი — შტუტგარტი
არმინია — შალკე
ჰანზა — ჰანოვერი
ბოხუმი — ვერდერი
ლევერკუზენი — ბაიერნი
დორტმუნდი — გლადბახი

### მეორე ბუნდესლიგა

#### VI ტური

**კიოლნი 2:1 ლიუბეკი**

1:0 შურცი (17), 1:1 ბარტოლეტი (40), 2:1 შპრინგერი (89)
არჩილ არველაძე ტრავმირებულია

**ფიურტი 3:0 ბრაუნშვაიგი**

1:0 როსლერი (20), 2:0, 3:0 აზუზი (37პ, 51)
გიორგი დიკანოსიძე განაცხადში ვერ მოხვდა

**ფრაიბურგი 4:0 უნიონი**

1:0 ქობიაშვილი (10პ), 2:0 რამდანე (55), 3:0 ცაიერი (80), 4:0 მიულერი (83)
ფრაიბურგი: გოლცი, კონდე, დიარა, რაიტერი, ბერნერი, ცაიერი, ბაირამოვიჩი (მიულერი 82), ცხიტიშვილი, ქობიაშვილი, რამდანე (მენერი 75), იაშვილი (ტანკო 68)
მწვრთნელი: ფოლკერ ფინკე
22 000 მაყურებელი

**ბურგჰაუზენი 3:1 ალენი**

0:1 ფაიმბერი (10), 1:1 ლუცლერი (52), 2:1 შმიდტი (57), 3:1 ფრუბისი (63)

**დუისბურგი 3:3 ალემანია**

0:1 ივანოვიჩი (31), 1:1 ებერსი (32), 1:2 ლანძაატი (39), 1:3 გრლიჩი (45), 2:3 ებერსი (59), 3:3 მონტეირო (79)

**როიტლინგენი 3:2 ვალდჰოფი**

0:1, 0:2 პლასნეგერი (35, 60), 1:2 ოგუნგბურე (72), 2:2, 3:2 ბეკერი (89, 90)

**ობერჰაუზენი 2:1 ტრიერი**

0:1 ბრაჰამი (27), 1:1, 2:1 ბელიაკოვი (53, 58)

**ზანკტ პაული 1:4 მაინცი**

1:0 სტანისლავსკი (58), 1:1 ტიურკი (62), 1:2 იაკუბუ აღამუ (63ს.გ.), 1:3 ტიურკი (72), 1:4 ვორონინი (74)

**კარლსრუე — აინტრახტი**

წუხელ გვიან დამთავრდა (იხ. მეორე გვერდი) და მისი შედეგი ცხრილში შეტანილი არაა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ფრაიბურგი | 6 | 5 | 0 | 1 | 12:4 | 15 |
| კიოლნი | 6 | 4 | 2 | 0 | 10:6 | 14 |
| ტრიერი | 6 | 4 | 0 | 2 | 11:5 | 12 |
| მაინცი | 6 | 4 | 0 | 2 | 11:5 | 12 |
| ობერჰაუზენი | 6 | 3 | 1 | 2 | 5:3 | 10 |
| უნიონი | 6 | 3 | 1 | 2 | 7:9 | 10 |
| ლიუბეკი | 6 | 3 | 0 | 3 | 13:7 | 9 |
| აინტრახტი | 5 | 3 | 0 | 2 | 10:5 | 9 |
| ბურგჰაუზენი | 6 | 2 | 3 | 1 | 8:5 | 9 |
| როიტლინგენი | 6 | 3 | 0 | 3 | 9:10 | 9 |
| ალენი | 6 | 2 | 2 | 2 | 9:8 | 8 |
| ფიურტი | 6 | 2 | 2 | 2 | 6:5 | 8 |
| ალემანია | 6 | 1 | 4 | 1 | 7:6 | 7 |
| დუისბურგი | 6 | 1 | 3 | 2 | 8:11 | 6 |
| ვალდჰოფი | 6 | 1 | 0 | 5 | 6:13 | 3 |
| ზანკტ პაული | 6 | 1 | 0 | 5 | 11:23 | 3 |
| ბრაუნშვაიგი | 6 | 1 | 0 | 5 | 6:18 | 3 |
| კარლსრუე | 5 | 0 | 2 | 3 | 1:7 | 2 |

### ჩრდილოეთ რეგიონალლიგა

მე-9 ტური: ბაბელსბერგი — ოსნაბრიუკი 0:1; დინამო — ლევერკუზენი (მ) 3:0; კიოლნი (მ) — პადერბორნი 0:3; ქემნიცი — აუე 2:2; მიუნსტერი — დორტმუნდი (მ) 2:5; ესენი — კილი 4:0; ფერლი — ჰამბურგი (მ) 2:0; ვერდერი (მ) — იურდინგენი 2:1

### სამხრეთ რეგიონალლიგა

მე-11 ტური: ელვერსბერგი — პფულენდორფი 1:0; კიკერსი — შვაინფურტი 2:1; უნტერჰახინგი — ერფურტი 3:0; აინტრახტი (მ) — აუგსბურგი 0:3; ჰოფენჰაიმი — ნოინკირხენი 1:1; რეგენსბურგი — აალენი 2:0; ბაიერნი (მ) — ვეჰენი 1:1; კაიზერსლაუტერნი (მ) — ოფენბახი 0:0. დარმშტადტი — ზაარბრიუკენი 3 ოქტომბერს გამართება

# არაგონესი ის კაცია...

## ესპანეთი

### პრიმერადივიზიონი. III ტური

**რეალი 4:1 ოსასუნა**

1:0 ელგერა (11), 2:0 გუტი (47), 3:0 რაული (51), 3:1 როვერო (60პ), 4:1 ელგერა (79)
რეალი: კასილიასი, სალგადო (მინამბრესი 82), რობერტო კარლოსი, იერო, ი. ელგერა, გუტი (მორიენტესი 73), ფ. კონსეისაო (სოლდადოსი 63), კამბიასო, სოლარი, რაული, ფიგუ
მწვრთნელი: ვისენტე დელ ბოსკე
ოსასუნა: უნსუე, პაკუ, მატეო, კრუჩაგა, ვიდრიო, როვერო, ანტონიო ლოპესი (მოჰა 46), ალფრედო, პაბლო გარსია, განსედო (ალოისი 73), ივან როსადო
მწვრთნელი: ხავიერ აგირე
გაფრთხილება: პაკუ, იერო, ელგერა, ალფრედო, მოჰა, რობერტო კარლოსი, სალგადო, როვერო, კრუჩაგა, პაბლო გარსია
მსაჯი: ტელიეს სანჩესი
65 000 მაყურებელი

**ბარსელონა 2:0 ესპანიოლი**

1:0 კლუივერტი (58), 2:0 ლუის ენრიკე (70)
ბარსელონა: ვალდესი, ფ. დე ბური, პუიოლი, ნავარო, ხავი (გაბრი 76), კოკუ, მენდიეტა, ლუის ენრიკე, მოტა (რიკელმე 46), საველიოლა (ჯეოვანი 87), კლუივერტი
მწვრთნელი: ლუის ვან გაალი
ესპანიოლი: არგენსო, ლოპო, ამაია, ნავასი, დომორო, მორალესი, ფრედსონი, მაქსი (მილოშევიჩი 70), დე ლა პენია (ველამაზანი 63), ლუკა ტამუდო (ბოგოსიანი 79)
მწვრთნელი: ხუანდე რამოსი
გაფრთხილება: ნავარო, ლოპო, ტამუდო, მენდიეტა, ველამაზანი
მსაჯი: მეხია დავილა
65 833 მაყურებელი

**დეპორტივო 2:0 ვალიადოლიდი**

1:0, 2:0 მაკაი (13, 28)
დეპორტივო: ხუანმი, ნაიბეტი, კაპდევილა, დონატო, მაურო სილვა, ფრანი (ვიქტორი 67), სკალონი, სერხიო, ვალერონი (დუშერი 50), მაკაი (ტრისტანი 83), ვიქტორი
მწვრთნელი: ხავიერ ირურეტა
ვალიადოლიდი: ბიზარი, მარკოსი, გასპარი, მარიო, კოლსა, რიკენა, ფ. სალესი, აგანზო, სოუზა (პაჩონი 76), ოსკარი (დ. ჩირინო 69), ჯონათანი (პენია 46)
მწვრთნელი: პეპე მორე
გაფრთხილება: პენია, მაურო სილვა
მსაჯი: პერეს ბურული
26 000 მაყურებელი

**მალაგა 2:2 ვალენსია**

1:0 მანუ (26), 2:0 როტეტა (32), 2:1 მისტა (48), 2:2 ანგულო (90)
მალაგა: კონტრერასი, როტეტა, ვალკარსე, საბია, ხერარდო, ხოსემი, მუსამპა (ხუანიტო 87), მანუ (ლეგუარი 80), მიგელ ანხელი, სანდრო (ლეკო 71), დელი ვალდესი
მწვრთნელი: ხოაკინ პეირო ლუკასი
ვალენსია: კანიზარესი, აიალა, მარჩენა, კარბონი, კურრო ტორესი, ალბელდა, ბარახა, რუფეტე, აიმარი (მისტა 46), დე ლოს სანტოსი (ანგულო 77), კარიუ (ხუან სანჩესი 63)
მწვრთნელი: რაფაელ ბენიტესი
გაფრთხილება: კურრო ტორესი
მსაჯი: კარმონა მენდესი
18 000 მაყურებელი

**მალიორკა 0:4 ატლეტიკო**

0:1 ფერნანდო ტორესი (8პ), 0:2 კორეა (41), 0:3 ფერნანდო ტორესი (54), 0:4 ხორხე (66)
მალიორკა: ლეო ფრანკო, ნინიო (ოლაიზოლა 57), კორტესი, პოლი, ნადალი, კამპანო, იბაგაზა (კარლოსი 80), პაკო სოლერი (რობლესი 78), რიერა, აროლდ ლოზანო, პანდიანი
მწვრთნელი: გრეგორიო მანზანო
ატლეტიკო: ქამბზანი, ოტერო, ჰიბიჩი, გარსია კალვო (სანტი 67), სერხი, კონტრა (მოვილია 57), ალბერტინი, ემერსონი, ფერნანდო ტორესი, კორეა (ხორხე 63), ლუის გარსია
მწვრთნელი: ლუის არაგონესი
გაფრთხილება: პაკო სოლერი, ოტერო, კორეა
მსაჯი: როდრიგეს სანტიაგო
21 000 მაყურებელი

**სოსიედადი 3:3 ბეტისი**

0:1, 0:2 კაპი (14, 26), 1:2 რივასი (29ა.გ.), 2:2 კოვაჩევიჩი (57), 2:3 ალფონსო (60), 3:3 კოვაჩევიჩი (79)
სოსიედადი: ვესტერველდი, არანზაბალი, შურერი, ლოპეს რეკარტე, ხაბი ალონსო (ლორენტე 76), ხაურეგი, გაბილონდო (დე პედრო 76), ნიჰატი, კოვაჩევიჩი (ტაიფუნი 85), არანბურუ
მწვრთნელი: რეინალდ დენუე
ბეტისი: პრატსი, ლუის ფერნანდესი (ბენხამინი 84), ხუანიტო, რივასი, ასუნსაო, ვარელა, კაპი, არზუ, ალფონსო, დენილსონი (მინგო 62), ხოაკინი (ფერნანდო 54)
მწვრთნელი: ვიქტორ ფერნანდესი
გაფრთხილება: ხოაკინი, კაპი, ალფონსო
მსაჯი: უნდიანო მალენკო
24 424 მაყურებელი

**უელვა 0:3 სელტა**

0:1, 0:2 მოსტოვოი (44, 71), 0:3 მაკკარტი (90)
არპონმა ვერ გაიტანა პენალტი (60, მეკარე)
უელვა: სუზარი, ქაპინოლა, მერინო, ალექს ფერეირა, არპონი (ვიკური 79), იგორ ბენგოეა, ბენიტესი (რომერო 11), ლორენი, რაულ მოლინა, ბერმეხო (გუიზა 68), ხოსე მარი
მწვრთნელი: ლუკას ალკარასი
სელტა: კავალიერო, ველასკო, სილვინიო, კასერესი, ბერიზო, მოსტოვოი, ხოსე იგნასიო, ედუ (გუსტავო ლოპესი 57), ლუქსენი, კუდეტი (ვაგნერი 50), კატანია (მაკკარტი 82)
მწვრთნელი: მიგელ ანხელ ლოტინა
გაფრთხილება: მერინო, ქაპინოლა, ბერიზო, ხოსე იგნასიო
მსაჯი: ლოსანტოს ომარი
19 000 მაყურებელი

**ვილიარეალი 0:1 ალავესი**

0:1 ივან ალონსო (34)
ვილიარეალი: რეინა, ბელეტი, არუაბარენა (გალკა 81), კიკე ალვარესი, ბალესტეროსი, უნაი, ხორხე ლოპესი, ხოსიკო (რეიესი 65), სენა, პალერმო, ვიქტორი (გიარე 65)
მწვრთნელი: ბენიტო ფლორო
ალავესი: ხუან პაბლო, იბონ ბეგონია, ტელიესი, ლორენსო, აბელარდო, პაბლო, ედუ ალონსო, ასტუდილიო, ტურიელი (მაგნო 65), ილიე (დესიო 73), ივან ალონსო (რუბენ ნავარო 90)
მწვრთნელი: ხოსე მანუელ ესნალ მანე
გაფრთხილება: უნაი, ტელიესი, პაბლო, ლორენსო, იბონ ბეგონია, გიარე
მსაჯი: დაუდენ იბანიესი
17 000 მაყურებელი

**სევილია 1:1 ბილბაო**

1:0 რეიესი (50), 1:1 ეჩებერია (85)
სევილია: ნოტარიო, კასტედო, პაბლო ალფარო, ოსკარი, ნიგუესი, გალიარდო, ფრანსისკო (რეიესი 46), ვ. სალასი (ანტონიტო 69), ფრედი (მარკოს ვალესი 50), კასკერო, მოისესი
მწვრთნელი: ხოაკინ კაპაროსი
ბილბაო: ლაფუენტე, ლარაზაბალი, ოსკარ ვალესი, ლაკრუსი, მურილიო, სესარი, ა. გერერო (ხ. ეჩებერია 59), ხავი გონსალესი (იესტე 60), გურპეგი, ურსაისი, არიაგა (ტიკო 74)
მწვრთნელი: იუპ ჰაინკესი
გაფრთხილება: გერერო, ოსკარ ვალესი, ნიგუესი, გურპეგი
გაძევება: მარკოს ვალესი (76)
მსაჯი: პუენტეს ლეირა
35 000 მაყურებელი

**რაიო ვალეკანო 3:1 რასინგი**

1:0 ხულიო ალვარესი (18პ), 1:1 მუნიტისი (45), 2:1, 3:1 ხულიო ალვარესი (49პ, 90)
ისმაელმა ვერ გაიტანა პენალტი (45, მეკარე)
რაიო ვალეკანო: ი. ეჩებერია, კორინო, გრაფი, პაბლო სანსი (მიჩელ II 35), ონოპკო, მარიო, მაინსი, კვედო, ხულიო ალვარესი, პერაგონი (კამუნიასი 84), ბოლიჩი (დორადო 65)
მწვრთნელი: ფერნანდო ვასკესი
რასინგი: ლემენსი, სიეტესი, ნაფტი, მორა, ხუანმა, ისმაელი, პაბლო ლაგო (სებალიოსი 19), პინედა, ბოდიპო (დიეგო ალონსო 63), რეგუერო (ბენაიუნი 54), მუნიტისი
მწვრთნელი: მანოლო პრესიადო
გაფრთხილება: ონოპკო, რეგუერო, ლემენსი, ბოდიპო, ლემენსი, გრაფი, ეჩებერია, მორა
გაძევება: ლემენსი (18)
მსაჯი: მედინა კანტალეხო
11 000 მაყურებელი



REUTERS სან სებასტიანიდან

სოსიედადი — ბეტისი. სევილიელთა მეკარე ტონი პრატსს თავისიანმა დავიდ რივასმაც (შუაში) გაუტანა და მეტოქე დარკო კოვაჩევიჩმაც

„ბეტისთან" გადადებულ მატჩში მადრიდის „რეალს", მოგეხსენებათ, მხოლოდ ერთი ტაიმი აქვს ანგარიშის გასათანაბრებლად და მოსაგებად. რა იქნება და როგორ, მოდით, ნუ ვიმარჩიელებთ და ასე ვთქვათ: პრიმერადივიზიონში ქულებდაუკარგავი ორი გუნდიღა დარჩა, ნახსენები „რეალი" და „სელტა". ამ უკანასკნელმა ალექსანდრ მოსტოვოის დუბლითა და ბენი მაკკარტის გვიანი გოლით სტუმრად დასცა დებიუტანტი „უელვა". ვიგოელები იოლ გამარჯვებას კი გამორჩნენ, მაგრამ ეგებ საქმე სხვაგვარად წასულიყო, 0:1-ზე უელველ ოსკარ არპონს პენალტი რომ არ გაეფუჭებინა. მეკარემ ივარგა და მასპინძლებმაც ყურები ჩამოყარეს. ამგვარად, „სელტა" ლიდერია, რაც სრულიად ჩვეულებრივი ამბავია — გალისიელები შარშანაც და შარშანწინაც სამი ტურის შემდეგ ცხრა ქულით ლიდერები იყვნენ.

პირველი ქულები დაკარგეს „ვალენსიამ", „მალაგამ", „ბეტისმა" და „რეალ სოსიედადმა". მალაგური მატჩი ისე დაიწყო, რომ მასპინძლები უეჭველად მხარში უნდა ამოსდგომოდნენ „სელტას". მათი კარგი თამაში და ვალენსიელთა დაბნეულობა ანტონიო მანუს და მიგელ ანხელ როტეტას გოლებად იქცა. მაგრამ შესვენებისას რაფაელ ბენიტესს ისეთი რამ უთქვამს თავის ბიჭებისთვის, ბრძოლის ჟინი დაბრუნებიათ და თამაშის განახლებისთანავე მისტამ ერთი ბურთი გაქვითა. „მალაგა" კი ჩვეულებრივ განაგრძობდა თამაშს, ანუ დაცვაში ჩაკეტვა არ უფიქრია, თუმც მეტ გოლს ველარ გამორჩა. სამაგიეროდ, მიგელ ანხელის გოლი, რომელმაც საფინალო სასტვენს წამით დაასწრო, მასპინძლებს ლვთის რისხვასავით დაატყდათ თავს.

„ვალენსიაზე" არანაკლები შფოთვა გადახდა „რეალ სოსიედადს", რომელიც 25-ე წუთისთვის ხესუს კაპის წყვილი გოლით მარცხდებოდა „ბეტისთან". კი, ბასკებს მეგოლე დარკო კოვაჩევიჩი ჰყავდათ, ვისაც ეხერხება გაჭირვების ჟამს საჭირო ბურთების გატანა და კაპის დუბლს დუბლითვე უპასუხა, მაგრამ სანსებასტიანელები მაინც უქულოდ დარჩებოდნენ, კოვაჩევიჩამდე ერთი გოლი დავიდ რივასს საკუთარ კარში რომ არ გაეტანა. მოკლედ, „სოსიედადიც" ფრეს დასჯერდა და, მატჩის მსვლელობიდან გამომდინარე, ვინძლო, უკმაყოფილო არ უნდა იყოს.

ცხრილის ფსკერზე დალექილთაგან მხოლოდ „ბილბაომ" მოახერხა ქულის მოხვეჭა. ამ ქულას ბასკები სევილიელ მარკოს ვალესს [illegible] დნენ, რომელმაც [illegible] ფრანსისკო იესტეს და წითელი ბარათი დაიმსახურა. საქმე ის გახლავთ, რომ ვალესის გაძევებამდე „სევილია" იგებდა და გოლის გაშვება გულშიც არ გაუვლია, მაგრამ როცა კაცნაკლული დარჩა, სიფრთხილე დაიწყო, რამაც სტუმრებს ქულა მისცა. საბოლოოდ ხოსება ეჩებერიამ რობერტო ტიკოს პასი გოლად და ერთ ქულად აქცია.

სხვა მაჩანჩალები დამარცხდნენ. „უელვაზე" თავში მოგახსენეთ, „ესპანიოლმა" და „მალიორკამ" კი იმათთან წააგეს, ვისთანაც, წესით და რიგით, უნდა წაეგოთ კიდეც — „ბარსელონასთან" და „ატლეტიკოსთან".

კატალონიურ დერბიში სეზონში თავისი პირველი გოლი გაიტანა პატრიკ კლუივერტმა, რომელიც შორეულ ძელთან დაუხვდა ლუის ენრიკეს პასს. თავად ლუის ენრიკემ კი, ყოველ მატჩში გოლის გატანა წესად რომ ექცა, ფერნანდო ნავაროს ასისტენტობით შეაგდო.

„მალიორკას" საქმე დაღმა მას მერე წავიდა, რაც მხცოვანი ლუის არაგონესი სამუშაოდ მადრიდის „ატლეტიკოში" გადაბარგდა. ეს ამბავი კი, მოგეხსენებათ, შარშანდელი სეზონის ბოლოს მოხდა. მას მერე კუნძულელებმა ჯერეც ვერ იპოვეს ღირსეული დამრიგებელი და შარშან ბეწვზე გადაურჩნენ სეგუნდაში დაქვეითებას.

ამ უქმეებზე მალიორკას ძველი მოძღვარი, ლუის არაგონესი ეწვია და ყოფილი გუნდისგან ქვა ქვაზე არ დატოვა.

„დეპორტივო" განაგრძობს დამტკიცებას, რომ პირველ ტურში „ბეტისთან" სამარცხვინო წაგება რაღაც გაუგებრობა იყო. ლაკორუნიელებმა შუა კვირაში ძლეულ „ბაიერნს" ახლა „ვალიადოლიდი" მიაყოლეს დესერტად. ხოლო როი მაკაიმ დაამტკიცა, რომ გოლების გატანა ოდენ დიეგო ტრისტანის საქმე არ არის. ჰოლანდიელმა პრიმერადივიზიონისა და ჩემპიონთა ლიგის ოთხ მატჩში, ანუ სეზონის დაწყებიდან, უკვე რვა გოლი გაიტანა. ამაზე მეტი რა უნდა ქნას?!

„ჩვენ კარგ ფორმაში და ოპტიმიზმით სავსენი ვართ" — განაცხადა ვისენტე დელ ბოსკემ. მისმა „რეალმა" ოსასუნას 4:1 მოუგო.

**გიორგი დარჯანია**

| | | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 | სელტა | 3 | 3 | 0 | 0 | 7:1 | 6 | 9 | 1 | 1 | 0 | 0 | 3:1 | 2 | 3 | 2 | 2 | 0 | 0 | 4:0 | 4 | 6 |
| 2 | ვალენსია | 3 | 2 | 1 | 0 | 7:2 | 5 | 7 | 1 | 1 | 0 | 0 | 3:0 | 3 | 3 | 2 | 1 | 1 | 0 | 4:2 | 2 | 4 |
| 3 | სოსიედადი | 3 | 2 | 1 | 0 | 10:6 | 4 | 7 | 2 | 1 | 1 | 0 | 7:5 | 2 | 4 | 1 | 1 | 0 | 0 | 3:1 | 2 | 3 |
| 4 | ბარსელონა | 3 | 2 | 1 | 0 | 6:2 | 4 | 7 | 2 | 1 | 1 | 0 | 4:2 | 2 | 4 | 1 | 1 | 0 | 0 | 2:0 | 2 | 3 |
| 5 | მალაგა | 3 | 2 | 1 | 0 | 7:5 | 2 | 7 | 2 | 1 | 1 | 0 | 4:3 | 1 | 4 | 1 | 1 | 0 | 0 | 3:2 | 1 | 3 |
| 6 | რეალი | 2 | 2 | 0 | 0 | 6:1 | 5 | 6 | 2 | 2 | 0 | 0 | 6:1 | 5 | 6 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 |
| 7 | დეპორტივო | 3 | 2 | 0 | 1 | 6:5 | 1 | 6 | 2 | 1 | 0 | 1 | 4:4 | 0 | 3 | 1 | 1 | 0 | 0 | 2:1 | 1 | 3 |
| 8 | ვალიადოლიდი | 3 | 2 | 0 | 1 | 2:2 | 0 | 6 | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 1 | 3 | 2 | 1 | 0 | 1 | 1:2 | -1 | 3 |
| 9 | ატლეტიკო | 3 | 1 | 2 | 0 | 7:3 | 4 | 5 | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 0 | 1 | 2 | 1 | 1 | 0 | 6:2 | 4 | 4 |
| 10 | ბეტისი | 2 | 1 | 1 | 0 | 7:5 | 2 | 4 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 2 | 1 | 1 | 0 | 7:5 | 2 | 4 |
| 11 | რაიო ვალეკანო | 3 | 1 | 1 | 1 | 6:5 | 1 | 4 | 2 | 1 | 1 | 0 | 5:3 | 2 | 4 | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | -1 | 0 |
| 12 | ალავესი | 3 | 1 | 1 | 1 | 3:3 | 0 | 4 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | -1 | 0 | 2 | 1 | 1 | 0 | 3:2 | 1 | 4 |
| 13 | რასინგი | 3 | 1 | 0 | 2 | 2:4 | -2 | 3 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | -1 | 0 | 2 | 1 | 0 | 1 | 2:3 | -1 | 3 |
| 14 | სევილია | 3 | 0 | 2 | 1 | 2:3 | -1 | 2 | 2 | 0 | 1 | 1 | 1:2 | -1 | 1 | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 0 | 1 |
| 15 | ვილიარეალი | 3 | 0 | 1 | 2 | 2:4 | -2 | 1 | 2 | 0 | 1 | 1 | 2:3 | -1 | 1 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | -1 | 0 |
| 16 | ოსასუნა | 3 | 0 | 1 | 2 | 4:8 | -4 | 1 | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | -1 | 0 | 2 | 0 | 1 | 1 | 3:6 | -3 | 1 |
| 17 | ბილბაო | 3 | 0 | 1 | 2 | 3:7 | -4 | 1 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:2 | -2 | 0 | 2 | 0 | 1 | 1 | 3:5 | -2 | 1 |
| 18 | ესპანიოლი | 3 | 0 | 0 | 3 | 1:7 | -6 | 0 | 1 | 0 | 0 | 1 | 1:3 | -2 | 0 | 2 | 0 | 0 | 2 | 0:4 | -4 | 0 |
| 19 | უელვა | 3 | 0 | 0 | 3 | 2:9 | -7 | 0 | 2 | 0 | 0 | 2 | 2:6 | -4 | 0 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:3 | -3 | 0 |
| 20 | მალიორკა | 3 | 0 | 0 | 3 | 1:9 | -8 | 0 | 2 | 0 | 0 | 2 | 0:6 | -6 | 0 | 1 | 0 | 0 | 1 | 1:3 | -2 | 0 |

**IV ტური**

29 სექტემბერი

ვალენსია — რაიო ვალეკანო
სელტა — მალაგა
ატლეტიკო — უელვა
ბილბაო — მალიორკა
ესპანიოლი — სევილია
ბეტისი — ბარსელონა
ოსასუნა — სოსიედადი
ვალიადოლიდი — რეალი
ალავესი — დეპორტივო
რასინგი — ვილიარეალი

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| კოვაჩევიჩი (სოსიედადი) | 5 |
| ხულიო ალვარესი (რაიო ვალეკანო) | 5 |
| მაკაი (დეპორტივო) | 5 |
| მუსამპა (მალაგა) | 4 |
| ლუის ენრიკე (ბარსელონა) | 4 |

## სეგუნდადივიზიონი

### III ტური

**ეიბარი 1:0 კორდობა**
1:0 გარიტანო (66პ)

**ნუმანსია 1:2 ალბასეტე**
0:1 ხესუს ბერგარა (3), 1:1 სუგო (72), 1:2 ბარი (75)

**ალმერია 2:2 ლევანტე**
1:0 ოლივარესი (33), 2:0 ფრანსისკო (37), 2:1 აზატორ (49), 2:2 მიატოვიჩი (88პ)

**ოვიედო 1:2 ფეროლი**
1:0 ოლი (48), 1:1 ხაიო (49), 1:2 დუტილი (87)

**ლას პალმასი 1:1 კომპოსტელა**
0:1 მაიკელი (31), 1:1 რუბენი (54)

**ხეტაფე 2:1 ტენერიფე**
1:0 ლუის ლოპესი (11), 1:1 ბარატა (14პ), 2:1 ბორხა (87)

**ტერასა 1:0 სალამანკა**
1:0 აურელიო (17ავტ)

**ელჩე 1:1 ლეგანესი**
1:0 ბენია (2), 1:1 ფალკონი (9)

**ხერესი 1:0 სპორტინგი**
1:0 დანი პენდინი (79)

**ბადახოსი 0:2 პოლი ეხიდო**
0:1 ტაკენეტი (16), 0:2 საბინო (57)

**სარაგოსა 1:0 მურსია**
1:0 არაგონი (66)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტერასა | 3 | 2 | 1 | 0 | 4:2 | 7 |
| ალბასეტე | 3 | 2 | 1 | 0 | 4:2 | 7 |
| ხერესი | 3 | 2 | 1 | 0 | 4:2 | 7 |
| მურსია | 3 | 2 | 0 | 1 | 3:1 | 6 |
| ლას პალმასი | 3 | 1 | 2 | 0 | 5:3 | 5 |
| ლევანტე | 3 | 1 | 2 | 0 | 7:6 | 5 |
| ლეგანესი | 3 | 1 | 2 | 0 | 3:2 | 5 |
| ეიბარი | 3 | 1 | 2 | 0 | 1:0 | 5 |
| კორდობა | 3 | 1 | 1 | 1 | 3:1 | 4 |
| პოლი ეხიდო | 3 | 1 | 1 | 1 | 3:2 | 4 |
| სარაგოსა | 3 | 1 | 1 | 1 | 3:3 | 4 |
| სალამანკა | 3 | 1 | 1 | 1 | 2:2 | 4 |
| ხეტაფე | 3 | 1 | 1 | 1 | 4:5 | 4 |
| ფეროლი | 3 | 1 | 1 | 1 | 3:4 | 4 |
| კომპოსტელა | 3 | 0 | 3 | 0 | 3:3 | 3 |
| ნუმანსია | 3 | 1 | 0 | 2 | 3:4 | 3 |
| ტენერიფე | 3 | 0 | 2 | 1 | 3:4 | 2 |
| ელჩე | 3 | 0 | 2 | 1 | 1:2 | 2 |
| ოვიედო | 3 | 0 | 1 | 2 | 2:4 | 1 |
| სპორტინგი | 3 | 0 | 1 | 2 | 0:2 | 1 |
| ბადახოსი | 3 | 0 | 1 | 2 | 0:3 | 1 |
| ალმერია | 3 | 0 | 1 | 2 | 3:7 | 1 |

# იტალია

## სერია A. III ტური

### მილანი 3:0 პერუჯა

1:0 მალდინი (40), 2:0 ინძაგი (60), 3:0 ზეედორფი (65)
სერჯინიომ ვერ გაიტანა პენალტი (90, ხარიბა)
მილანი: დიდა, შიმიჩი (ბა 79), ნესტა, მალდინი, კალაძე, ამბროზინი, პირლო, სერჯინიო, რუი კოშტა (ზეედორფი 64), ფ. ინძაგი (ბორიელო 73), ტომასონი
მწვრთნელი: კარლო ანჩელოტი
პერუჯა: კალაჩი, რეზაეი, დი ლორეტო, მილანეზე, ზე მარია, ტედესკო, ბარონიო (ბერნარდინი 65), ბლაზი, გროსო, ვრიზასი (კარამელო 54), მიკოლი (ობოდო 73)
მწვრთნელი: სერსე კოზმი
მსაჯი: საკანი
60 000 მაყურებელი

### ემპოლი 0:2 იუვენტუსი

0:1, 0:2 დელ პიერო (6პ, 28)
ემპოლი: ბერტი, ბელერი, კრიბარი, ატცორი, კუპი, გრელა (გრიეკო 83), ჯამპიერეტი, ბუში (როკი 46), ვანუკი, დი ნატალე, საუდატი (ფონინი 83)
მწვრთნელი: სილვიო ბალდინი
იუვენტუსი: ბუფონი, იულიანო, მონტერო, მორეტი, ტაკინარდი (კ. ძენონი 76), ბაიოკო (ტუდორი 69), ნედვედი, დელ პიერო, დი ვაიო (კამორანეზი 55), მ. სალასი
მწვრთნელი: მარჩელო ლიპი
გაფრთხილება: იულიანო, გრელა, ბელერი, ატცორი
მსაჯი: რაკალბუტო
18 700 მაყურებელი

### რეჯინა 1:2 ინტერი

0:1 ვიერი (7), 1:1 ნაკამურა (90პ), 1:2 რეკობა (90)
რეჯინა: კასტელაცი, ი. ფრანჩესკინი, ვარგასი (ლეონი 60), პიერინი, ტორისი, პარედესი (მამედე 70), მოცარტი, მორაბიტო, ნაკამურა, დი მიკელე, სავოლდი (რასტელი 59)
მწვრთნელი: ბორტოლო მუტი
ინტერი: ტოლდო, ხ. ძანეტი, ფ. კანავარო, მატერაცი, კოკო, ოკანი (ვივასი 70), დი ბიაჯო, ალმეიდა, მორფეო (დალმა 66), ვიერი (კრესპო 64), რეკობა
მწვრთნელი: ექტორ რაულ კუპერი
გაფრთხილება: სავოლდი, მამედე, ვივასი
მსაჯი: როდომონტი
30 000 მაყურებელი

### რომა 1:2 მოდენა

1:0 ტოტი (4პ), 1:1 მილანეტო (45პ), 1:2 სკული (78)
რომა: ანტონიოლი, პანუჩი, ვ. სამუელი, კუფრე, კაფუ (ა. კასანო 78), ემერსონი, ფ. ლიმა, კანდელა, ტოტი, ბატისტუტა (სარტორი 46), მონტელა (ტომაზი 59)
მწვრთნელი: ფაბიო კაპელო
მოდენა: ბალოტა, მაიერი (პაზინი 71), ჩევოლი, პავანი, პონცო, ჯ. კოლუჩი (ალბინო 67), მილანეტო, მაური, ბალესტრი, ფაბრინი (დ. კამარა 59), სკული
მწვრთნელი: ჯოვანი დე ბიაზი
გაფრთხილება: სკული, მაიერი, მაური, ლიმა, კამარა
გაძევება: პანუჩი (45)
მსაჯი: ფარინა
50 000 მაყურებელი

### ტორინო 0:1 ლაციო

0:1 სიმეონე (86)
ტორინო: ბუჩი, გალანტე, ფატორი, დელი კარი, ბალძარეტი, კონტიკიო (დე ასენტისი 20), ვერგასოლა, სკარქელი (სომესე 71), ა. კასტელინი, ფერანტე, მაგალიანესი (ლუკარელი 62)
მწვრთნელი: ჯანკარლო კამოლეზე
ლაციო: პერუცი, ნეგრო, სტამი, მიხაილოვიჩი, სეზარი, ფიორე, სიმეონე (ჯანიკედა 88), დ. სტანკოვიჩი, კ. მანფრედინი (კასტრომანი 60), კორადი (ს. ინძაგი 65), კ. ლოპესი
მწვრთნელი: რობერტო მანჩინი
გაფრთხილება: სიმეონე, კასტრომანი
მსაჯი: ბოლონინო
25 000 მაყურებელი

### პარმა 2:0 კომო

1:0 ლამუში (13), 2:0 ადრიანო (47)
პარმა: ფრეი, დიანა, ბონერა, ფერარი, ბენარივო, ლამუში, დონატი (ბარონე 62), მატეო ბრიგი, ბრეშიანო, ადრიანო (ჯილარდინო 82), მუტუ (მარკიონი 62)
მწვრთნელი: ჩეზარე პრანდელი
კომო: ბრუნერი, ტომაში, სტელინი, პადალინო, ტარანტინო, ბინოტო (მუსიჩი 82), კორი, ალეგრეტი, პეკია, გოდეასი (ბიელანოვიჩი 57), კარბონე
მწვრთნელი: ლორის დომინისინი
გაფრთხილება: ალეგრეტი, ბრეშიანო, ბონერა, ბინოტო
მსაჯი: ტრეფისი
25 000 მაყურებელი

### პიაჩენცა 2:0 უდინეზე

1:0 ჰიუბნერი (26), 2:0 მარესკა (88)
პიაჩენცა: გუარდალბენი, კრისტანტე, ლამაკა, მანცონე (ბოზელი 62), გურენკო (კამპაგნარო 82), რიკო, მარესკა, დი ფრანჩესკო, ტოსტო, მონტანო, ჰიუბნერი
მწვრთნელი: ანდრეა აგოსტინელი
უდინეზე: დე სანტისი, ჯეზიტი, სენსინი, ალ. მანფრედინი, პიერი, ალბერტო (იორგენსენი 59), პინცი, დ. პიზარო, იანკულოვსკი, იანგერი (იაკინტა 54), მუცი (ვარლეი 74)
მწვრთნელი: ლუჩანო სპალეტი
გაფრთხილება: ტოსტო, მარესკა, მანფრედინი, პინცი
მსაჯი: პელეგრინო
7 000 მაყურებელი

### ატალანტა 2:2 ბოლონია

0:1 ლოკატელი (13), 1:1, 2:1 დონი (18, 51პ), 2:2 ბელუჩი (67პ)
ატალანტა: ტაიბი, ფოლიო, სალა, ძაური, ბელინი (რუსტიკო 55), დ. ძენონი, ბერეტა, პინარდი (ინაჩიო პია 82), გაუტიერი (ქამპანალე 82), როსინი, დონი
მწვრთნელი: ჯოვანი ვავასორი
ბოლონია: პალიუკა, ფალკონე (ძაკარდო 70), ძანკი, მ. კასტელინი, ნერვო, ოლივე (კ. ამორუზო 70), ლ. კოლუჩი, პარამატი, ლოკატელი (სალვეტი 73), ხ. კრუზი, ბელუჩი
მწვრთნელი: ფრანჩესკო გვიდოლინი
გაფრთხილება: კოლუჩი, გაუტიერი, დონი, ამორუზო, სალვეტი
მსაჯი: ტრენტალანჯე
13 000 მაყურებელი

### კიევო 1:2 ბრეშა

0:1 ტარე (57), 1:1 კოსატო (75), 1:2 სერიჩი (87)
კიევო: ლუპატელი, ფ. მორო, ლეგროტალიე, დანა, ლანა, პელისიერი (კოსატო 46), პეროტა, კორინი, დ. ფრანჩესკინი (დელა მორტე 65), ბიერჰოფი (ბეგეტო 46), მარაცინა
მწვრთნელი: ლუიჯი დელ ნერი
ბრეშა: სრნიჩეკი, ფ. მარტინესი, სტანკევიჩიუსი, პეტრუცი, დაინელი, ბაჯო (ა. ფილიპინი 77), აპია, მატუზალემი (გუანა 77), სერიჩი, რ. ბაჯო, ტარე (შოპი 84)
მწვრთნელი: კარლო მაცონე
გაფრთხილება: ლეგროტალიე, აპია, პეროტა
მსაჯი: ტომბოლინი
13 880 მაყურებელი

# რომს ბატები ვეღარ შველიან



REUTERS

ემპოლი — იუვენტუსი. ვინჩენცო გრელამ და ფლავიო ჯამპიერეტიმ ტურინელი ალესანდრო დელ პიერო ვერ გამოიმწყვდიეს

**რას გვეტყვი** ყოველივე ამის შემდეგ, „რომა"? რით იმართლებ თავს? რისი თქმა გინდა, რომ ერთი კვირის წინ, ჩემპიონთა თასზე „რეალმა" „სტადიო ოლიმპიკოზე" გმირობა კი არ ჩაიდინა, არამედ იმ გუნდს მოუგო, რომელსაც იმავე სარბიელზე „მოდენაც" უგებს? რა ამბავია ზედიზედ სამი მარცხი, ორი ჩემპიონატში და ერთი ლიგაში?

მერედა, იმას ხომ ვეღარ იტყვი, რომ ფეხბურთელები გაკლდა: წინ ვინჩენცო მონტელა და გაბრიელ ბატისტუტა გყავდა, ხოლო მათ უკან ფრანჩესკო ტოტი. ამას ზედ ისიც დაერთო, რომ „მოდენა" რთულ შეხვედრებში გამოუცდელი გუნდია და თამაში დაიწყო თუ არა, მე-4 წუთზე პენალტით დაისაჯა თავი — როგორც კი ფრანჩესკო ტოტიმ მის საჯარიმოში ფეხი შედგა, მაურო მაიერმა აკრძალული ხერხით გადაუღობა გზა და მსაჯმაც ჩასტვინა, ხოლო თერთმეტი მეტრიდან თავად ტოტიმ გახსნა ანგარიში.

ესე იგი, ნახეთ, რა ფსიქოლოგიური გარემო შეიქმნა: გუნდს დაუბრუნდა ლიდერი, ხალხმა მის დანახვაზე, ბუნებრივია, ერთი ამბავი ატეხა, მან მეოთხე წუთზევე პენალტი მოინადირა, თავად შეაგდო და... მეტი რა გინდა? თითქოს დაგლეჯილი გყავს მეტოქე, თან საწყალი „მოდენა", მაგრამ ნუ ვიჩქარებთ. მართალია, „რომამ" უპირატესობა, უფრო სწორად კი ბურთი შეინარჩუნა, მაგრამ მომენტი ხომ უნდა შექმნა მოწინააღმდეგის კართან?

და, აი, ტაიმის დამთავრებამდე ერთი წუთით ადრე, „რომას" უარესად ერევა თავ-გზა: მის საჯარიმოში ჯუპეზე სკულია, რომლის წინააღმდეგ ემერსონი ისეთ რაღაცას აკეთებს, რაც მსაჯის, ფარინას აზრით სხვა არაფერია, თუ არა ხელის კვრა და პენალტს ნიშნავს. ამის შემყურე გამოცდილი კრისტიან პანუჩი ნერვიულობს და კამათობს (რა არის სანერვიულო, როდესაც ამხელა „რომა" ერთი ციცქნა „მოდენას" ეთამაშება, თან საკუთარ მოედანზე? ვთქვათ, გაგითანაბრა, მერე რა?), რისთვისაც ფარინა მოედნიდან აძევებს, პენალტით ანგარიშს მოდენელი ათანაბრებს და მეორე ტაიმს მასპინძლები რიცხობრივი უმცირესობით იწყებენ.

მეორე ტაიმში (ბატისტუტა უკვე გამოცვლილი გახლდათ) იყო ეპიზოდი, როდესაც „რომა" კიდევ ერთ პენალტს ითხოვდა, აქაოდა, ტოტის მაისურზე დაქაჩესო. საუკეთესო შესაძლებლობა კი მასპინძლებს 58-ე წუთზე მიეცათ: ვინჩენცო მონტელამ ლონივრად დაარტყა, მაგრამ მარკო ბალოტამ აუღო. ამის შემდეგ საქმეში კაპელო ჩაერია, მოედნიდან მონტელა გაიყვანა და თავისი გუნდის განლაგება 4-4-1-ად გადააკეთა — ერთადერთ ფორვარდად მწვრთნელმა ტოტი დასტოვა.

78-ე წუთზე კი „სტადიო ოლიმპიკოს" თავზე ცივი წყალი გადაესხა — მასპინძლების უხეშმა შეცდომამ სკული, საგოლე პოზიციაზე დატოვა და მანაც არ უმტყუნა პროვინციელებს. ბოლოსკენ „რომამ", ცხადია, თავი გამოიდო, კაპელომ მდგომარეობის გამოსასწორებლად მოედანზე ანტონიო კასანო შეუშვა, ქომაგებმა მსაჯს უსტვინეს, მაგრამ ამით არაფერი შეცვლილა, თან „მოდენას" მეკარე ბალოტამ რამდენჯერმე იხსნა კარი...

აი, ასე... ერთი სიტყვით, „რომას" საკითხი გასარკვევი გვაქვს და, როგორც საბჭოთა ტელეკომენტატორები იტყოდნენ ხოლმე, ჩავინიშნოთ. მანამდე კი ჩემპიონს, „იუვენტუსს" მივხედოთ.

თუმცა, „იუვეს" რა მიხედვა უნდა, ემპოლიში ალესანდრო დელ პიერომ ორი გოლი შეაგდო — რა თქმა უნდა, ერთი პენალტით — და, ახლა, ორი ტურის შემდეგ ოთხ გოლს ითვლის. წინა ტურის შეხვედრასთან შედარებით, „ბებერი ქალბატონის" მწვრთნელმა მარჩელო ლიპიმ უფრო შემტევი შემადგენლობა გაიყვანა მოედანზე — ზემოხსენებული დელ პიერო, მარსელო სალასი და მარკო დი ვაიო.

მე-5 წუთზე დელ პიერომ მასპინძელთა დაცვა გაჭრა, მაგრამ მეკარე ჯანლუკა ბერტიმ წააქცია. პენალტიდან, როგორც ვთქვით, თავად „დაზარალებულმა" გაიტანა. მეორე ტაიმში, 73-ე წუთზე კი იმავე დელ პიერომ ანგარიში ორამდე გაზარდა. ამჯერად მან ზუსტად ისეთი გოლი შეაგდო, როგორიც პირველ ტურში „ატალანტას" კარში. იყო სხვა მომენტებიც, მაგრამ მათმა აღწერამ მიმოხილვა მომაბეზრებელი რომ არ გახადოს, „ინტერის" მატჩზე გადავიდეთ.

„ინტერმა" კალაბრიაში „რეჯინა" დაამარცხა. აქ უნდა აღინიშნოს, რომ „შავლურჯთა" მწვრთნელ ექტორ რაულ კუპერს ძლიერ აკრიტიკებენ იმის გამო, რომ იგი „პარმასგან" შეძენილ ცნობილ მცველ ფაბიო კანავაროს ჩვეული, ცენტრალური ადგილის ნაცვლად მარჯვენა ფრთაზე ათამაშებს, მაგრამ, საბოლოოდ, გამარჯვებულს ხომ არ აკრიტიკებენ?

ანგარიში კრისტიან ვიერიმ თავიდანვე, მე-6 წუთზევე გახსნა, თან ლამაზად: მარკო მატერაცის უგრძესი პასით მიღებულ ბურთს მარჯვენა ფეხი დაჰკრა და გაიტანა. შემდეგ კალაბრიელმა ქომაგმა გვარიანი ბრძოლა იხილა, მაგრამ დიდ სიხარულს და... დიდ მწუხარებასაც ბოლო წუთებამდე უცადა.

90-ე წუთზე „რეჯინა" „ინტერს" მიაწვა და კანავარომ მასიმო რასტელი წააქცია — პენალტი. დარტყმა, სხვათა შორის, აბსოლუტურად მშვიდად, იაპონელმა ნაკამურამ შეასრულა და თითქოს, მასპინძლებმა სრულიად დამსახურებული ქულაც მოიპოვეს, მაგრამ...

92-ე წუთზე, საფინალო სასტვენამდე 30 წამით ადრე, ალვარო რეკობამ ერნან კრესპოსთან ჩინებული კომბინაცია გაითამაშა და ახლოდან მილანელთა გამარჯვების გოლი შეაგდო.

**ბაჩუნა ძიძია**

| | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 მილანი | 2 | 2 | 0 | 0 | 6:0 | 6 | 6 | 1 | 1 | 0 | 0 | 3:0 | 3 | 3 | 1 | 1 | 0 | 0 | 3:0 | 3 | 3 |
| 2 იუვენტუსი | 2 | 2 | 0 | 0 | 5:0 | 5 | 6 | 1 | 1 | 0 | 0 | 3:0 | 3 | 3 | 1 | 1 | 0 | 0 | 2:0 | 2 | 3 |
| 3 პიაჩენცა | 2 | 2 | 0 | 0 | 4:1 | 3 | 6 | 1 | 1 | 0 | 0 | 2:0 | 2 | 3 | 1 | 1 | 0 | 0 | 2:1 | 1 | 3 |
| 4 ინტერი | 2 | 2 | 0 | 0 | 3:1 | 2 | 6 | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 1 | 3 | 1 | 1 | 0 | 0 | 2:1 | 1 | 3 |
| 5 პარმა | 2 | 1 | 1 | 0 | 3:1 | 2 | 4 | 1 | 1 | 0 | 0 | 2:0 | 2 | 3 | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 0 | 1 |
| 6 ბოლონია | 2 | 1 | 1 | 0 | 4:3 | 1 | 4 | 1 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 0 | 1 | 1 | 1 | 0 | 0 | 2:1 | 1 | 3 |
| 7 კიევო | 2 | 1 | 0 | 1 | 4:4 | 0 | 3 | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | -1 | 0 | 1 | 1 | 0 | 0 | 3:2 | 1 | 3 |
| 8 ბრეშა | 2 | 1 | 0 | 1 | 3:3 | 0 | 3 | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | -1 | 0 | 1 | 1 | 0 | 0 | 2:1 | 1 | 3 |
| 9 ლაციო | 2 | 1 | 0 | 1 | 3:3 | 0 | 3 | 1 | 0 | 0 | 1 | 2:3 | -1 | 0 | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 1 | 3 |
| 10 ემპოლი | 2 | 1 | 0 | 1 | 2:2 | 0 | 3 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:2 | -2 | 0 | 1 | 1 | 0 | 0 | 2:0 | 2 | 3 |
| 11 პერუჯა | 2 | 1 | 0 | 1 | 2:3 | -1 | 3 | 1 | 1 | 0 | 0 | 2:0 | 2 | 3 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:3 | -3 | 0 |
| 12 მოდენა | 2 | 1 | 0 | 1 | 2:4 | -2 | 3 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:3 | -3 | 0 | 1 | 1 | 0 | 0 | 2:1 | 1 | 3 |
| 13 უდინეზე | 2 | 0 | 1 | 1 | 1:3 | -2 | 1 | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 0 | 1 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:2 | -2 | 0 |
| 14 ატალანტა | 2 | 0 | 1 | 1 | 2:5 | -3 | 1 | 1 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 0 | 1 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:3 | -3 | 0 |
| 15 რომა | 2 | 0 | 0 | 2 | 2:4 | -2 | 0 | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | -1 | 0 | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | -1 | 0 |
| 16 ტორინო | 2 | 0 | 0 | 2 | 0:2 | -2 | 0 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | -1 | 0 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | -1 | 0 |
| 17 რეჯინა | 2 | 0 | 0 | 2 | 1:4 | -3 | 0 | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | -1 | 0 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:2 | -2 | 0 |
| 18 კომო | 2 | 0 | 0 | 2 | 0:4 | -4 | 0 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:2 | -2 | 0 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:2 | -2 | 0 |

**IV ტური**

29 სექტემბერი

| | | |
|---|---|---|
| ბოლონია | - | პიაჩენცა |
| ბრეშა | - | რომა |
| კომო | - | რეჯინა |
| ინტერი | - | კიევო |
| იუვენტუსი | - | პარმა |
| ლაციო | - | მილანი |
| მოდენა | - | ტორინო |
| პერუჯა | - | ემპოლი |
| უდინეზე | - | ატალანტა |

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| დელ პიერო (იუვენტუსი) | 4 |
| ფ. ინძაგი (მილანი) | 3 |

## სერია B

### IV ტური

**ასკოლი 0:0 სამპდორია**

**ჯენოა 0:0 ბარი**

**ლეჩე 2:1 სალერნიტანა**

0:1 დ. ბიჯო (60), 1:1 ჩევანტონი (68), 2:1 ჯაკომაცი (69)

**ლივორნო 2:0 ტრიესტინა**

1:0 პროტი (54), 2:0 ცინაია (74)

**მესინა 3:3 კატანია**

1:0 პორტანოვა (12), 1:1 ოლივეირა (33), 2:1, 3:1 კალაიო (56, 68), 3:2, 3:3 ოლივეირა (74, 82)

**ნაპოლი 1:2 კოზენცა**

0:1 კაზალე (11), 1:1 ვიდიგალი (16), 1:2 კაზალე (44)

**პალერმო 1:0 სიენა**

1:0 მანიერო (40პ)

**ტერნანა 0:1 კალიარი**

0:1 სუაზო (89)

**ვენეცია 1:1 ვერონა**

1:0 კალორი (2), 1:1 მ. ვიერი (89)

**ვიჩენცა 1:1 ანკონა**

1:0 შვოკო (5), 1:1 მაინი (21)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლივორნო | 2 | 2 | 0 | 0 | 3:0 | 6 |
| კოზენცა | 2 | 2 | 0 | 0 | 4:2 | 6 |
| ანკონა | 2 | 1 | 1 | 0 | 5:3 | 4 |
| სამპდორია | 2 | 1 | 1 | 0 | 4:2 | 4 |
| ბარი | 2 | 1 | 1 | 0 | 2:0 | 4 |
| კატანია | 2 | 1 | 1 | 0 | 6:5 | 4 |
| კალიარი | 2 | 1 | 1 | 0 | 3:2 | 4 |
| ვენეცია | 2 | 1 | 1 | 0 | 3:2 | 4 |
| ტერნანა | 2 | 1 | 0 | 1 | 3:1 | 3 |
| სიენა | 2 | 1 | 0 | 1 | 1:1 | 3 |
| ლეჩე | 2 | 1 | 0 | 1 | 4:5 | 3 |
| პალერმო | 2 | 1 | 0 | 1 | 3:4 | 3 |
| მესინა | 2 | 0 | 1 | 1 | 3:4 | 1 |
| ნაპოლი | 2 | 0 | 1 | 1 | 3:4 | 1 |
| ჯენოა | 2 | 0 | 1 | 1 | 2:3 | 1 |
| ვიჩენცა | 2 | 0 | 1 | 1 | 2:3 | 1 |
| ვერონა | 2 | 0 | 1 | 1 | 1:2 | 1 |
| ასკოლი | 2 | 0 | 1 | 1 | 0:2 | 1 |
| ტრიესტინა | 2 | 0 | 0 | 2 | 1:4 | 0 |
| სალერნიტანა | 2 | 0 | 0 | 2 | 1:5 | 0 |

## სერია C1/a

მე-4 ტური: არეცო — პრატო 2:2; ჩეზენა — ჩიტადელა 4:1; ლუკეზე — ალბინოლეფე 1:2; ლუმეცანე — პისტოიეზე 1:1; პადოვა — პრო პატრია 3:0; პიზა — კარარეზე 1:0; რეჯანა — ალძანო 0:0; სპეცია — სპალ 1:0; ვარეზე — ტრევიზო 1:2

## სერია C1/b

მე-4 ტური: კროტონე — აველინო 1:2; ჯულიანოვა — ლანჩანო 3:0; პესკარა — ტერამო 3:3; ტორესი — ბენევენტო 2:0; სორა — მარტინა 2:3; ტარანტო — ფერმანა 2:1; პიზარო — აკვილა 3:1; ვიტერბეზე — სამბენედეტეზე 0:3; კოტრონე — პატერნო ნუხელ გვიან გაიმართა (ან. მერიგუ გვერდი)

# იტალიის ჩემპიონატი
## მესამე ტურის მატჩი
### მილანი 3:0 პერუჯა
კახა კალაძე: 90 წუთი

# ახალი წესი: კახა აწვდის, ფილიპო ურტყამს

„პერუჯას" ხომ იცით, ვინ წვრთნის? ყოფილი ქომაგი, ერთობ კოლორიტული სერსე კოზმი, რომელსაც შედეგები ზოგადადაც ჩინებული აქვს (ყოველ შემთხვევაში „პერუჯასთვის") და „მილანის" წინააღმდეგ აქამდე ერთხელაც არ დამარცხებულიყო.

მაგრამ, ეს ყველაფერი წარსულში. ამ უქმეებზე, იტალიის პირველობის მესამე ტურში, კარლო ანჩელოტის „მილანმა" პერუჯელებს შანსი არ დაუტოვა — 3:0. აღსანიშნავია, რომ ამ შეხვედრაში ანჩელოტიმ შემადგენლობა შეცვალა (იმასთან შედარებით, წინა კვირაში ჩემპიონთა ლიგაში, ფრანგული „ლანსის" წინააღმდეგ რომ ათამაშა) — გამოჩნდნენ მასიმო ამბროზინი, იონ დალ ტომასონი და სერჟინიო, რომელთაც ჯენარო გატუზოს, რივალდოსა და კლარენს ზეედორფის ადგილები დაიჭირეს.

ისევე როგორც „ლანსთან" თამაშის პირველ ნახევარში, „შავ-წითლებმა" მაღალი გემოვნების დამაკმაყოფილებელი კომბინაციები და ელემენტები აჩვენეს მაყურებელს, ხოლო პერუჯელთაგან, „იუვენტუსისგან" ნათხოვარი თავდამსხმელი ფაბრიციო მიკოლი გამოირჩეოდა. მისი მეცადინეობით ალესანდრო ნესტას საუკეთესო თვისებების გამოვლენა დასჭირდა.

მაგრამ, მოვიდა მე-40 წუთი და ანდრეა პირლოს ჩაწოდებული კუთხურიდან პაოლო მალდინიმ, სერია A-ში ჩატარებულ 478-ე შეხვედრაში თავისი 24-ე გოლი შეაგდო.

მეორე ტაიმში კი სტუმართა დაცვა, ცოტა უფრო დამფრთხალი ჩანდა და აი, შედეგიც: კახა კალაძის პასით ფილიპო ინძაგიმ, ამ სეზონში უკვე მესამედ, დალაშქრა მეტოქის კარი.

შემდეგ მოედანზე რუი კოშტას ნაცვლად შესულმა ზეედორფმა გამოიჩინა თავი. მან, ფაქტობრივად, პირველივე შეხებით გოლი გაიტანა — ზეედორფმა და ინძაგიმ რაჰმან რეზაეის შეცდომით ისარგებლეს.

ბოლო წუთზე კი პერუჯელებმა იონ დალ ტომასონი დასცეს საკუთარ საჯარიმოში. პენალტი სერჟინიომ დაარტყა, მაგრამ ხარიხას გაარტყა.

**ბაჩუნა ძიძია**



კაპიტანმა პაოლო მალდინიმ თანაგუნდელებს საგოლე მაგალითი მისცა

# რუსეთი
## პრემიერლიგა. XXIV ტური

**როსტსელმაში 1:1 სპარტაკი**

0:1 ბესჩასტნიხი (75პ), 1:1 მასლოვი (90)

სპარტაკი: ჩერჩესოვი, კოვტუნი, ჩუისა, მიტრეისკი (ბეზროდნი 59), მოიზესი, ხლესტოვი, კუდრიაშოვი, კალინიჩენკო, ბარანოვი, ფილი (დანიშევსკი 59), ბესჩასტნიხი

**ურალანი 1:0 კრილია სოვეტოვი**

1:0 კაზაკოვი (23)

ურალანი: ფილიმონოვი, კოლოდინი, ბოკოვი, ბურაშენკო, ჩუგაინოვი, კუზმინი, თოიძე, კაზაკოვი, რ. ბუენტებლი (ოსპეშინსკი 68), აგაქოვი (სემიჩკო 30), ვაიზმაკინი (მონახოვი 46)

მწვრთნელი: რევაზ ძოძუაშვილი

**დინამო 2:3 როტორი**

0:1 პავლიუჩენკო (30), 1:1 დიატელი (41), 1:2 ზუბკო (61), 1:3 პავლიუჩენკო (68), 2:3 კორომანი (83)

**სატურნი 2:3 შინიკი**

1:0 როგაჩევი (10), 1:1 ბერკო (16), 2:1 მილიოშინი (20), 2:2 კლიუევი (52), 2:3 კუჩინოვი (83)

**სოკოლი 0:4 ტორპედო**

0:1 ბუდილინი (49), 0:2 შირკო (53), 0:3 არისტარხოვი (82), 0:4 შირკო (86)

**ზენიტი 2:2 ანჟი**

0:1 მიტროფანოვი (26), 0:2 ოლივეირა (29პ), 1:2 სპივაკი (32პ), 2:2 რაწეველიშვილი (74)

**ტორპედო ზილ 0:2 ცსკა**

0:1 სემაკი (9), 0:2 კირიჩენკო (17)

**მოსკოვის** „სპარტაკი" პირადი რეკორდის მოხსნას ცდილობს.

1995-ში ზედიზედ ექვს მატჩში ვერ მოიგო. 2000-2001 წლებში იგივე გაიმეორა. ახლა მაჩვენებელი ხუთზე ავიდა, რადგან როსტოვში გამარჯვება სტუმრებს ბოლო წუთზე აწაპნეს.

თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ხვალ ჩემპიონთა ლიგის მეორე ტურში „ვალენსიას" მასპინძლობს, მერე თანაქალაქელ „სატურნს", დიდი შანსი აქვს რეკორდის „გაუმჯობესებისა". საამისოდ ყველა პირობა არსებობს — ოლეგ რომანცევი საავადმყოფოშია, პარფიონოვი ტრავმირებული, გუნდის ტვინი იგორ ტიტოვი ნახევარი წლით ფეხბურთს ჩამოშორდა. მოკლედ, „სახალხო გუნდი" ხალხის თვალწინ დაიშალა. გუნდში არაჯანსაღი ატმოსფეროა. ცხრა ლეგიონერი და რომანცევის თანაშემწე ვლადიმირ ფედოტოვი ერთმანეთს ვერაფერს აგებინებენ.

როსტოვშიც, მასპინძელთა გასაკვირად, „როსტსელმაში" უტევდა და ინიციატივასაც ფლობდა. რამდენჯერმე ჩერჩესოვმა იხსნა „სპარტაკი". უხეირო თამაშის მიუხედავად, მეორე ტაიმში მაინც სტუმრები დაწინაურდნენ. კონტრიერიშზე ჩუისემ ბურთი გაიგდო, კარპოვიჩმა კი საჯარიმოში მოკელა. ბესჩასტნიხმა მშვიდად შეასრულა თერთმეტმეტრიანი.

დონისპირელებმა ბოლომდე იბრძოლეს და მსაჯის მიერ წამატებულში გაათანაბრეს. შიშოკის დარტყმული მცველისგან მასლოვს მიუვიდა, რომელმაც ბურთი მოათვინიერა და როსტოველი გულშემატკივრები გაახარა.

სტანისლავ ჩერჩესოვი: „გუნდში ძალიან ბევრი ახალბედაა. მათ ჯერ ვერ აუღეს ალღო „სპარტაკის" სტილს. თან ლიდერი, ტიტოვი არ გვყავს, რომელიც ძალიან დაგვაკლდა. მიუხედავად ამისა, მაინც უნდა შევძლოთ კრიზისის გადალახვა. რა ვქნათ, ტიტოვს ველოდოთ?"

ელისტაში „ურალან" — „კრილია სოვეტოვის" დაწყებამდე ტრადიციად ქცეული რიტუალი შედგა. კირსან ილუმჟინოვმა სამარის ოლქის გუბერნატორს და სტუმართა კლუბის პრეზიდენტს ყალმუხური სუვენირები უძღვნა. რევაზ ძოძუაშვილმა ჩვეულებას არ უღალატა: 5 მცველით, სამი დაცვაზე ორიენტირებული ნახევარმცველითა და ორი ფორვარდით ითამაშა. მატჩის მსვლელობისას ეს სქემა ექვს მცველად და ერთ თავდამსხმელად გარდაიქმნებოდა. სრულად ითამაშა სევასტი თოდუამ, ერთადერთი გოლი კი 23-ე წუთზე საჯარიმო დარტყმის შემდეგ გავიდა. კუზმინმა ჩააწოდა, კაზაკოვმა კი თავურით ანგარიში გახსნა.

„ურალანის" გენერალური დირექტორი იური შიშლოვი: „მწვრთნელის მიერ არჩეულმა დაცვითმა ტაქტიკამ გამაკვირვა, მაგრამ რაკი გუნდმა მოიგო, გამოდის, რომ ძოძუაშვილმა იცის, რასაც აკეთებს. ჩვენ შედეგი გვჭირდება და მივიღეთ კიდეც".

აქამდე ზედიზედ 11 შეხვედრაში მოსკოვის „დინამო" ვოლგოგრადის „როტორს" ჩაგრავდა. ეს მაშინ, როცა ექვსი წლის განმავლობაში „როტორს" ვიქტორ პროკოპენკო წვრთნიდა. პროკოპენკო ახლა „დინამოს" თავკაცობს და სიმბოლურია, რომ ვოლგისპირელებმა მოსკოვში გატეხეს ნავსი.

„ტორპედოსგან" ნაგვემი სარატოვის „სოკოლი" გამაგრილებელი სასმელების ბოთლების სროლით გააცილეს. „სოკოლი", ფაქტობრივად, გავარდნილია და ამიტომ მოთამაშეებს თავი დიდად აღარ შეუწუხებიათ.

**გაგა ხუციშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლოკომოტივი | 24 | 15 | 8 | 1 | 34:9 | 53 |
| სპარტაკი | 26 | 14 | 7 | 5 | 42:32 | 49 |
| ცსკა | 24 | 15 | 3 | 6 | 47:24 | 48 |
| სატურნი | 24 | 11 | 6 | 7 | 34:28 | 39 |
| კრილია | 24 | 12 | 3 | 9 | 33:27 | 39 |
| შინიკი | 25 | 10 | 7 | 8 | 34:33 | 37 |
| ტორპედო | 24 | 10 | 6 | 8 | 37:27 | 36 |
| დინამო | 24 | 11 | 3 | 10 | 32:26 | 36 |
| ზენიტი | 24 | 8 | 8 | 8 | 32:31 | 32 |
| როტორი | 24 | 8 | 5 | 11 | 20:25 | 29 |
| ურალანი | 25 | 6 | 10 | 9 | 31:36 | 28 |
| ალანია | 23 | 6 | 5 | 12 | 27:35 | 23 |
| ტორპედო ზილ | 24 | 4 | 10 | 10 | 16:30 | 22 |
| როსტსელმაში | 24 | 5 | 7 | 12 | 23:44 | 22 |
| ანჟი | 25 | 4 | 9 | 12 | 20:39 | 21 |
| სოკოლი | 24 | 3 | 7 | 14 | 18:34 | 16 |

# უტვინოდ და უმწვრთნელოდ
## სახალხო ლაზარეთი



დინამო — როტორი. ვოლგოგრადელებმა დენის ზუბკომ (№11) და რომან პავლიუჩენკომ მასპინძლებს სამი გოლი გაუტანეს

# მიდი, ნახე

# შოტლანდია
## პრემიერლიგა. VIII ტური

**რეინჯერსი 3:0 პარტიკი**

1:0 ლოვენკრანდსი (3), 2:0, 3:0 დე ბური (28, 70)

რეინჯერსი: კლოსი, მუსკატი, კ. მური (კონტერმანი 72), ლ. ამორუზო, მორის როსი, რიკსენი, ბ. ფერგიუსონი (ლატაპი 80), არტეტა, რ. დე ბური, შ. არველაძე (მოლსი 81), ლოვენკრანდსი

მწვრთნელი: ალექს მაკლიში

48 696 მაყურებელი

**დანდი 0:1 სელტიკი**

0:1 ლარსონი (18)

დანდი: სპერონი, მაკი, სმიტი, უილკი, ბათისტონი (ლოველი 79), ნოვო, ჟონსტონი, რაე, ნემსაძე, კაბალიერო, სარა

მწვრთნელი: ჯიმ დაფი

9 483 მაყურებელი

**დანფერმლაინი 1:0 მოზერუელი**

1:0 ბიულენი (74)

**ჰარტსი 2:0 დანდი იუნ.**

1:0 ვალო (26), 2:0 დე ვრიზი (56)

**ჰიბერნიანი 2:0 კილმარნოკი**

1:0 ა. მიური (8), 2:0 მაკმანუსი (11)

**ლივინგსტონი 1:2 აბერდინი**

0:1 რ. ანდერსონი (1), 1:1 ქაიუზა (56), 1:2 მაკნაფტონი (74)

**ბერტი ფოგტსმა** ისეთი მატჩი გააცდინა, სანახავად რომ ღირდა — „დანდი" შინ „სელტიკს" ფხიანად ეთამაშა, ხოლო მისი 22 წლის მცველი ლი უილკი შეუდარებელი გახლდათ. ჰოდა, შოტლანდიის ნაკრების გერმანელ მენეჯერს უნდა ენახა, თუ როგორ უმკლავდებოდა ლი უილკი ჰენრიკ ლარსონსა და სელტიკელთა სხვა შემტევებს.

თუმც ლარსონმა მაინც შეაგდო. როგორც „დანდის" ვებ-გვერდი იუწყება, შვედმა, ფაქტობრივად, არაფრისგან გამოაცხო გოლი თავისი უზადო ოსტატობის წყალობით.

დანდელთა შორის გამოირჩა გიორგი ნემსაძეც, მაგრამ ქართველის გარჯამ საქმეს ვერ უშველა.

ჯულიან სპერონიმ კი ერთი-ორი ძნელი ბურთი „გამოაძრო", თუმც იმის თქმაც არ ეგების, „სელტიკმა" უმოწყალოდ დაბომბა „დანდის" არგენტინელი მეკარეო.

მასპინძელთაგან ნაჩო ნოვოს შეეძლო ეხეირა, მაგრამ ასპროცენტიანი საგოლე შანსი „დანდის" არ ჰქონია — ასე შეწყვიტა „დანდიმ" ორმატჩიანი წაგებული სერია.

შოთა არველაძის „რეინჯერსმა" იოლად მოიგო სქოთურ პრემიერლიგაში ახალაღზევებულ „პარტიკს". შოთამ პირველ საგოლე კომბინაციაში დაიდო წილი, ხოლო გოლის გატანა ორჯერ შეეძლო — ჯერ 18 მეტრიდან დარტყმული „პარტიკის" მეკარემ მოიგერია, მერე კი თავურით ოდნავ ააცილა მიზანს, მატჩის საუკეთესო მოთამაშედ კი ქართველის აიაქსელი ძმაკაცი რონალდ დე ბური შერაცხეს.

**ჰოკეი. რუსეთი. VI ტური**

24 სექტემბერი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 17.30 | 701 | მოლოტი-ნოვოკუზნეცკი | 2,2 | 4,2 | 2,2 | 1,44 | 1,1 | 1,44 |
| 17.30 | 702 | მაგნიტოგორსკი-კრილია | 1,25 | 5,6 | 5,6 | 1,02 | 1,02 | 2,79 |
| 17.30 | 703 | მეჩელი-ლოკომოტივი | 3,0 | 5,0 | 1,6 | 1,87 | 1,04 | 1,21 |
| 19.30 | 704 | დინამო-სიბირი | 1,2 | 6,0 | 6,5 | 1 | 1,01 | 3,11 |
| 19.30 | 705 | სევერსტალი-ავანგარდი | 2,2 | 4,2 | 2,2 | 1,44 | 1,1 | 1,44 |
| 19.30 | 706 | აკ-სპარტაკი | 2,25 | 4,4 | 2,1 | 1,48 | 1,08 | 1,42 |
| | | 25 სექტემბერი | | | | | | |
| 16.00 | 707 | ლადა-ნეფტეხიმიკი | 1,35 | 5,6 | 4,0 | 1,08 | 1 | 2,33 |
| 16.00 | 708 | ს.იულაევი-აკ ბარსი | 2,5 | 4,4 | 1,85 | 1,59 | 1,06 | 1,3 |

**ჰოკეი. ჩეხეთი. IV ტური**

24 სექტემბერი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20.00 | 726 | ტრჟინეცი-ლიტვინოვი | 1,9 | 4,2 | 2,5 | 1,3 | 1,07 | 1,56 |
| 20.00 | 727 | ჰავირჟოვი-ბუდეიოვიცე(ჩ) | 2,2 | 4,2 | 2,2 | 1,44 | 1,1 | 1,44 |
| 20.30 | 728 | ზლინი-პლზენი | 1,7 | 4,4 | 2,8 | 1,22 | 1,05 | 1,71 |
| 20.30 | 729 | პარდუბიცე-ვიტკოვიცე | 1,5 | 4,4 | 3,6 | 1,11 | 1,05 | 1,98 |
| 20.30 | 730 | ზნოიმო-ვსეტინი | 1,8 | 4,4 | 2,6 | 1,27 | 1,06 | 1,63 |
| 21.00 | 731 | სპარტა-სლავია | 1,7 | 4,2 | 2,9 | 1,21 | 1,07 | 1,71 |
| 21.00 | 732 | ლიბერეცი-კარლოვი ვარი | 1,7 | 4,2 | 2,9 | 1,21 | 1,07 | 1,71 |

**ჰოკეი. შვეიცარია. VIII ტური**

27 სექტემბერი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22.30 | 747 | ამბრი-რაპერსვილი | 1,8 | 4,4 | 2,6 | 1,27 | 1,06 | 1,63 |
| 22.30 | 748 | ბერნი-ლუგანო | 2,2 | 4,2 | 2,2 | 1,44 | 1,1 | 1,44 |
| 22.30 | 749 | დავოსი-ფრიბურგი | 1,5 | 4,4 | 3,6 | 1,11 | 1,05 | 1,98 |
| 22.30 | 750 | სერვეტი-ციურიხი | 2,2 | 4,2 | 2,2 | 1,44 | 1,1 | 1,44 |
| 22.30 | 751 | კლოტენი-ლოზანა | 1,55 | 4,4 | 3,4 | 1,14 | 1,06 | 1,91 |
| 22.30 | 752 | ლანგნაუ-ცუგი | 2,0 | 4,2 | 2,4 | 1,35 | 1,09 | 1,52 |

**ჰოკეი. გერმანია. VII ტური**

26 სექტემბერი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22.30 | 759 | კასელი-ნიურნბერგი | 1,9 | 4,2 | 2,5 | 1,3 | 1,07 | 1,56 |
| | | 27 სექტემბერი | | | | | | |
| 22.30 | 760 | ჰანოვერი-მანჰაიმი | 2,5 | 4,4 | 1,85 | 1,59 | 1,06 | 1,3 |
| 22.30 | 761 | ისერლონი-ჰამბურგი | 1,65 | 4,4 | 3,0 | 1,2 | 1,06 | 1,78 |
| 22.30 | 762 | აუგსბურგი-ფრანკფურტი | 1,75 | 4,4 | 2,7 | 1,25 | 1,06 | 1,67 |
| 22.30 | 763 | დიუსელდორფი-აისბარენი | 1,9 | 4,2 | 2,5 | 1,3 | 1,07 | 1,56 |
| 23.00 | 764 | კრეფელდი-კიოლნი | 2,1 | 4,2 | 2,3 | 1,39 | 1,09 | 1,48 |
| 23.00 | 765 | შტრაუბინგი-ინგოლშტადტი | 2,1 | 4,2 | 2,3 | 1,39 | 1,09 | 1,48 |

**ჰოკეი. შვედეთი. I ტური**

24 სექტემბერი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22.00 | 773 | ლინჩეპინგი-იურგორდენი | 2,1 | 4,2 | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] |
| 22.00 | 774 | მალმო-ფროლუნდა | 2,1 | 4,2 | 2,3 | 1,39 | 1,09 | 1,48 |
| 22.00 | 775 | ხვ 71-ლულეო | 1,6 | 4,4 | 3,2 | 1,17 | 1,06 | 1,85 |
| 22.00 | 776 | ტიმრა-მოდო | 2,2 | 4,2 | 2,2 | 1,44 | 1,1 | 1,44 |
| 22.00 | 777 | სოდერტელიე-ფერიესტადი | 2,4 | 4,2 | 2,0 | 1,52 | 1,09 | 1,35 |

**ჰოკეი. ფინეთი.**

24 სექტემბერი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20.30 | 790 | ჰელსინკი-ილვესი | 2,0 | 4,2 | 2,4 | 1,35 | 1,09 | 1,52 |
| 20.30 | 791 | ტაპარა-იოკერიტი | 1,4 | 4,7 | 4,2 | 1,07 | 1,04 | 2,21 |
| 20.30 | 792 | ტურკუ-კარპატი | 1,6 | 4,4 | 3,2 | 1,17 | 1,06 | 1,85 |
| 20.30 | 793 | ესპო-პელიკანი | 2,5 | 4,2 | 1,9 | 1,56 | 1,07 | 1,3 |

**I ტაიმის შედეგი.**

24 სექტემბერი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23.45 | 2001 | იუვენტუსი-დინამო(კ) | 1,6 | 2,7 | 7,0 | 1 | 1,3 | 1,94 |
| 23.45 | 2002 | ნიუკასლი-ფეიენოორდი | 2,2 | 2,2 | 4,7 | 1,1 | 1,49 | 1,49 |
| 23.45 | 2003 | ლევერკუზენი-მანჩესტერი | 3,5 | 2,1 | 2,7 | 1,31 | 1,52 | 1,18 |
| 23.45 | 2004 | მაკაბი(ჰ)-ოლიმპიაკოსი | 4,4 | 2,2 | 2,25 | 1,46 | 1,48 | 1,11 |
| 23.45 | 2005 | დეპორტივო-მილანი | 2,5 | 2,1 | 3,8 | 1,14 | 1,5 | 1,35 |
| 23.45 | 2006 | ლანსი-ბაიერნი | 3,5 | 2,1 | 2,7 | 1,31 | 1,52 | 1,18 |
| 23.45 | 2007 | ბრიუგე-ლოკომოტივი | 2,2 | 2,2 | 4,7 | 1,1 | 1,49 | 1,49 |
| 23.45 | 2008 | გალათასარაი-ბარსელონა | 3,0 | 2,1 | 3,2 | 1,23 | 1,54 | 1,26 |
| | | 25 სექტემბერი | | | | | | |
| 21.00 | 2009 | სპარტაკი-ვალენსია | 3,4 | 2,1 | 2,8 | 1,29 | 1,53 | 1,19 |
| 23.45 | 2010 | აეკ-რომა | 3,0 | 2,1 | 3,2 | 1,23 | 1,54 | 1,26 |
| 23.45 | 2011 | რეალი-გენკი | 1,3 | 3,8 | 9,0 | 1 | 1,13 | 2,67 |
| 23.45 | 2012 | ინტერი-აიაქსი | 1,9 | 2,25 | 6,5 | 1,03 | 1,47 | 1,67 |
| 23.45 | 2013 | ლიონი-როზენბორგი | 1,8 | 2,4 | 6,0 | 1,02 | 1,38 | 1,71 |
| 23.45 | 2014 | დორტმუნდი-ოსერი | 1,9 | 2,25 | 6,5 | 1,03 | 1,47 | 1,67 |
| 23.45 | 2015 | პსვ-არსენალი | 3,4 | 2,1 | 2,8 | 1,29 | 1,53 | 1,19 |
| 23.45 | 2016 | ლივერპული-ბაზელი | 1,5 | 2,9 | 8,0 | 1 | 1,26 | 2,12 |

## რამდენი გოლი გავა მატჩში. (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | 24 სექტემბერი | | |
| 23.45 | 2201 | იუვენტუსი-დინამო(კ) | 1,9 | 1,7 |
| 23.45 | 2202 | ნიუკასლი-ფეიენოორდი | 1,8 | 1,8 |
| 23.45 | 2203 | ლევერკუზენი-მანჩესტერი | 1,8 | 1,8 |
| 23.45 | 2204 | მაკაბი(ჰ)-ოლიმპიაკოსი | 1,8 | 1,8 |
| 23.45 | 2205 | დეპორტივო-მილანი | 1,8 | 1,8 |
| 23.45 | 2206 | ლანსი-ბაიერნი | 1,8 | 1,8 |
| 23.45 | 2207 | ბრიუგე-ლოკომოტივი | 1,85 | 1,75 |
| 23.45 | 2208 | გალათასარაი-ბარსელონა | 1,8 | 1,8 |
| | | 25 სექტემბერი | | |
| 21.00 | 2209 | სპარტაკი-ვალენსია | 1,7 | 1,9 |
| 23.45 | 2210 | აეკ-რომა | 1,7 | 1,9 |
| 23.45 | 2211 | რეალი-გენკი | 2,2 | 1,5 |
| 23.45 | 2212 | ინტერი-აიაქსი | 1,85 | 1,75 |
| 23.45 | 2213 | ლიონი-როზენბორგი | 1,9 | 1,7 |
| 23.45 | 2214 | დორტმუნდი-ოსერი | 1,85 | 1,75 |
| 23.45 | 2215 | პსვ-არსენალი | 1,8 | 1,8 |
| 23.45 | 2216 | ლივერპული-ბაზელი | 1,95 | 1,65 |

## რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | 24 სექტემბერი | | | |
| 23.45 | 2501 | იუვენტუსი-დინამო(კ) | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 23.45 | 2502 | ნიუკასლი-ფეიენოორდი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 23.45 | 2503 | ლევერკუზენი-მანჩესტერი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 23.45 | 2504 | მაკაბი(ჰ)-ოლიმპიაკოსი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 23.45 | 2505 | დეპორტივო-მილანი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 23.45 | 2506 | ლანსი-ბაიერნი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 23.45 | 2507 | ბრიუგე-ლოკომოტივი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 23.45 | 2508 | გალათასარაი-ბარსელონა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| | | 25 სექტემბერი | | | |
| 21.00 | 2509 | სპარტაკი-ვალენსია | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 23.45 | 2510 | აეკ-რომა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 23.45 | 2511 | რეალი-გენკი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 23.45 | 2512 | ინტერი-აიაქსი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 23.45 | 2513 | ლიონი-როზენბორგი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 23.45 | 2514 | დორტმუნდი-ოსერი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 23.45 | 2515 | პსვ-არსენალი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 23.45 | -2516 | ლივერპული-ბაზელი | 3,0 | 2,8 | 2,0 |

## გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

| | | | კი | არა |
|---|---|---|---|---|
| | | 24 სექტემბერი | | |
| 23.45 | 2301 | იუვენტუსი-დინამო(კ) | 1,9 | 1,7 |
| 23.45 | 2302 | ნიუკასლი-ფეიენოორდი | 1,8 | 1,8 |
| 23.45 | 2303 | ლევერკუზენი-მანჩესტერი | 1,7 | 1,9 |
| 23.45 | 2304 | მაკაბი(ჰ)-ოლიმპიაკოსი | 1,8 | 1,8 |
| 23.45 | 2305 | დეპორტივო-მილანი | 1,7 | 1,9 |
| 23.45 | 2306 | ლანსი-ბაიერნი | 1,75 | 1,85 |
| 23.45 | 2307 | ბრიუგე-ლოკომოტივი | 1,75 | 1,85 |
| 23.45 | 2308 | გალათასარაი-ბარსელონა | 1,7 | 1,9 |
| | | 25 სექტემბერი | | |
| 21.00 | 2309 | სპარტაკი-ვალენსია | 1,85 | 1,75 |
| 23.45 | 2310 | აეკ-რომა | 1,85 | 1,75 |
| 23.45 | 2311 | რეალი-გენკი | 2,1 | 1,55 |
| 23.45 | 2312 | ინტერი-აიაქსი | 1,75 | 1,85 |
| 23.45 | 2313 | ლიონი-როზენბორგი | 1,7 | 1,9 |
| 23.45 | 2314 | დორტმუნდი-ოსერი | 1,8 | 1,8 |
| 23.45 | 2315 | პსვ-არსენალი | 1,8 | 1,8 |
| 23.45 | 2316 | ლივერპული-ბაზელი | 2,1 | 1,55 |

## რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | 24 სექტემბერი | | |
| 23.45 | 2401 | იუვენტუსი-დინამო(კ) | 1,3 | 3,4 |
| 23.45 | 2402 | ნიუკასლი-ფეიენოორდი | 1,5 | 2,6 |
| 23.45 | 2403 | ლევერკუზენი-მანჩესტერი | 2,2 | 1,7 |
| 23.45 | 2404 | მაკაბი(ჰ)-ოლიმპიაკოსი | 2,5 | 1,55 |
| 23.45 | 2405 | დეპორტივო-მილანი | 1,75 | 2,1 |
| 23.45 | 2406 | ლანსი-ბაიერნი | 2,1 | 1,75 |
| 23.45 | 2407 | ბრიუგე-ლოკომოტივი | 1,55 | 2,5 |
| 23.45 | 2408 | გალათასარაი-ბარსელონა | 1,9 | 1,9 |
| | | 25 სექტემბერი | | |
| 21.00 | 2409 | სპარტაკი-ვალენსია | 2,1 | 1,75 |
| 23.45 | 2410 | აეკ-რომა | 1,9 | 1,9 |
| 23.45 | 2411 | რეალი-გენკი | 1,1 | 5,0 |
| 23.45 | 2412 | ინტერი-აიაქსი | 1,35 | 3,2 |
| 23.45 | 2413 | ლიონი-როზენბორგი | 1,35 | 3,2 |
| 23.45 | 2414 | დორტმუნდი-ოსერი | 1,4 | 3,0 |
| 23.45 | 2415 | პსვ-არსენალი | 2,2 | 1,7 |
| 23.45 | 2416 | ლივერპული-ბაზელი | 1,15 | 4,4 |

| 1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო | | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 24 სექტემბერი | | | | | | | | | |
| 23.45 | 2101 | იუვენტუსი-დინამო(კ) | 1,8 | 12,0 | 25,0 | 3,0 | 4,7 | 12,0 | 25,0 | 12,0 | 12,0 |
| 23.45 | 2102 | ნიუკასლი-ფეიენოორდი | 2,7 | 10,0 | 20,0 | 3,8 | 4,4 | 7,5 | 20,0 | 10,0 | 6,5 |
| 23.45 | 2103 | ლევერკ.-მანჩესტერი | 4,7 | 10,0 | 20,0 | 5,6 | 4,7 | 4,4 | 20,0 | 10,0 | 3,4 |
| 23.45 | 2104 | მაკაბი(ჰ)-ოლიმპიაკოსი | 5,3 | 10,0 | 20,0 | 6,5 | 4,4 | 3,8 | 20,0 | 10,0 | 2,8 |
| 23.45 | 2105 | დეპორტივო-მილანი | 3,2 | 10,0 | 20,0 | 4,2 | 4,4 | 6,5 | 20,0 | 10,0 | 5,0 |
| 23.45 | 2106 | ლანსი-ბაიერნი | 4,4 | 10,0 | 20,0 | 5,6 | 4,4 | 4,4 | 20,0 | 10,0 | 3,5 |
| 23.45 | 2107 | ბრიუგე-ლოკომოტივი | 2,6 | 10,0 | 20,0 | 3,6 | 4,4 | 7,5 | 20,0 | 10,0 | 6,0 |
| 23.45 | 2108 | გალათას.-ბარსელონა | 3,8 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 4,4 | 20,0 | 10,0 | 3,8 |

| 1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო | | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 25 სექტემბერი | | | | | | | | | |
| 21.00 | 2109 | სპარტაკი-ვალენსია | 4,7 | 10,0 | 20,0 | 5,6 | 4,4 | 4,4 | 20,0 | 10,0 | 3,5 |
| 23.45 | 2110 | აეკ-რომა | 3,8 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 4,4 | 20,0 | 10,0 | [illegible] |
| 23.45 | 2111 | რეალი-გენკი | 1,35 | 20,0 | 40,0 | 3,0 | 6,0 | 18,0 | 35,0 | 17,0 | 17,0 |
| 23.45 | 2112 | ინტერი-აიაქსი | 2,1 | 12,0 | 25,0 | 3,1 | 4,7 | 10,0 | 20,0 | 10,0 | 9,0 |
| 23.45 | 2113 | ლიონი-როზენბორგი | 1,9 | 15,0 | 30,0 | 3,0 | 4,7 | 11,0 | 20,0 | 10,0 | 10,0 |
| 23.45 | 2114 | დორტმუნდი-ოსერი | 2,2 | 10,0 | 20,0 | 3,2 | 4,4 | 10,0 | 20,0 | 10,0 | 8,0 |
| 23.45 | 2115 | პსვ-არსენალი | 4,2 | 10,0 | 20,0 | 5,3 | 4,4 | 4,4 | 20,0 | 10,0 | 3,6 |
| 23.45 | 2116 | ლივერპული-ბაზელი | 1,55 | 15,0 | 30,0 | 3,0 | 5,0 | 15,0 | 30,0 | 15,0 | 15,0 |


**გაიხსნა კროკოს ახალი ბიუროები**

ვარკეთილი, კალოუბნის „აბ" კორპუსი №48, მელიქიშვილის ქ. №15

**კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

# ჩემპიონთა ლიგა

II ტური: დღეს

## E ჯგუფი

### ნიუკასლი — ფეიენოორდი

სავარაუდო შემადგენლობები

| | |
|---|---|
| გივენი, გრიფინი, დაბიზასი, ე. ობრაიენი, ჰიუზი, სოლანო, დაიერი, სპიდი, რობერი, შირერი, ბელამი | ზუტებიერი, ემერტონი, ვან ვონდერენი, პაუვე, რზასა, ჩ. სონგი, ბოსველტი, ონო, პარდო, ვან პერსიე, ბუფელი |

### იუვენტუსი — დინამო

სავარაუდო შემადგენლობები

| | |
|---|---|
| ბუფონი, ტურამი, იულიანო, მონტერო, მორეტი, კამორანეზი, დავიდსი, ტაკინარდი (ან ზაიოკო), ნედვედი, დელ პიერო, დი ვაიო | რევა, ბოდნარი, ხაცკევიჩი, ნესმაჩნი, საბლიჩი, ლეკო, ჩერნატი (ან გავრანჩიჩი), პელე, გუსინი, გიოანე, შაცკიხი |



1998 წელს ლიგის მეოთხედფინალში ალესანდრო დელ პიერომ კიეველები ჰეთ თრიქით დაიბრიყვა

# გამარჯვება მაცდურია, შეგაცდენს!

**„იუვენტუსმა“** შაბათს „ემპოლისთან“ შეხვედრაში გაიმარჯვა, მაგრამ ალესიო ტაკინარდის მარცხენა ფეხის ამბავი საეჭვოდ დაურჩა და ახლა უცნობია, კიეველების წინააღმდეგ შეძლებს თუ ვერა ამ ნახევარმცველის გამოყენებას. სამაგიეროდ, თავდასხმაში ყველაფერი რიგზე აქვს: მოსალოდნელია, რომ წინა ხაზზე ალესანდრო დელ პიერო და მარკო დი ვაიო იმოქმედებენ, ხოლო შეცვლაზე მარსელო სალასი ეყოლებათ.

„დინამო“ კი „ნიუკასლის“ დაჯაბნის შემდეგ, ალბათ, მარტო ერთ მოთამაშეს შეცვლის — ლასლო ბოდნარი ლეანდროს მაგივრად იქნება.

„პირველ შეხვედრაში გამარჯვებამ არ უნდა შეგვაცდინოს, ის მხოლოდ და მხოლოდ პირველი შეხვედრა იყო“ — თქვა „დინამოს“ ვიცე-პრეზიდენტმა იოჟეფ საბომ.

პირველ შეხვედრაში კი „დინამომ“ „ნიუკასლს“ აჯობა, ასე რომ, ინგლისელებს, დღეს, „ფეიენოორდის“ დამარცხება ძალიან სჭირდებათ. ეს იმას ნიშნავს, რომ ბობი რობსონი „კაჭკაჭებს“ იმავე შემადგენლობით ათამაშებს, რომლითაც პრემიერლიგის ბოლო ტურში „სანდერლენდს“ მოუგო.

რაც შეეხება „ფეიენოორდს“, მის მწვრთნელს, ბერტ ვან მარვეიკს მარცხენა მცველის, რამონ ვან ჰაარენის გაუთვალისწინებლად მოუწევს გეგმის შედგენა. ეს მცველი შაბათს, ჰოლანდიის ჩემპიონატში, „გრააფსხაპის“ დამარცხების დროს დაშავდა. მას, ალბათ, პოლონელი ტომაშ რჟასა შეცვლის.

ვან მარვეიკმა ინგლისს ადრე უწესობისთვის შერაცხული და ახლა შეწყალებული რობინ ვან პერსიც იახლა.

**ბაჩუნა ძიდია**

## F ჯგუფი

### ლევერკუზენი — მანჩესტერი

სავარაუდო შემადგენლობები

| | |
|---|---|
| იურიჩი, ჟივკოვიჩი, ლუსიო, რამელო, ოჯიგვე, ბალიტში, ფრანიეში, შნაიდერი, ბაშთურქი, ბრდარიჩი, ნოივილი | ბარტეზი, გ. ნევილი, ბლანი, ფერდინანდი, სილვესტრი, ბექჰემი, ბატი, ვერონი, გიგზი, ვან ნისტელროი, სოლსკიაერი |

### მაკაბი — ოლიმპიაკოსი

სავარაუდო შემადგენლობები

| | |
|---|---|
| ავატე, ხარაზი, ბენადო, ეჯიოფორი, კეისი, ბადირი, როსო, პრალია, ზანდბერგი, აიეგბენი, კატანი | ელეფთეროპულოსი, პანტოსი, ტოსიჩი, იაკიმი, ანატოლაკისი, იანაკოპულოსი, კარამბუ ჯორჯევიჩი, ზე ელიასი, ნიკოპოლიდისი, ჯოვანი |

# ტოპმიოლერმა უპირატესობა მოიგონა

**გასული სეზონის** ჩემპიონთა ლიგის ფინალისტი „ლევერკუზენი“ ჯგუფში ბოლო ადგილიდან თავის დაღწევას „მანჩესტერთან“ შეეცდება. სხვა საქმეა, როგორ მოახერხებს ამას „ოლიმპიაკოსისგან“ გაცამტვერებული და ბუნდესლიგაშიც სამარცხვინოდ მოთამაშე ფარმაცევტთა კლუბი.

„მანჩესტერი“ ფავორიტია, თუმც ეს ფაქტი ჩვენ ერთგვარ უპირატესობასაც კი განიჭებს“ — განაცხადა კლაუს ტოპმიოლერმა. გერმანელთა გუნდის კარს კვლავაც საბერძნეთში ექსხურთგამვებული ავსტრიელი ფრანკ იურიჩი დაიცავს. რაც შეეხება „იუნაიტედს“, ებრაელებთან პირველ ტურში გასეირნების შემდეგ ალექს ფერგიუსონის ბიჭებს ლევერკუზენელებთან შარშანდელი ანგარიშების გასწორება უნდათ. ძირითადს დაუბრუნდება გარი ნევილი, ტრავმირებულები კი როი კინი, პოლ სქოულზი და უესლი ბრაუნი არიან.

ებრაული „მაკაბი“ კი „ოლიმპიაკოსის“ დამარცხებით იმუქრება. „ლევერკუზენისთვის“ განკითხვის დღის მოწყობის შემდეგ „ოლიმპიაკოსი“ ჯგუფიდან გასვლას უმიზნებს, თამაშშიც უფრო ბერძნები ჩაითვლებიან მასპინძლებად, ვიდრე ებრაელები (ისრაელში მიმდინარე მოვლენების გამო მატჩი კვიპროსზე გაიმართება). ასე რომ, „ოლიმპიაკოსი“ საწყისი ორი ტურის შემდეგ 6 ქულას ელის და არცთუ უსაფუძვლოდ. ბერძნების მეკარე ელეფთეროპულოსის თამაში საეჭვოა, ასევე ტრავმირებულია ნახევარმცველი იანაკოპოლუსი. სამაგიეროდ, „ოლიმპიაკოსს“ თავდამსხმელი ლამბროს ხუტოსი დაუბრუნდა, ტრავმით გამოწვეული ორკვირიანი არდადეგების შემდეგ, თუმც ითამაშებს თუ არა, ეს მწვრთნელმა გადასაწყვეტია. „მაკაბი“ ელინებს იმავე ხალხით შეებრძოლება, ვინც „ოლდ ტრეფორდზე“ ითამაშა. ნახევარმცველი რაიმონდას ჟუტაუტასი, რომელმაც „მანჩესტერთან“ პირველი მატჩიც გამოტოვა, შესაძლოა, კვლავაც არ იქნება.

**სერგი ტორიძე**

## H ჯგუფი

### ბრიუგე — ლოკომოტივი

სავარაუდო შემადგენლობები

| | |
|---|---|
| ვერლინდენი, დე კოკი, ბ. მარტენსი, შმილარი, ვან დერ ჰიდენი, სერებრიანიკოვი, სიმონსი, ენგლებერტი, ს. მარტენსი, მენდოსა, ვერჰეიენი | ს. ი. ოვჩინიკოვი, ევსეევი, ნიჟეგოროდოვი, იგნაშევიჩი, სენიკოვი, ლეხტონი, დრონზდოვი, მამინოვი, ლოსკოვი, ბუზნიკინი, პიმენოვი |

### გალათასარაი — ბარსელონა

სავარაუდო შემადგენლობები

| | |
|---|---|
| მონდრაგონი, ბიულენთი, ჰ. უნსალი, ალმაგერი, უმითი, ბატისტა, ერგუნი, ფელიპე, ჰ. შაში, არიფი, კრისტიანი | ვალდესი, პუიოლი, დე ბური, ნავარო, მენდიეტა, ხავი, კოკუ, მოტა, ლუის ენრიკე, კლუივერტი, სავიოლა |

# ვინღაა არიფის არიფი?!

**სულ რაღაც** ოთხიოდ თვის წინ სტამბოლში „გალათასარაი“ — „ბარსელონა“ შედგა. მაშინ მასპინძლებმა, მირჩა ლუჩესკუს თავკაცობით, კატალონიელებს ვერაფერი მოუხერხეს. ლუჩესკუ წავიდა. დღეს „გალას“ ისევ ძველი იმპერატორი, უეფას თასის მომგები ფატიჰ თერიმი წვრთნის. თერიმმა თავისი საქმე იცის და ეს კარგად ჩანს როგორც შინაურ პირველობაზე, ისე ჩემპიონთა ლიგაშიც. წინა ტურში „გალათასარაიმ“ სტუმრად საკმაოდ კარგად მოთამაშე „ლოკომოტივი“ დაამარცხა.

სტამბოლში ჩასულმა ლუის ვან გაალმა მეტოქეზე თქვა: „პირველი მატჩი სტუმრად ჩემპიონთა ლიგაში ყოველთვის მძიმეა. ჩვენთვის ასეთი შეხვედრა დღეს გაიმართება. „გალათასარაიმ“ თავისი მატჩი უკვე მოიგო მოსკოვში. ვფიქრობ, „ლოკომოტივის“ დამარცხება იოლი საქმე არაა და ეს ყველას არ ძალუძს.“

„ბარსელონას“ შესახებ ვან გაალმა ბრძანა, რომ ხუან რომან რიკელმემ დილის ვარჯიშზე ფეხი იტკინა და ამიტომაც შინ დარჩა. „ჩემი ფეხბურთელები კარგ ფორმაში არიან, მაგრამ სტამბოლში თამაში ყოველთვის ჭირს. მით უმეტეს, დღეს „გალათასარაი“ საკმაოდ შთამბეჭდავ ფეხბურთს აჩვენებს. მათი მეგოლე არიფი ბრწყინვალე ფორმაშია. თურქებმა მოსკოვში იმარჯვეს, ჩვენც გვსურს სტამბოლიდან სამი ქულის წაღება.“

თურქებმა მატჩი ლუის ენრიკეს და არიფ ერდემის დუელად მონათლეს. ზედიზედ ხუთი მატჩია, არიფს მინდორი უგოლოდ არ დაუტოვებია, ხოლო ლუის ენრიკე თუ შეაგდებს, „ბარსელონას“ შემადგენლობაში ეს მისი მე-100 გოლი იქნება. აქვე შეგახსენებთ, რომ მაისშიც ლუის ენრიკეს გოლით იმარჯვეს კატალონიელებმა.

მატჩს დომენიკო მესინა განსჯის. ცნობილია, რომ თურქებს იტალიელი მსაჯები კარგად აქვთ დაცდილი. თუნდაც პიერლუიჯი კოლინას ამბავი რად ღირს. ახლაც იტალიელის იმედი ჰყავთ. ისიც კი გაიხსენეს, რომ 2000-ში ინტერტოტოს მატჩი „ქოჯაელისფორს“ და „დუისბურგს“ შორის მესინამ იმსაჯა და ის შეხვედრა ფრედ 0:0 დასრულდა.

ბელგიაში „ბრიუგე“ „ლოკომოტივს“ ჩაუსაფრდა. სტუმარ-მასპინძელს შორის ერთი მსგავსებაა. ორივენი თავისი ქვეყნის პირველობებში, ბოლო წლებში მეორეობას სჯერდებოდნენ. ამჯერად ჩემპიონთა ლიგაში პირველი გამარჯვებისთვის შეებმებიან. „ბრიუგეს“ მწვრთნელ ტრონდ სოლიედისთვის ეს სეზონი ბოლოა გუნდში. ამიტომ იგი ცდილობს, კარი საზეიმო განწყობით გაიხუროს. კლუბში ყველაფერი კეთდება საამისოდ. მიუხედავად იმისა, რომ ბოლო ტურში „ბრიუგეს“ „გენტის“ დამარცხება გაუჭირდა, მწვრთნელის თქმით, ეს მხოლოდ „ბარსელონასთან“ გადახარჯული ძალების გამო მოხდა. „მთავარი, ლიგაში თუნდაც ერთი გამარჯვების მოპოვებაა — თქვა ტრონდ სოლიედმა — და რაც მალე იქნება ეს, მით უკეთესი. ჯგუფიდან გასვლას არ ვგეგმავთ, მესამე ადგილი და უეფას თასზე გადასვლაც ურიგო არ იქნება.“

**მაკა ხუციშვილი**


REUTERS
ლუის ვან გაალი სტამბოლში რიდით ჩავიდა

## G ჯგუფი

### ლანსი — ბაიერნი

სავარაუდო შემადგენლობები

| | |
|---|---|
| ვარმუზი, ფანი, ბაკა, რ. სონგი, რული, ბლანშარი, ბედრონი, სიბიერსკი, კოტა, ბაკარი, უტაკა | კანი, სანიოლი, რ. კოვაჩი, ლინკე, ტარნატი, სალიჰამიჯიჩი, იერემიესი, ბალაკი, ზე რობერტო, ელბერი, ციკლერი |

### დეპორტივო — მილანი

სავარაუდო შემადგენლობები

| | |
|---|---|
| ხუანმი, სკალონი, ნაიბეტი, დონატო, რომერო, ვიქტორი, მაურო სილვა, სერხიო, ფრანი, ტრისტანი, მაკაი | დიდა, შიმიჩი, ნესტა, მალდინი, კალაძე, გატუზო, პირლო, ზეედორფი, რუი კოშტა, რივალდო, ინძაგი |

# ნესტაამ თქვა, რიასორზე გამოჩნდებაო

**ალესანდრო ნესტამ** თქვა, რანი ვართ და რა შეგვიძლია, სწორედ „დეპორტივოსთან“ გამოჩნდებაო. „რიასორზე“ G ჯგუფის ლიდერები ხვდებიან ერთმანეთს. „დეპორტივოც“ და „მილანიც“ კარგ გუნებაზე არიან, ბოლოს მიყოლებით მოიგეს შეხვედრები, „მილანი“ სულაც იტალიის ჩემპიონატის ლიდერია.

ხუან კარლოს ვალერონი — ფეხბურთელი, რომელმაც როი მაკაისთან ერთად გამოჭედა ისტორიული გამარჯვება მიუნხენში „ბაიერნთან“ — დღეს ვერ ითამაშებს. ვალერონმა პრიმერადივიზიონის ბოლო ტურში კოჭი დაიზიანა, საოპერაციოა და სულ ცოტა, ორი თვით მოუწევს დასვენება. სამაგიეროდ, მწყობრშია მეგოლე დიეგო ტრისტანი, იოლურეტაც ტრისტან-მაკაის დუეტით შეუტევს „მილანის“ კარს.

კარლო ანჩელოტი კი ზუსტად იმ შემადგენლობით აპირებს თამაშს, რომელმაც ერთი კვირის წინ ფრანგულ „ლანსს“ მოუგო. „პერუჯასთან“ შაბათის სერიულ მატჩში გატუზომ, ზეედორფმა და რივალდომ დაისვენეს, თუმც ზეედორფი 64-ეზე შეცვლაზე შევიდა და წუთში გოლიც გაიტანა. დღეს სამივე მინდორზე იქნება, სათადარიგოთა სკამზე კი ამბროზინი, სერჟინიო და ტომასონი გადაინაცვლებენ.

გაავებული ეწვია ლანსის „ფან-ფელიქს ბოლერის“ მიუნხენის „ბაიერნი“ სამი ქულის წასაღებად, მაგრამ ფრანგები რომ უბრძოლველად არაფერს დათმობენ, ცხადია.

ოტმარ ჰიცფელდმა, ბავარიელთა თავკაცმა თქვა, რადაც არ უნდა დაგვიჯდეს, უნდა მოვიგოთ, თორემ თუ ფეხი აქაც დაგვიცდა, ჯგუფიდან გასვლას საეჭვოდ გავიხდითო. ჰიცფელდის გუნდის შემადგენლობაში ცვლილებებსაც ვხედავთ, სამუელ კუფურის ნაცვლად რობერტ კოვაჩი ითამაშებს, ხოლო დაშავებულ კლაუდიო პიზაროს ალექსანდრ ციკლერი შეცვლის.

„ლანსის“ მწვრთნელ ჟოელ მიულერს დღევანდელი მატჩისთვის თავდასხმაში აფრიკელი ზანგები — დაგუ ბაკარი და ჯონ უტაკა ჰყავს გამწესებული. „მილანის“ კარში გოლის გამტანი დანიელ მორეირა კი სათადარიგოთა სკამიდან უქომაგებს თავისიანებს.

„ბაიერნმა“ „დეპორტივოსთან“ სირცხვილის მერე ბუნდესლიგის შაბათის ტურში „კოტბუსი“ გაბდღვნა. გაბდღვნის კი ახლა ლანსს? დაველოდოთ საღამოს.

**გიორგი მაზაძიძე**

## ჭიდაობა

მსოფლიოს ჩემპიონატი. ბერძნულ-რომაული სტილი. მოსკოვი 20-22 სექტემბერი

# ხასხასა სეზონი

## ევროპის ოქრო, მსოფლიოს ვერცხლი: ბადრი ხასაიას ჩინებული პერსპექტივა

**23 წლის** ბადრი ხასაია (74 კგ) წლეულს მოხვდა საქართველოს ნაკრებში და ამ მცირე ხანში უკვე მეორედ დახვდებიან დამსახურებული ხვევნა-კოცნით. გაზაფხულზე ბადრიმ ევროპის ჩემპიონატი მოიგო, ახლა კი მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი გახდა.

მოსკოვში დასრულებულ ბერძნულ-რომაული სტილის მოჭიდავეთა მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალამდე ხასაიამ ხუთი ბრძოლა ჩაატარა და ხუთივე დამაჯერებლად მოიგო. ჩვენებურმა ერთიმეორის მიყოლებით დაამარცხა ფრანგი ალან ასლი (3:1), ყაზახი აბაზ უდეშოვი (3:0), ფინელი მარკო ულიპანუკსელა (3:1), პოლონელი მიხალ იავორსკი (3:0) და უკრაინელი ვლადიმირ შაცკიხი (3:0).

ფინალში ბადრის რუსთა სიამაყე ვარტერეს სამურგაშევი შეხვდა. სიდნეის ოლიმპიურ ჩემპიონთან ქართველის შანსები ნაკლები იყო, რაც მერე ბრძოლამაც ცხადყო. ხასაია ბევრს კი ეცადა, მაგრამ მასზე ტიტულიან და გამოცდილ მეტოქესთან ვერაფერი გაწყო — 3:0 რუსის სასარგებლოდ.

სანამ ხასაია მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი გახდებოდა, მანამდე მანუჩარ კვირკველიამ (66 კგ) რუს მაქსიმ სიმეონოვთან ჭიდილში ბრინჯაო მოიპოვა.

სამწუხაროდ, ტიტულის დაცვა ვერ შეძლო ბათუმელმა მსოფლიოს ჩემპიონმა მუხრან ვახტანგაძემ (84 კგ).

ორი წრე ვახტანგაძემ იოლად გაიარა: ჯერ უნგრელი შანდორ იშტვან ბარდოში დაამარცხა 3:1, მერე იმავე ანგარიშით ბერძენ დიმიტრიოს ავრამისს მოუგო. მესამე წრეში კი ეგვიპტელი მოჰამედ აბდ ელ ფათახის წინააღმდეგობა ვერ დაძლია და ტურნირს გამოეთიშა.



მანუჩარ კვირკველია

**ბაჩო სვანიძე**

| | |
|---|---|
| **55 კგ** | |
| 1. | გაიდარ მამედალიევი (რუსეთი) |
| 2. | ნეფეს გუკულოვი (თურქმენეთი) |
| 3. | ჰასან რანგრაზი (ისრაელი) |
| **60 კგ** | |
| 1. | არმენ ნაზარიანი (ბულგარეთი) |
| 2. | ვლადიმერ ზავადსკი (პოლონეთი) |
| 3. | რობერტო მონზონ გონსალესი (კუბა) |
| **66 კგ** | |
| 1. | ჯიმი სამუელსონი (შვედეთი) |
| 2. | ფარიდ მანსუროვი (აზერბაიჯანი) |
| 3. | მანუჩარ კვირკველია (საქართველო) |
| **74 კგ** | |
| 1. | ვარტერეს სამურგაშევი (რუსეთი) |
| 2. | ბადრი ხასაია (საქართველო) |
| 3. | ფილიბერტო ასკუი აგილერა (კუბა) |
| **84 კგ** | |
| 1. | არა აბრაამიანი (შვედეთი) |
| 2. | ალექსანდრ მენშიკოვი (რუსეთი) |
| 3. | მოჰამედ აბდ ელ ფათახი (ეგვიპტე) |
| **96 კგ** | |
| 1. | მეჰმედ ოზალი (თურქეთი) |
| 2. | კარამ მოჰამედ გაბერ იბრაჰიმი (ეგვიპტე) |
| 3. | ალი მოლოვი (ბულგარეთი) |
| **120 კგ** | |
| 1. | დრეშიელ ბირსი (აშშ) |
| 2. | მიხალი დიკ ბარდოში (უნგრეთი) |
| 3. | იური პატრიკეევი (რუსეთი) |



REUTERS მოსკოვიდან

სამურგაშევს ოქრო, ხასაიას ვერცხლი

## რაგბი

2003 წლის მსოფლიოს თასი. შესარჩევი ტურნირი

ჩვენი ჯგუფი

# ომი არ იყო ციმბირში და არ იქნება დუბლინში. ომი იქნება თბილისში

კრასნოიარსკი. 21 სექტემბერი

**რუსეთი 3:35 ირლანდია**

**რუსეთი:** ზაკარლიუკი, კუზინი, ა. სერგეევი (პიტერსი 70), კორობეინიკოვი, დიმჩენკო, რაჩკოვი, მოტორინი; ზიკოვი, ფოლსხენკი (უამბაევი 64), გრაჩოვი, ს. სერგეევი, ფედჩენკო, ჰენდრიკსი (ტრავკინი 64), რომაკი, შუკაილოვი (ხროკინი 76)
1 ს: პიტერსი;
**ირლანდია:** დემსი, კელი, ოდრისკოლი, მაგსი, ჰიკი, ოგარა (მერფი 77), სტრინგერი (ისტერბი 77); ფოლი, გლისონი, ესტერბი, ოკელი (კულენი 70), ლონგველი, ჰეისი, ვუდი (ბირნი 77), კორიგანი
4 ლ: ოჰარა (3), დემსი; 3 ს: ოგარა;
3 გ: ოგარა;
გაფრთხილება: კორიგანი (ირლანდია)

რუსების სამხრეთაფრიკელი მწვრთნელი ჯეიმს შტოფბერგი რაგბის უცოდინარ კაცად როგორ ჩაითვლება, მაგრამ ამ თამაშის წინ ნამეტანი მოუვიდა — შანსები თანაბარიაო, განაცხადა.

არადა, ყველამ კარგად უწყოდა მატჩის საბოლოო შედეგი და კრასნოიარსკის განახლებული სტადიონი იმიტომაც შეივსო, რომ ციმბირში ირლანდიელთა სტუმრობა დიდი მოვლენაა.

რუსებმა გაიჭირვეს და 3:35 დამარცხდნენ. ირლანდიელებს რომ გაეჭირვებინათ, სხვაობა ორმაგი იქნებოდა, მაგრამ მატჩის ბოლოსკენ კუნძულელებმა თავი შაინახეს: მე-60 წუთისთვის ანგარიში 35:0 გახდა და მოეშვნენ. მერე მწვრთნელმა ედი ოსალივანმა ლიდერები (ვუდი, სტრინგერი და ოგარა) მოედნიდან გაიხმო. ირლანდიელები არც იტანდნენ და არც ატანინებდნენ, თუმც ერთხელ საკუთარი კარის სიახლოვეს დაჯარიმდნენ და სამხრეთაფრიკელმა ვერნერ პიტერსმა ისტორიული ქულები მოუტანა რუსებს.

რუსებმა წააგეს ირლანდიელებთან, 28 სექტემბერს ჩვენც წავაგებთ, მაგრამ ორივე წამგებმა კარგად იცის, რომ მთავარი მატჩი თბილისში ელის 13 ოქტომბერს — მოგებული მსოფლიოს თასზე მიდის.

**ირაკლი ბერტაია**

## კალათბურთი

მსოფლიოს ჩემპიონატი. ქალები. ჩინეთი 14 - 25 სექტემბერი

# არასერიოზული ბრაზილია

**აი, სენსაცია:** ჯგუფში მეოთხეზე გასულმა კორეამ ტურნირის ერთ-ერთი ფავორიტი, ბრაზილია გააგდო მეოთხედფინალიდან. სამხრეთამერიკელები აქამდე რიხით მოვიდნენ, მათზე უკეთესი შედეგი მხოლოდ ამერიკელებს ჰქონდათ და ყველა აზიელების მარცხს ელოდა. კორეელებიც საყოველთაო პროგნოზს მატჩის ბოლომდე ამართლებდნენ, ბოლო წუთამდე აგებდნენ, მაგრამ შემდეგ ძალიან გაუმართლათ, უფრო კი ბრაზილიელებმა სცოდეს.

„ვიცოდით, რომ კორეელებთან ხუმრობა არ შეიძლებოდა და მატჩს, ჩემი აზრით, საკმაოდ სერიოზულად მოვეკიდეთ, მაგრამ მაინც არაფერი გამოგვივიდა" — თქვა ნამატჩევს ბრაზილიელთა თავკაცმა ანტონიო ბარბოსამ.

სხვა მატჩებიდან აღსანიშნავია მასპინძელთა მარცხი, თუმც ჩინელთა წინსვლა როდისმე უნდა დასრულებულიყო და ეს რუსებთან მეოთხედფინალში მოხდა. ამერიკის ნახევარფინალისტობაში კი ეჭვი არავის ეპარებოდა, ისევე, როგორც ავსტრალიის გამარჯვებაში.

**ირაკლი სახოკიძე**

**მეოთხედფინალი**

**კორეა 71:70 ბრაზილია**
**რუსეთი 86:70 ჩინეთი**
**ამერიკა 94:55 ესპანეთი**
**ავსტრალია 78:52 საფრანგეთი**

**ნახევარფინალი**

**რუსეთი — კორეა**
**ამერიკა — ავსტრალია**

## ველორბოლა

ვუელტა 7 - 29 სექტემბერი

# გეპატიჟებით ჯოჯოხეთში მასპინძელია ანგლირუ

**მეთხუთმეტე** ეტაპს ჩემპიონი მთა — ანგლირუ მასპინძლობდა, თუ იმას, რითაც ეს აღმართი ხვდება სპორტსმენებს, მასპინძლობა ჰქვია. აქ ბევრს წაუმტვრევია კისერი და კიდევ ბევრი წაიმტვრევს. ჩემპიონი კი ისე, სხვათა შორის არ შეურქმევიათ. ჯიროს, ტურისა და ვუელტას ტრასები სავსეა მაღალი, ციცაბო აღმართებით. ველომრბოლებს ტანში აზრიალებთ, როგორც კი მორტილოროსა (სიკვდილის მთა) და ფედაიას გაიგონებენ. ეს, ასე ვთქვათ, იტალიური სასჯელია — ერთი 14-პროცენტიანი, მეორე 18-პროცენტიანი აღმართებით. დიდი კოლომბიერი (ფრანგული რისხვა) 22-პროცენტიან აღმართს ჰპირდება მრბოლებს. რაც შეეხება ესპანურ ანგლირუს... მისი ზოგიერთი მონაკვეთი 26-პროცენტიანია. ამ ადგილებს იშვიათად თუ ვინმე აივლის პირდაპირ, ველოსიპედი ხან მარცხნივ მიდის, ხან — მარჯვნივ, ასე ოდნავ მაინც მცირდება დახრილობის კუთხე... მაგრამ, ღმერთმა ნუ ქნას და, თუ წამით მაინც გაგიჩერდა ველოსიპედი, მშვიდობით, ველოფანების დახმარების გარეშე ადგილიდან ველარ დაიძვრები.

მოკლედ, მეთხუთმეტე ეტაპის ბოლოს ვუელტას შემორჩენილ 152 მრბოლს სწორედ ეს ანგლირუ ელოდებოდა. ბარემ აქვე ვიტყვი, რომ ამ ეტაპმა, გარდა იმისა, რომ საშინლად დაქანცა პელოტონი, 12 სპორტსმენის მსხვერპლიც მოითხოვა და, ცხადია, დაიტოვა კიდეც. ასე რომ, ვუელტას სტარტზე გასული 207 ველოსიპედისტიდან გზას 141-ღა აგრძელებს.

პელოტონმა მშვიდად დაიწყო რბოლა. ის, ვისაც ასე თუ ისე სერიოზული გეგმები ჰქონდა — ესე იგი, საერთო ჩათვლაში პირველ ათეულს მაინც უმიზნებდა — მთელი ეტაპი ანგლირუს მისადგომებამდე პელოტონში წყნარად იჯდა უმკაცრესი გამოცდის მოლოდინში. საინტერესო არც არაფერი მომხდარა თუ არ ჩავთვლით ბოლოსწინა მთაზე დანილო დი ლუკას შეტევასა და ამ მთიდან დაშვების დროს თითქმის მთელი „კოფიდისის" წაქცევას. ბევრმა მიიღო ტრავმა და, სამწუხაროდ, მათ შორის აღმოჩნდა გუნდის ლიდერი დევიდ მილარი.



REUTERS ანგლირუდან

რობერტო ერასი

13-კილომეტრიანი აღმართის — საუბარია ანგლირუზე — პირველი ექვს კილომეტრზე ლიდერთა შორის ცვლილებები არ მომხდარა. მეშვიდე კილომეტრზე კი, როცა დახრილობა 13 პროცენტს აცდა — აბა, თუ მომყვებით, გამოწვევასავით დაგდო რობერტო ჰერასმა და იერიში წამოიწყო. ერთხანს მას მხოლოდ ხოსება ბელოკი და აიტორ გონსალესი მისდევდნენ. გვარიანად ჩამორჩა რბოლის ლიდერი ოსკარ სევილია. თუმცა ეს მოსალოდნელიც იყო — ანგლირუ ბიჭებისთვის არ არის, აქ უფრო კაცებს ხელეწიფებათ საქმის კეთება. მერე და მერე ბელოკიმ და გონსალესმაც დათმეს და ერასმა საშინელ წვიმასა და ნისლში მარტომ აიარა ბოლო კილომეტრები. ჯილდოც, ცხადია, შესაფერისი გამოდგა — ლიდერის ოქროსფერი მაისურა. წუთით და 53 წამით გვიან მივიდა ფინიშთან ბელოკი, 2 წუთითა და 16 წამით — გონსალესი, სევილიამ 2 წუთი და 50 წამი წააგო. კიდევ ის შეიძლება ითქვას, რომ მოულოდნელად კარგი შედეგი აჩვენა იტალიელმა დი ლუკამ. რატომღაც მგონია, რომ გაზაფხულზე, ჯიროზე ეს ახალგაზრდა სპორტსმენი გამარჯვების ერთ-ერთი მთავარი კანდიდატი იქნება.

**ირაკლი ბერიაშვილი**

## ტექნიკური შედეგები

| | |
|---|---|
| **XIII ეტაპი ბურგოსი — სანტანდერი 170 კმ** | |
| 1. ჯოვანი ლომბარდი („ა ქ Q", იტალია) | 4 სთ 11 წთ 21 წმ |
| 2. დავიდ ბრამადი („მაპეი, იტალია) | იგივე დრო |
| 3. პაოლო ბოსონი („ტაკონი", იტალია) | იგივე დრო |
| **XIV ეტაპი სანტანდერი — ხიხონი 179 კმ** | |
| 1. სერგეი სმეტანინი (JAZ, რუსეთი) | 4 სთ 17 წთ 23 წმ |
| 2. ოსკარ ლაგუნა (REL, ესპანეთი) | +1 წთ 57 წმ |
| 3. ანჯელო ფორლანი („ალესიო", იტალია) | +2 წთ 39 წმ |
| **XV ეტაპი ხიხონი — ალტო დე ლ' ანგლირუ** | |
| 1. რობერტო ერასი (US პოსტალი, ესპანეთი) | 5 სთ 01 წთ 02 წმ |
| 2. ხოსება ბელოკი („ონსე", ესპანეთი) | +1 წთ 35 წმ |
| 3. ფრანჩესკო კასაგრანდე („ფასა ბარტოლო", იტალია) | +1 წთ 41 წმ |
| **საერთო ჩათვლა** | |
| 1. რობერტო ერასი (US პოსტალი, ესპანეთი) | 55 სთ 14 წთ 08 წმ |
| 2. აიტორ გონსალესი („კელმე", ესპანეთი) | +35 წმ |
| 3. ოსკარ სევილია („კელმე", ესპანეთი) | +1 წთ 08 წმ |

## ავტორბოლა

### მსოფლიოს ჩემპიონატი რალიში

| | |
|---|---|
| **მეთერთმეტე ეტაპი. იტალია (20-22 სექტემბერი)** | |
| 1. ჟილ პანიზი (საფრანგეთი) | 4სთ;10.15,6 |
| 2. მარკუს გრონჰოლმი (ფინეთი, პეჟო) | ჩამორჩა 0.20,9 |
| 3. პეტერ სოლბერგი (ნორვეგია, სუბარუ) | 1.06,4 |
| 4. რიჩარდბარნსი (დიდი ბრიტანეთი, პეჟო) | 1.18,9 |
| 5. მარკო მარტინი (ესტონეთი, ფორდი) | 1.54,9 |
| 6. ხესუს პურასი (ესპანეთი, სიტროენი) | 2.39,3 |

**საერთო ჩათვლა**

1. მარკუს გრონჰოლმი 57 ქულა; 2. რიჩარდ ბარნსი 34; 3. კოლინ მაკრეი (დიდი ბრიტანეთი, ფორდი) 33; 4. ჟილ პანიზი 31; 5. კარლოს საინსი (ესპანეთი, ფორდი) 26; 6. პეტერ სოლბერგი 23; 7. სებასტიენ ლოები (საფრანგეთი, სიტროენი) 18; 8. ჰარი როვანპერა (ფინეთი, პეჟო) 18; 9. ტომი მაკინენი (ფინეთი, სუბარუ) 15; 10. მარკო მარტინი 12

# უზბატონო ქალბატონობა საქართველოში



კატარინა დაშკოვიჩი

## თბილისის ღია პირველობა

14 - 21 სექტემბერი. საპრიზო 25 000 $

**ფინალი**

**კატარინა დაშკოვიჩი (7, იუგოსლავია) — გაბრიელა ნავრატილოვა (ჩეხეთი) 3:6, 6:3, 6:1**

„თბილისში მესამედ ვარ და, როგორც იქნა, გამიმართლა. ამ ტურნირის მოგება ძალიან მინდოდა, წინა ორში ნახევარფინალშიც ვერ გავედი. ახლა ძალიან გახარებული ვარ. მადლობას ვუხდი ტურნირის ორგანიზატორებს და თბილისელებს" — თქვა თბილისის ღია პირველობის წლევანდელმა გამარჯვებულმა კატარინა დაშკოვიჩმა.

დაშკოვიჩმა, რომელიც მე-7 ნომრად იყო განთესილი, განუთესავი გაბრიელა ნავრატილოვას ძლევას საათზე ოდნავ მეტი მოანდომა. გვარით მაგარი ჩეხი მხოლოდ პირველი სეტი ეომა იუგოსლაველს, მერე კი თავისი ნახევარი მეტოქეს პოლიგონად დაუთმო.

ბათუმის ტურნირზე გასამგზავრებლად შემზადებულ ქომაგთა სიმპათიები ორად გაიყო. მოზრდილი ნაწილი იუგოსლაველს ქომაგობდა, დანარჩენები კი ნავრატილოვას, რომელმაც წინა დღეს თანამემამულე ევა ბირნეროვასთან ერთად წყვილთა ფინალი მოიგო.

უმცირესობის გასახარად, გაბრიელამ პირველი სეტი რიგიანად დაიწყო და ასევე დაასრულა. მის ჩაზვეულ-შემოვლებულებს დაშკოვიჩმა ვერაფერი დაუპირისპირა და ჯავრი სარეკლამო დაფებსა და თიხნარზე იყარა. არადა, ნავრატილოვას მოწოდება იოლი ლუკმა იქნებოდა, თუ დაშკოვიჩი ბადესთან იაქტიურებდა.

იუგოსლაველი მალე მიხვდა ამას და ჩოგნის ძირს დახეთქების მაგივრად ბადესთან გასვლას უხშირა, უხშირა და გეიმ-გეიმ მეორე სეტი სათავისოდ დაასრულა.

გადამწყვეტი სეტიც თამაშის იშტაზე მოსული იუგოსლაველისა იყო. მართალია, ჩეხი შიგადაშიგ ისეთ დარტყმებს გაურევდა, თვით მეტოქეს დასტყუებდა ხოლმე კომპლიმენტს, მაგრამ ბოლო-ბოლო კინკილა გეიმს გამორჩა.

დაშკოვიჩმა რომ იგრძნო, ჩეხს ერთი ხელის კვრაღა უნდოდა, დაუძლურებულ მეტოქეს ეისებით მოუთავა საქმე.

„თბილისში პირველად ვარ. არ ველოდი, თუ ტურნირი ასე კარგად იქნებოდა ორგანიზებული. მონაწილეთაგან ბევრს ვიცნობ და ვმეგობრობ კიდეც. მგონი, დებიუტი გამომივიდა. ახლა ბათუმში მივდივარ და ვეცდები, იქაც კარგად ვითამაშო. ვულოცავ დაშკოვიჩს გამარჯვებას. დღეს მას უნდა მოეგო" — ესლა გვითხრა დამარცხებულმა ნავრატილოვამ და მეტოქესთან ერთად საჩემპიონო ტორტის დასაჭრელად გაეშურა.

**ბაჩო სვანიძე**

**საფრანგეთი — აშშ 3:2**

**არნო კლემანი — ენდი როდიკი 4:6, 7:6 (8:6), 7:6 (7:5), 6:1; სებასტიან გროჟანი — ჯეიმს ბლეიკი 6:4, 6:1, 6:7 (7:9), 7:5; ფაბრის სანტორო, მიშელ ლოდრა — ბლეიკი, ტოდ მარტინი 6:2, 6:7 (2:7), 6:2, 4:6, 4:6; გროჟანი — როდიკი 6:4, 3:6, 6:3, 6:4; კლემანი — ბლეიკი 4:6, 3:6**

**რუსეთი — არგენტინა 3:2**

**მარატ საფინი — ხუან იგნასიო ჩელა 6:7 (1:7), 7:5, 7:5, 6:1; ივგენი კაფელნიკოვი — გასტონ გაუდიო 3:6, 7:5, 6:3, 2:6, 8:6; საფინი, კაფელნიკოვი — ლუკას არნოლდი, დავიდ ნალბანდიანი 4:6, 4:6, 7:5, 6:3, 17:19; საფინი — ნალბანდიანი 7:6 (7:3), 6:7 (5:7), 6:0, 6:3; მიხაილ იუჟნი — ჩელა 6:7 (5:7), 7:6 (7:3), 4:6**

საჩოგბურთო სეზონი კარგა ხანია დასავლისაკენ გადაიხარა და აქა-იქ უკვე წიწილების დათვლაც დაიწყო. გასულ პარასკევსა და უქმეებზე — ასე, მაგალითად — წლევანდელ მედევისფინალეთა ვინაობა გაირკვა. ორივე ნახევარფინალში დამხვდურებმა იხეირეს — ფრანგებმა გაჭაბუკებულ ამერიკელთა გუნდი დაჩოგნეს, სკვითები კი გაჯიქებულ გაუჩოებს მოერივნენ.

პირველი შეხლა როლანგაროსულ თიხნარზე გაიმართა, სადაც ფრანგებსა და ამერიკელებს 1932 წლის შემდეგ აღარ ედევისათ. იქ მანამდე მათი ოთხი ბრძოლა შემდგარიყო და ოთხივეჯერ მასპინძლებს მოეგოთ. პატრიკ მაკინროის მიერ დარაზმულმა როდიკმა და კომპანიამ ნავსის გატეხვა ვერც ამჯერად მოახერხა. მე-15 ფრანგულ-ამერიკული „დევისდარაბა" გალთა მერვე გამარჯვებით დასრულდა და შარშანდელი ჩემპიონები ბოლო ოთხი წლის განმავლობაში თავიანთ მესამე ფინალში გავიდნენ. ტიტულის დაცვასა და თანვე მეათე დევისთასის მითვლას ისინი 29 ნოემბრიდან 1 დეკემბრამდე პარიზშივე შეეცდებიან.

როლანგაროსული ბატალიების მთავარი გმირი სებასტიან გროჟანი გამოდგა, ვინაც მომხდურთა ორსავე ჯილას — როდიკსაც და ბლეიკსაც მოერია. ჭაბუკმა ამერიკელებმა თავი ვერაფრით გამოიჩინეს. თუკი აქამომდელი სადევისო მატჩები უკლებლივ გამარჯვებებით დაესრულებინათ (როდიკს 7-ჯერ ემარჯვა, ბლეიკს კი 6-ჯერ), ახლა დამარცხების დაჭაშნიკებაც მოუხდათ. მათთვის არც ისე დამყოლ (და თანაც უცხო) თიხნარსაფარზე ისინი უწლოვან მოსწავლეებს უფრო ჰგავდნენ, ვიდრე პარიზის აბორდაჟით ამღებ მეკობრეებს. აკი ამიტომაც იყო, ენდიბიჭი ნამატჩევს ასე რომ ამბობდა: „წელს საუცხოო გამოცდილება მივიღე. ამიერიდან უკეთ მეცოდინება, რას ნიშნავს საგარეო დევისმატჩი და რა ფაქტორები ახლავს მას".

ფრანგები კი ყიჟინობდნენ. მათი კაპიტანი, გი ფორჟე, რომელიც გუნდს უკვე მესამე ფინალში შეუძღვა, „ამ წარმატების განმაპირობებელ ფრიად შრომასა და თავგანწირვაზე" ლაპარაკობდა. „ბიჭები დევისის თასისადმი ჩემი უდიდესი სიყვარულით დავმუხტე, მათ გაიზიარეს ჩემი სულისკვეთება და უყოყმანოდ ემორჩილებოდნენ ჩემს ყოველ გადაწყვეტილებას, ისე, რომ დისციპლინა გუნდში ერთხელაც არ შერყეულა. თუმცა ყველაზე მთავარი მაინც მათი ტალანტი და გამარჯვებისადმი გაუნელებელი ლტოლვაა, რამაც ჩვენ მორიგი დიდი გამარჯვება მოგვინაგრა".

რაც შეეხება სკვითთა და არგენტინელთა დაპირისპირებას, აქ ყველაფერი მაშინ გადაწყდა,

**DAVIS CUP BNP PARIBAS**

**დევისის თასი. ნახევარფინალი 20 - 22 სექტემბერი**

# ევროპა ფინალშია

## ამაზე ხანგრძლივი ერთხელ იყო



REUTERS პარიზიდან

საფრანგეთი ფინალში სებასტიან გროჟანმა გაიყვანა

როცა გასტონ გაუდიომ კვირას მარატ საფინის წინააღმდეგ თამაში ვერ შეძლო. საფინმა და კაფელნიკოვმა წინა დღეს ნალბანდიან-არნოლდის ჯუფთთან საარაკო, 6-საათიანი და 20-წუთიანი ომი გადაიტანეს და მათივე აღიარებით, არც ერთს თამაშის თავი აღარ ჰქონდა. ამ დროისთვის მასპინძლები მხოლოდ 2:1 იგებდნენ და არგენტინელებს ჩინებული შანსი მისცემოდათ, ნასვენი მოთამაშეებით სკვითთა მოქანცული სეფემეჩოგნეები ლუჟნიკურ ხალიჩაზე ბეჭებზე დაედოთ. ვაგლახ — გაუდიოს უცებ მარცხენა ბარძაყის ტრავმა აუყმუვლდა და სტუმართა დასტაქრებმა მას თამაში აუკრძალეს.

მის მაგივრად კორტზე გასული ნალბანდიანი კი საფინისდარად დაღლილი იყო და, თუმცა ჯიგრიანად იბურთავა, სკვითმუსლიმის მძლავრი მოწოდებისა და 25 ეისის წინააღმდეგ მაინც ვერაფერი გააწყო.

„ყველაფერი შაბათსვე უნდა მოგვემთავრებინა, მაგრამ ვერ შევძელით — იგონებდა მერე საფინი — ამ თამაშის მერე ძალა საერთოდ აღარ მქონდა. ნალბანდიანთან ჩოგნაობისას მაგრად ვნერვიულობდი და ერთ მომენტში ისიც ვიფიქრე, საერთოდ ვერ დავამთავრებ-მეთქი. ბედნიერი ვარ, რომ ყველაფერი მაინც ასე დასრულდა".

„2000 წელს ევგენიმ და მე უჯიგროდ ვითამაშეთ და ესპანელებთან დავთმეთ. შარშან ზურგი მაწუხებდა და შვედებთან სწორედ ამის გამო დავმარცხდით. წელს ორივე ჯანზე ვართ და გამარჯვებაც ძალიან გვინდა, ამიტომ, თუკი თვითრწმენა არ დაგვალალატებს, რუსეთს პირველი დევისთასი უნდა მოვუტანოთ".

ამასვე ამბობდა კაფელნიკოვიც, თუმცა თანვე იმასაც იმეორებდა, რომ საბოლოო გამარჯვების შემთხვევაში ის დიდი ჩოგბურთიდან წასვლას აპირებს.

სხვაფრივ — სკვითურ-გაუჩოური ეპიკური საწყვილოსნო მატჩით მოხიბლულებს გაუწყებთ, რომ დევისის თასის ისტორიაში ამაზე ხანგრძლივი გადაგანა მხოლოდ ერთხელ, გასული საუკუნის ოთხმოციან წლებში გაიმართა, როცა ჯონ მაკინროიმ და მატს ვილანდერმა მათ შორის უძლიერესის გამოვლენას ორი წუთით მეტი ანუ 6 საათი და 22 წუთი მოანდომეს.

**ლევან ძელაურაძე**

# ყვავს კაკალი გააგდებინეს

**TOYOTA PRINCESS CUP**

ტოკიო. პარდი

საპრიზო 585 ათასი $

**ნახევარფინალი**

**სერენა უილიამსი (1, აშშ) — ემი ფრეზერი (აშშ) 7:6 (7:0), 6:3; კიმ კლაისტერსი (3, ბელგია) — ელენა დოკიჩი (2, იუგოსლავია) 5:7, 6:2, 6:3**

**ფინალი**

**უილიამსი — კლაისტერსი 2:6, 6:3, 6:3**

ფინალამდე ყველას ის აინტერესებდა, სერენა უილიამსი ტურნირზე ერთ სეტს მაინც თუ წააგებდა, თორემ კორტზე მისთვის ჩოგნის ბოლომდე შემბრუნებელი ქალი რომ აღარ დადის, ეგ უკვე დასტურ საყველპურო ამბად გვექცა.

სეტი სერენამ მართლაც წააგო, ოღონდ ამით არაფერი შეცვლილა. კიმ კლაისტერსს ალბათ მთელი მატჩისა და, მისდაკვალად, ტურნირის მოგება ერჩია. მატჩიცა და ტურნირიც კი უმცროსმა შავდამ მიითვალა. თუკი მატჩების მიხედვით ვიმსჯელებთ, ეს მათი მეხუთე პირადი შეხლა იყო და სერენამ ლეიტონ ჰიუიტის დრანცულა ნანდაური მეხუთედვე მიტყაპა. ხოლო თუკი ტურნირებზე გადავახურდავებთ, ეს სერენას მე-7 საწლევანდლო და მე-18 საკარიერო ტიტული გახლდათ.

მამა რიჩის ბარაქიან ქალიშვილს აქ ორი წლის წინაც ემარჯვა, ასე რომ, აწი მას ორგზის მეტოკიოე გოგონადაც მოიხსენიებენ.

ბუთქუნა კიმს კი შანსი ჰქონდა, წლეულს მეორე, ხოლო საერთოდ მერვე ტიტული დაეუნჯა. ევებ დაგავიწყდათ და, ამ სეზონში მან ჰამბურგული ტურნირი დააწიოკა, სტენფორდულზე კი ფინალამდე იჩოგნავა. აქაც და იქაც მას ვინუს უილიამსთან თამაში მოუხდა.

სულ ბოლოს უდოკიჩობაც არ იქნება. 19 წლის მკერდვიაგრა იუგგოგო შარშანდელი ჩემპიონია და ბოლო ექვს ტურნირზე მეხუთე ნახევარფინალს უწია. მისკბილა და მისმკერდა კლაისტერსთან პირველი სანახევარფინალო სეტი კი მოიგო, მაგრამ მერე როგორღაც უჯიგროდ დანებდა. ეგ იყო და ეგ!

**ლევან ძელაურაძე**



REUTERS ტოკიოდან

სერენა უილიამსი უკვე მერამდენე პრიზით


# სარბიელი

სპორტული გაზეთი

გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან

გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
**ქართული ფეხბურთის რედაქცია:** დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
**უცხოური ფეხბურთის რედაქცია:**
რედაქტორი გიორგი დარჯანია
გიო აბულედიანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, ვაჟა ხუციშვილი

**ინფორმაციის რედაქცია:** გია აბალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
**კორესპონდენტი ქუთაისში** იუზა კაციტაძე
**კორესპონდენტი გერმანიაში** ვანო ოქროპირიძე
**ფოტორეპორტიორები:** გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
**სტილისტები:** ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
**კომპიუტერული ცენტრი:** ლია ბეხელაია, დავით ბიბილაშვილი, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ირინა გოგოლაშვილი, სვეტა დევაძე, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ნინო ყუფუნია, მალხაზ ჭუმბურიძე
**გამომშვები** ზურაბ ინაშვილი

**რედაქციის მისამართი:**
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge